# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 7 აგვისტო 2006 №180 (2802) ფასი 50 თეთრი


# ფარენგეიტი 104

## თამაში მზის დაკრულზე



დინამოელმა ჯაბა დვალმა
გორელი თამაზ ილურიძე სამჯერ დააღონა

## დომენეკი თბილისში შავი მამლით მოდის





სანამ საფრანგეთის ნაკრები 2 სექტემბერს თბილისში საქართველოს ნაკრებთან თავის პირველ მატჩს ითამაშებს ევრო 2008-ის შესარჩევში, 16 აგვისტოს ამხანაგურად გაეჯიბრება ბოსნიას. და როგორი იქნება საფრანგეთი წლევანდელი მუნდიალის შემდეგ? ამაზე რაიმონ დომენეკმა გუშინ ისაუბრა ერთ-ერთ ფრანგულ ტელეარხზე.

დომენეკმა თქვა, რომ ნაკრებში ახალი სახეები გამოჩნდებიან, მაგრამ ეს ნელ-ნელა,. თანდათან მოხდება — მუნდიალის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და შემადგენლობის შერჩევისას ხისტ გადაწყვეტილებებს არ მივიღებთ, თუმცა გუნდი ახალი თაობის ფეხბურთელებით უნდა შევარჩიოთო.

„რევოლუციებს იშვიათად მოაქვთ დიდი ხეირი. ვგრძნობ, უფრო ჭკვიანური იქნება, თუ ნაკრებს ნელ-ნელა გადავახალისებთ“ — ასეთი იყო დომენეკის განმარტება.

მწვრთნელს არ დაუზუსტებია, ზინედინ ზიდანის წასვლის შემდეგ ვინ ითამაშებს მის პოზიციაზე. მაგრამ ზიდანის, როგორც კაპიტნის შემცვლელის ვინაობა გაცხადდა — ის 30 წლის პატრიკ ვიეირა იქნება, ვინც მუნდიალის შემდეგ „იუვენტუსიდან“ მილანის „ინტერში“ გადავიდა. ნაკრების კაპიტნობა ვიეირასთვის უცხო არ არის — მას ნაკრებში რვაჯერ უკაპიტნია.



## ისტორიის გასწორება

### უეფამ დარკო პანჩევს სიბერეში ოქროს ბუცი ჩააცვა

15 წელი და დარკო პანჩევის „ოქროს ბუცი“...

ტომით მაკედონიელის, იმხანად ჯერ კიდევ ხელ უხლები იუგოსლავიის მთავარმეგოლის, „ცრვენა ზვეზდას“ ერთ-ერთი ლიდერის მიერ 1990-91 წლებში გატანილი 37 გოლი „ეკიპის“ პრიზს, „ოქროს ბუცს“ იმსახურებდა...

არეული იუგოსლავია... ომის დასაწყისი... მთელი ამბავი და კვიპროსელების ატეხვა, ჩვენმა მთავარმეგოლემ ბარე 40 გაიტანაო. რატომ 140 არ გაიტანა კვიპროსულ ამბავში?!

და დარკო პანჩევი ჯილდოს გარეშე დარჩა.

ახლა კი, 41 წლის კაცს „ოქროს ბუცი“ თვით მიშელ პლატინიმ გადასცა. უეფამ გამოაცხადა, როგორც იქნა, ჯილდო იმის ხელშია, ვისაც ალალად ერგებოდაო.

ისე, სიბერეში უფრო ტკბილი ჩანს.

## კალათბურთში შესვლა-გამოსვლა მოსულა
### ჰერბერტი-ტრაიანო-ჰერბერტი

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს კვლავაც გორდონ ჰერბერტი გაწვრთნის..

ესაო, ისაო, დლესაო, ხვალაო და საბოლოო ჯამში არც არაფერი შეცვლილა იმის გარდა, რომ ჰერბერტის სამწვრთნელო შტაბში ძველ თანაშემწესთან კიმ შილდსთან და დავით უსტიაშვილთან ერთად კენი ატკინსონიც იმუშავებს.

ჯეი ტრაიანო კი მირაჟი აღმოჩნდა — სადღაც ტორონტოდან მოგვეჩვენა და ვითომ ჩვენი ნაკრების



თავკაცად დანიშნული ისე გაქრა, საქართველოში ჩამოსვლას ვინ ჩივის, ერთ ქართველ კალათბურთელსაც არ დანახვებია.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ჰერბერტი არჩია, ძველი კანადელი ახალს ამჯობინა და ჰერბერტსაც სჯერა, რომ შეცდომები აღარ განმეორდება და საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონში აღზევდება. ამ საქმეში ჰერბერტი თავის ძველ შეგირდს ტაირონ ელისსაც დაიხმარს. ამ ამერიკელმა გამთამაშებელმა თავისი თანამემამულის, ევროპიდან სამშობლოში გაბრუნებული შემონდ უილიამსის ადგილი უნდა დაიკავოს.

არადა, თითქოს აღარც სხვა ამერიკელს ველოდით, მაგრამ მივიღეთ და ძველი მწვრთნელითა და ახალი გამთამაშებლით საქართველოს ნაკრები უკვე შეუდგა ამ შემოდგომაზე გასამართი ევროსაკვალიფიკაციო მატჩებისთვის მზადებას.



## მირაჟი დიდი ტირაჟით

გიო ახვლედიანის

სვეტი

# გაგრძელება

ერთ კვირაში საქართველოს ნაკრები თავზე გადაუფრენს მთელ ევროპას, ცივ წყლებსაც და ჩაფრინდება ფარერის კუნძულებზე, სადაც უნდა გამართოს თავისი პირველი ნამდვილი თამაში კლაუს ტოპმიოლერის უფროსობით.

ერთი თვეც არ უნდა და თბილისში ჩამოვლენ ფრანგები: ის კიდევ იქნება პირველი დიდი თამაში.

ამ ორთა შუა ბევრი სასარგებლო კი მოხდება, მაგრამ გადამწყვეტი არ უნდა მოვითხოვოთ.

ჩვენ ერთი გუნდი კი ვართ, მაგრამ ევროპის ფეხბურთი ხომ ის ადგილი არ არის, სიმღერსიმღერით გაიარო.

ჩვენ ყოველთვის სწრაფად ვითხოვდით მწვრთნელებისგან. რას — ძნელი სათქმელია.

გარეგნულად მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე გასვლას, შინაგანად კი, უბრალოდ, ნაკრების მწვრთნელების იმედი არ გვქონდა. მგონი, ნამდვილი ამბავი სწორედ ეს იყო და არა გასვლა.

საქართველოს ნაკრები ყოველთვის იყო ერთ-ერთი უშანსო გუნდი.

უფრო ხშირად ახალი მწვრთნელი რეფორმას არ იწყებდა. იშვიათად — წამოიწყებდა, მაგრამ ზედიზედ, დასანანი თუ დაუნანებელი მარცხები მას თანამდებობას ატოვებინებდა, რადგან მარცხი ხელ-ფეხს უბორკავდა და რეალური მიზეზი იყო იმისა, რომ მწვრთნელის წინააღმდეგ სახალხო თუ მედია (ხშირად ორივე ერთად) კამპანია დაწყებულიყო.

მარადიულმა წაგებებმა გამოუცდელ თუ უბირ გულშემატკივართა მასას ბრაზი გაუჩინა. რახან, გინდა თუ არა, თავს ნაკრებთან აიგივებ და რახან ნაკრები აგებს, ბრაზდები და ლანძღავ. უნდა მოეხმარო, მაგრამ ლანძღავ, მე როგორ წამაგებინეო. მეო, ვითომ ალექსანდრე მაკედონელი იყო. იმას არავინ ფიქრობს, რომ ფეხბურთელი განიცდის წაგებას, განსაკუთრებით შინ.

გამიგონია, რომ ნაკრების არაერთ მოთამაშეს უთქვამს ადრე, შინ თამაშს გარეთ თამაში გვირჩევნიაო. იშვიათი სურვილია ფეხბურთელისთვის.

ჰოდა, უნდა მოისპოს.

ეს კიდევ რა? ეს ერთი პატარა უბედურებაა.

რამდენი ასეთი რამეა: უვარგისი და მოსაშორებელი.

საიდუმლო კი ის არის, რომ თუ ფეხბურთს კარგად თამაშობ, ეს ყველაფერი თავისთავად ქრება.

ჩვენ რა დაგვრჩა?

შევხედოთ საქართველოს ნაკრებს.

ახლა, მგონი, მართლა ხელახლა იწყებს.

და თუმც დასაწყისი მძიმე იქნება, მთავარი გაგრძელების უნარი და საშუალებაა.

# ლიგამ 24 შუაზე გაჭყო

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგამ თასის პირველი ეტაპის წილისყრა ჩაატარა. პირველ ეტაპზე 24 გუნდი მონაწილეობს, ევროთასებზე გასული ოთხეული — ბოლნისის „სიონი“, თბილისის „ამერი“, „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“ — კი ჯგუფური ეტაპიდან ჩაერთვებიან გათამაშებაში.

საპირველეტაპო წილისყრის შედეგები ასეთია:

**ბათუმი** — **მგლები** ზუგდიდი
**ჩიხურა** საჩხერე — **სამტრედია**
**ტორპედო** ქუთაისი — **მეშახტე** ტყიბული
**ზესტაფონი** — **გურია** ლანჩხუთი
**ბორჯომი** — **მერცხალი** ოზურგეთი
**დილა** გორი — **მეშაქრე** აგარა
**გაგრა** — **მესხეთი** ახალციხე
**ლოკომოტივი** თბილისი — **ნორჩი დინამოელი** თბილისი
**სპარტაკი** თბილისი — **ზოოვეტი** თბილისი
**კახეთი** თელავი — **ამირანი** თბილისი
**მერანი** თბილისი — **ლიახვი** თამარაშენი
**ოლიმპი** თბილისი — **მაღაროელი** ჭიათურა

პირველი მატჩები 9-11 აგვისტოს ჩატარდება, საპასუხოები კი 23 აგვისტოს. შეგახსენებთ, რომ საქართველოს თასი წლეულს ახლებური სისტემით ტარდება და პირველი ჯგუფური ეტაპის მატჩები 13 სექტემბერსაა დანიშნული.

**ქახა შალამბერიძე**

# სილაგაძე და ორი დებიუტი

ლევან სილაგაძე ზაპოროჟიელია — გუშინ უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ცნობა, რომ 31 წლის ქართველი მცველი „მეტალურგმა“ საჩემპიონატო განაცხადში შეიყვანა. ერთი სიტყვით, სილაგაძის ხანგრძლივი უქმობა დასრულდა.

ამავე დროს, UA-football-ის ჟურნალისტები იმასაც ვარაუდობენ, რომ ზაპოროჟიელები ალბათ არ დაიტოვებენ ახალგაზრდა მეკარე რევაზ თევდორაძეს. იგი სილაგაძესთან ერთად ჩავიდა უკრაინაში, თუმც დიდი შანსია, უკან დაბრუნება მოუხდეს.

ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ თემა ირაკლი მოდებაძით დავასრულოთ — მეტალურგთა ფორვარდმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და დროებით ჩამოშორდა მოედანს. შეგახსენებთ, რომ მოდებაძემ წინა სეზონი ტრავმების გამო, ფაქტობრივად, ჩააგდო, თუმცა ექიმების ვარაუდით, ამჯერად ტრავმა არც ისე საშიშია.

ამასობაში უკრაინის ჩემპიონატში ორი ქართველის დებიუტი შედგა — დნიპროპეტროვსკის „დნიპრომ“ შინ 1:0 მოუგო „ვორსკლას“ და ამაში კახა ალადაშვილმაც დაიდო წვლილი — კიევის „დინამოდან“ იჯარით გადაყვანილმა ქართველმა მცველმა სრულად ითამაშა და გაფრთხილებას გამოჰკრა ხელი.

სამქულიანი დებიუტი ჰქონდა სერგო ორბელაძესაც — მისმა „ილიჩევეცმა“ სტუმრად 2:0 დაამარცხა გიორგი ციმაკურიძის „სტალი“. ორბელაძემ 90 წუთი გაატარა მოედანზე.

და ერთი ქართული გოლიც: კიევის „არსენალმა“ სტუმრად 3:1 მოუგო „ტავრიას“ და პირველი ბურთი სიმფეროპოლელებს ლაშა ჯაკობიამ გაუტანა. იგი 85-ე წუთზე შეცვალეს, ჯაბა კანკავამ კი სრულად ითამაშა.

**ქახა შალამბერიძე**

# მინი-საიუზი მოსკოვში

**მოსკოვში** დასრულდა „ლოკომოტივის“ 70-წლისთავს, სადმი მიძღვნილი ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირი „ბეშევის თასი“. გათამაშებაში რვა გუნდი მონაწილეობდა, მათ შორის თბილისის „დინამოც“.

ჯგუფში თბილისელებმა სამი მატჩი ჩაატარეს — 0:0 მოსკოვის „ტორპედოსთან“, 0:0 მოსკოვის „ლოკომოტივთან“, 0:1 ცსკა-თან.

ამგვარად, „დინამო“ ჯგუფში ბოლო, მეოთხე ადგილზე გავიდა და მეშვიდე ადგილისთვის მატჩში ერევნის „არარატს“ შეხვდა — თამაში 0:0 დასრულდა, პენალტებით კი ჩვენებმა 4:1 მოიგეს.

გუნდები ადგილების მიხედვით ასე განაწილდნენ: 1. „ლოკომოტივი“ მოსკოვი, 2. „დინამო“ კიევი, 3. ცსკა, 4. „სპარტაკი“ მოსკოვი, 5. „დინამო“ მოსკოვი, 6. „ტორპედო“ მოსკოვი, 7. „დინამო“ თბილისი, 8. „არარატი“ ერევანი.

ტურნირის ორგანიზატორებმა სხვადასხვა ნომინაციებში საუკეთესოები დაასახელეს.

გუნდების საუკეთესოები: „ლოკომოტივი“ — ლეონიდ ზიუზინი, ცსკა — ვიქტორ კოლიადკო, „სპარტაკი“ — ვაგიზ ხიდიატულინი, „ტორპედო“ — ლეონიდ პახომოვი, „დინამო“ მოსკოვი — ვლადიმირ ბასალაევი, „დინამო“ კიევი — ოლეგ ხორუჟი, „დინამო“ თბილისი — ლევან ნოდია, „არარატი“ — ოგანეზ ზანაზანიანი.

ტურნირის საუკეთესოები: მეკარე — ოთარ გაბელია („დინამო“ თბილისი), მცველი — ალექსანდრ ნოვიკოვი („ლოკომოტივი“), ნახევარმცველი — ანდრეი ბალი („დინამო“ კიევი), თავდამსხმელი — ვალერი მატიუნინი („დინამო“ მოსკოვი). საუკეთესო ფეხბურთელი — ალექსანდრ ტრუსოვი („ლოკომოტივი“), მწვრთნელი — ვიქტორ ცარიოვი („დინამო“ მოსკოვი), მაყურებელთა სიმპათია — იური გავრილოვი („სპარტაკი“ მოსკოვი), ყველაზე ლამაზი გოლი — ევგენი მელიოშკინი („ლოკომოტივი“), პრიზი „მუდამ ახალგაზრდა“ — ედუარდ მარკაროვი („არარატი“).

ბომბარდირები: ვიქტორ ნასტაშევსკი („დინამო“ კიევი) და ივან შარი („დინამო“ კიევი) — 3-3.

**ქახა შალამბერიძე**

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა **18**
I წრე–2 ტური

# გიორგი კიკნაძის შვიდი საჩუქარი

რუსთავი. 6 აგვისტო. 17 საათი. ფოლადი. 1 500 (ტევადობა 10 000)

## ოლიმპი 7:0 კახეთი

1:0 მახვილაძე (25), 2:0, 3:0 სირბილაძე (59, 63), 4:0 დვალიშვილი (70), 5:0 თოდუა (79), 6:0 კვარაცხელია (88), 7:0 დვალიშვილი (89)

| | |
|---|---|
| **ოლიმპი:** მ. ალავიძე, რ. ონიანი, მახვილაძე, ხუბუა (ხოხონიშვილი 83), სეთურიძე (მიმინოშვილი 73), ქებაძე, აფციაური, გ. თოდუა, სირბილაძე (ვ. კვარაცხელია 66), კახელიშვილი, დვალიშვილი *სათადარიგო:* ნაჭყებია **მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე | **კახეთი:** გ. იაშვილი, კვირკველია, მაღლაკელიძე, კობაიძე, ბედოიძე, ბურდული, ჯველიშვილი (ტეტიაშვილი 75), ნ. დავითაშვილი (ა. ბურნაძე 64), არუდაშვილი, სოსელია (ხიდაშელი 66), იმერლიშვილი *სათადარიგონი:* ცინაძე, ლომიძე, ცისკარიშვილი, მურველაშვილი **მწვრთნელი:** ჯემალ მახარაშვილი |

**გაფრთხილება:** კახელიშვილი (33), კვირკველია (41)

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, თ. ხუჭუა, ტ. არაბული, ლ. სილაგავა

**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე

**კობა ინასარიძე** რუსთავიდან

**მწვრთნელის** რანგში გიორგი კიკნაძემ დებიუტი მოიწყო, კაცი უკეთესს ვერ ინატრებდა... დიახ, გუშინ გიორგი კიკნაძე პირველად გაუძღვა გუნდს და შეგირდებისგან შვიდი უპასუხო გოლით დასაჩუქრებული დარჩა. არადა, ამ მწვრთნელს სულ რაღაც ერთი სეზონი უმაგრებს ზურგს — შარშან „ლოკომოტივის“ თავკაც ნოდარ აკობიას თანაშემწე იყო, „ოლიმპი“ კი მას ორიოდ დღის წინ, გუნდიდან სწორედ აკობიას წასვლის შემდეგ ჩააბარეს.

— ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, სამწვრთნელო საქმეს ასე წარმატებით თუ დავიწყებდი. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი დებიუტი მქონდა — თქვა მატჩის შემდეგ „ოლიმპის“ მწვრთნელმა, რომელსაც ეს გამარჯვება პირველმა მეტოქე კოლეგა ჯემალ მახარაშვილმა მიულოცა. თავად მახარაშვილს, ბუნებრივია, ასეთი ანგარიშით წაგების შემდეგ დანა პირს არ უხსნიდა და იქვე, პრესკონფერენციაზე მთლად წავედიო, არ უთქვამს, მაგრამ ამ გუნდში მუშაობა გამიჭირდებაო, კი თქვა.

7:0 — არა, მართლაც ძნელად წარმოსადგენი ანგარიშით დამთავრდა გუშინდელი მატჩი. თანაც, ნუ დავივიწყებთ, რომ ეს შეხვედრა რუსთაველი „ოლიმპისთვის“ ჩემპიონატში პირველი იყო. ჰოდა, ამ თამაშის შემდეგ ის კი იქნება იოლი წარმოსადგენი, თუ როგორი განწყობით გააგრძელებს საქმეს კიკნაძის გუნდი მომავალში.

არადა, მატჩი ისე დაიწყო, ალბათ, მართლაც ვერავინ იფიქრებდა, საბოლოო ანგარიში „კახეთისთვის“ კატასტროფული თუ გამოვიდოდა.

მე-5 წუთი იყო, როცა თელაველთა შემტევი ვასილ არუდაშვილი მეკარე მიხეილ ალავიძესთან პირისპირ დარჩა. გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, ფორვარდის ხელისშემშლელი ახლო-მახლო არავინ იყო, მან კი ბურთი მეკარეს ვერ ააცილა და კახელთა ეს ერთადერთი რეალური საგოლე შანსიც ასე განიავდა. რეალურიო, ვთქვით, მაგრამ ისიც აღვნიშნოთ, რომ არუდაშვილის ამ მომენტის შემდეგ სტუმრები მეტ-ნაკლებად სახიფათოდაც აღარ დამუქრებიან ალავიძის კარს. სამაგიეროდ, მასპინძლებმა, ვიდრე პირველი გოლი გაიტანეს, სამი-ოთხი ნაღდი მომენტი გააცუდეს. გოლი კი მიხეილ მახვილაძემ საჯარიმოდან დაგორებულის შემდეგ გაიტანა. მცველებმა შეტევაში ჩართული როინ ონიანი რომ წააქციეს, ის საჯარიმო ლაშა ქებაძის მოკლე პასითა და მახვილაძის ძლიერი და ზუსტი დარტყმით დამთავრდა.

მოგვიანებით, ტაიმის დამთავრებამდე, იმავ როინ ონიანმა აუტიდან ორჯერ ჩააწოდა ბურთი ზედ მეკარის საჯარიმოში. ერთხელ ამ აუტს ირაკლი სირბილაძემ თავური მიაყოლა, მაგრამ გიგა იაშვილი ბურთს ადგილზე დახვდა, ხოლო მეორედ ონიანის აუტს ვერავინ გამოეხმაურა, ძალიან სახიფათო ჩაწოდებული კი იყო.

მეორე ტაიმის მოვლენების წვრილ-წვრილად აღწერა არც ღირს. ჯერ ერთი, ამდენი გოლის მოყოლით თვალიც და გონებაც დაიღლება და მეორეც, შესვენების შემდეგ ფეხბურთს, ფაქტობრივად, ერთი გუნდი თამაშობდა.

გოლების გარდა საინტერესო ის იყო, რომ მატჩის განახლებიდან 10 წუთში, ერთი წუთის შუალედით ლაშა ქებაძემ ზედიზედ ორჯერ მოარტყა ბურთი ხარიხას.

მოგვიანებით გიორგი კახელიშვილი ასევე ორჯერ დარჩა მეკარესთან პირისპირ და ვერც ერთხელ აჯობა, ბოლოსკენ კი ლადო დვალიშვილს ორჯერ შეეძლო გაეტანა, მაგრამ დასარტყმელად თითქმის იდეალური ადგილებიდან, მიზანი ვერ გაისწორა. ახლა წარმოიდგინეთ — „ოლიმპს“ ყველა რეალური საგოლე შანსი რომ გამოეყენებინა, როგორ ანგარიშს მივიღებდით...

და კიდევ, ონიანის აუტებზე უკვე ხომ ვთქვით და მატჩის მესამე გოლიც ამ აუტს მოჰყვა — სირბილაძემ ბურთს თავი ზუსტად დაჰკრა და ცხრიანში გაიტანა.

ასეთი, ცოტა არ იყოს, უცნაური ამბავი მოხდა გუშინ რუსთავში — 7:0.

საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 2 ტური

# ორი ზაზაური, ორივე აფრიკული

## არითმეტიკა მაინც ვიტ ჯორჯიასია



პირველი აფროგოლი საქართველოს ჩემპიონატში:
სიონელმა გასტონ ევოჩემ (მარცხნივ) სტუმრები კი დააწინაურა, მაგრამ...

მცხეთა. 6 აგვისტო. 17 საათი. არმაზი. 1 000 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 3:2 სიონი

0:1 ევოჩე (2), 1:1 სახოკია (4), 2:1 ფეიქრიშვილი (21), 3:1 სახოკია (58), 3:2 ფრიდოლინი (83)

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ა. კვახაძე (ადამაძე 29), ფეიქრიშვილი (კვალინაძე 75), გ. დათუნაიშვილი (ლ. რაზმაძე 50), დილმელაშვილი, გველესიანი, ლუჭაშვილი, ბერიაშვილი, ზ. სახოკია
*სათადარიგონი:* მიქაბერიძე; ჯაფარიძე, მელქაძე, ბეჭვაია
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**სიონი:** ბათიაშვილი, ფრიდოლინი, ჭიჭველიშვილი, ოქროპირიძე (კობაური 21), რაქვიაშვილი, ბაჯელიძე, ზ. ჭელიძე (სვანიძე 53), ალავიძე (ქურასბედიანი 46), ვ. უგრეხელიძე, ჩასემი, ევოჩე
*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი; ბ. ცხადაძე, ქარდავა
**მწვრთნელი:** კახა ცხადაძე

**გაფრთხილება:** ლომაია (35), ადამაძე (43), დილმელაშვილი (43), რაზმაძე (65, 78), ბაჯელაძე (89)

**გაძევება:** რაზმაძე (78)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, ხ. გაგნიძე, ზ. ფიფია, გ. ვადაჭკორია

**დამკვირვებელი:** ო. გუნთაძე

დავით თავართქილაძე მცხეთიდან

**პირველ** ტურებში ასეთი მძაფრსიუჟეტიანი, ხუთგოლიანი თამაშები იშვიათობაა, თანაც ერთმანეთს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში სერიოზული მიზნებისთვის მებრძოლი გუნდები ხვდებოდნენ, რომლებიც წინა ჩემპიონატში საუკეთესონი იყვნენ — „სიონი" ჩემპიონი გახდა, „ვიტ ჯორჯია" კი მეორე ადგილზე გავიდა.

დანაკარგები ორივე გუნდში იყო, მაგრამ „სიონი" ამ მხრივ მეტად დაზარალდა — ტრავმირებული ლაშა ჭელიძის და ლევან შავგულიძის გარდა, „სიონს" გიორგი ქუცურუა და გიორგი კვიტაიშვილიც არ ჰყავდა — ისინი ბოლნისელებს იჯარით ჰყავდათ გადმოყვანილი თბილისის „დინამოდან", მაგრამ იჯარა ვერ გააგრძელეს და ტრანსფერიც ვერ მოხერხდა.

„სიონში" გვითხრეს, „დინამომ" ქუცურუასა და კვიტაიშვილში არარეალური თანხა მოითხოვაო. ამან „სიონს" რესურსი შეუმცირა, რაც ალბათ ერთ-ერთი ფაქტორი იყო ბოლნისელთა გუშინდელი მარცხისა.

„სიონმა" მატჩი ბასრად დაიწყო — მეტოქე მცველთა პოზიციური შეცდომით კამერუნელმა გასტონ ევოჩემ კარგად ისარგებლა, მარჯვნიდან შეიჭრა ვიტელთა საჯარიმოში და 0:1.

გოლიდან რამდენიმე წამში ლევან ბაჯელიძეს შეეძლო „სიონის" უპირატესობის გაზრდა, მაგრამ დარტყმა არცთუ ძლიერი გამოუვიდა და გრიგოლ ბედიაშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი.

ძნელად სავარაუდო იყო, რომ „ვიტ ჯორჯია" შოკიდან ჯიქურ გამოვიდოდა, მაგრამ ასე კი მოხდა — დავით დილმელაშვილის პასით ზაზა სახოკია კარგად გაიჭრა დასარტყმელ პოზიციაზე და დარტყმაც უნაკლოდ შეასრულა.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მოედანზე ვნებები არ დამცხრალა. ჯერ იყო და, სახოკიამ 17-18 მეტრიდან ვერ გაისწორა მიზანი, მერე კი არჩილ ალავიძემ ბედიაშვილის კარის ხარიხას შეაწყვიტა ბურთი.

თანაბარი თამაში იყო, თუმც „ვიტ ჯორჯია" თანდათან დაეუფლა მცირე უპირატესობას და დაწინაურდა კიდეც — სახოკიამ „სიონის" საჯარიმო მოედანში ჩააწოდა, გადმოვარდნილ ბურთს კი გიორგი ფეიქრიშვილმა მიუსწრო და ცაციათი გაუტანა ზურაბ ბათიაშვილს.

„სიონი" მეტწილად ფლანგებიდან ემუქრებოდა მეტოქეს, ვლადიმერ უგრეხელიძემ და ალავიძემ, შესაბამისად, მარჯვნიდან და მარცხნიდან, რამდენჯერმე აანერვიულეს ვიტელები, მასპინძლებს მშვიდი ცხოვრების საშუალებას არც ევოჩე აძლევდა.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, სახოკიამ დავით ჭიჭველიშვილის შეცდომა რომ ვერ გამოიყენა — ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან „სიონის" კარს ვერ დაუმიზნა ბურთი.

ამის მერე კი „სიონმა" მძლავრად შეუტია. ბოლნისელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მეორე ტაიმის პირველ წუთებში, რეალური საგოლე შანსი კი დავით სვანიძეს ჰქონდა — ჩასემმა მარჯვნიდან გაარღვია დაცვა, ზუსტად დაუგორა ბურთი თანაგუნდელს, მაგრამ სვანიძემ მრგვალი საგანი ერთ-ერთ ვიტჯორჯიელს გაარტყა და ოდენ კუთხურს გამორჩა.

„სიონი", მიუხედავად იმისა, რომ ღონივრად უტევდა, თავქუდმოგლეჯილი არ წასულა შეტევაში, მაგრამ ვიტელთა კონტრიერიში მაინც გაეპარა — ვასილ ლუჭაშვილმა მარცხენა ფლანგზე ორი მეტოქე გააბრუა, მის ჩაწოდებულზე გიორგი ბერიაშვილმა იბრძოლა, შემდეგ ბურთი სახოკიას მიუვიდა, რომელიც მცველს დაუსხლტა და დუბლიც მიითვალა — 3:1.

ბოლნისელები არ შედრკნენ, თამაშის შემოტრიალებისთვის საკმაო დრო ჰქონდათ და იმასაც კარგად გრძნობდნენ, რომ ვიტელთა დაცვას არაერთი ნაპრალი ჰქონდა.

ჩასემმა მცველთან ბრძოლაში ახლოდან ჭვინტით დაარტყა და ბურთი ბედიაშვილს გაარტყა — მესამე გაშვებული გოლის შემდეგ „სიონი" ამ მომენტის გარდა კიდევ არაერთხელ დაემუქრა „ვიტ ჯორჯიას", მაგრამ ჩემპიონს დამაგვირგვინებელი ფაზა არ უვარგოდა.

იყო ორწუთიანი მონაკვეთი, როცა ევოჩემ ერთხელაც გამოიდო თავი — მცველი კარგად ჩამოიცილა, მაგრამ ბედიაშვილის ხელებს დაუმიზნა ბურთი, მერე კი საშუალო დისტანციიდან გაისროლა და ბედიაშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი.

ლუკა რაზმაძის გაძევების შემდეგ „სიონმა" რიცხობრივი უპირატესობა რომ მოიპოვა, კიდევ უფრო მეტხანს ფლობდა ბურთს და უფრო მწვავედაც შეუტია. ბოლნისელთა გარჯა გოლად დაფასდა — ევოჩემ ჩააწოდა, შორეულ ძელთან ჩასემმა თავით ისევ კარის გასწვრივ დააბრუნა ბურთი და ფრიდოლინმაც თავური მიაყოლა — კამერუნული სამკუთხედი უზადო გამოდგა.

დარჩენილ დროში ბოლნისელებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ხვატმა ქანცი მათაც გამოაცალა. ისიცაა, რომ ვიტჯორჯიელთა კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერი დავით დილმელაშვილი ისე გაისარჯა მოედნის ცენტრში, რომ ბოლნისელებს ანგარიშის გათანაბრება არ გამოუვიდათ.

# რა გვინდა უმაღლესში?!

ბორჯომი. 6 აგვისტო. 17 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი. 1 500 (ტევადობა 5 000)

### ბორჯომი 1:1 ლოკომოტივი

1:0 საჯაია (22პ), 1:1 გოჩაშვილი (45პ)

**ბორჯომი:** ჭურაძე, საჯაია, გარუჩავა (ფურთუხია 62), ბაქრაძე, ქარქოზაშვილი, დონდოლაძე (ბენდელიანი 51), ავალიანი, ნაკანი, დათვაძე, გ. მოდებაძე, შ. ჯიქია
*სათადარიგონი:* თედიაშვილი, ტალახაძე, ლაზარაშვილი, გოგიჩაიშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**ლოკომოტივი:** გვარამაძე, მიხაილიდი, თუთბერიძე, აბულაძე, გ. კვახაძე, გ. ჩივაძე (ბახტაძე 70), ბუდალაშვილი, ვ. გოჩაშვილი, დეისაძე (გულორდავა 17), მ. ცლენტი, მხეიძე (გ. ბარბაქაძე 34)
*სათადარიგონი:* მიგინეიშვილი; მენაბდე, დ. ფოფხაძე
**მწვრთნელი:** ამირან მინაშვილი

**გაფრთხილება:** კვახაძე (22), ჭურაძე (45), ბუდალაშვილი (49), კვახაძე (51), ჩივაძე (60), თუთბერიძე (78), გოჩაშვილი (86), მოდებაძე (89)

**გაძევება:** კვახაძე (51)

**მსაჯები:** დ. სანაია, დ. კვეტენაძე, დ. კურტანიძე, ზვ. ასკაროლლი

**დამკვირვებელი:** ვ. ეჯიბია

გიორგი ვაშაკიძე ბორჯომიდან

**მე-18** ეროვნული ჩემპიონატი გუშინ ბორჯომშიც გაიხსნა — გუნდების კაპიტნებმა, ედიკ საჯაიამ და დავით გვარამაძემ ჰიმნის თანხლებით საქართველოს დროშა აღმართეს, არბიტრმა დავით სანაიამაც ჩასტვინა და...

„მე დღეს ფეხბურთი ვერ ვნახე, რა უნდა გითხრათ? ასეთი გუნდები უმაღლეს ლიგაში არ უნდა თამაშობდნენ. ბოდიშით, მაგრამ მეტს ვერაფერს გეტყვით" — დანა პირს არ უხსნიდა ნამატჩევს ბორჯომელთა თავკაც ვლადიმერ ხაჩიძეს და მართალიც იყო.

გუშინდელ თამაშზე მართლაც ძნელია, რამე დაწერო. ხოლო თუ რამეა სათქმელი, ალბათ ის, რომ 51-ე წუთიდან ათი კაცით დარჩენილმა ლოკომოტიველებმა ბრძოლით და ჟინით მოპოვებული ქულა დამსახურებულად წაიღეს შინ.

ოქმის მიხედვით იტყვით, რადგან რვა გაფრთხილება და ერთი გაძევებაა, ესე იგი, უხეში თამაში იყოო, მაგრამ არაფერი ამდაგვარი, სანაიას ყვითელ-წითელი ბარათების ფრიალი უმეტესად შეკამათების და დროის გაყვანის მცდელობისთვის უწევდა.

22-ე წუთი: სანაიამ პენალტი ჯერ მასპინძელთა სასარგებლოდ დანიშნა — შოთა ჯიქიას წაქცევისთვის სტუმარი გიორგი კვახაძე გააფრთხილა, საჯაიამ კი გვარამაძეს აუღელვებლად გაუტანა.

45-ე წუთი: პენალტი ახლა უკვე სტუმართა სასარგებლოდ ინიშნება. ლოკომოტიველთა ერთ-ერთმა გამოცდილმა ვლადიმერ გოჩაშვილმა ყველაფერი ხუთიანზე შეასრულა — სერგო ჭურაძის კარისკენ რომ დაიძრა, უკვე ცხადი იყო, პენალტზე წავიდოდა, იმიტაცია გააკეთა და არბიტრი „დაათანხმა" — 1:1.

და კიდევ: ერთ-ერთი საფუძვლიანი მიზეზი გუშინდელი ანტიფეხბურთისა აუტანელი სიცხე თუ იქნებოდა, ჩახუთული ამინდისას ტრიბუნაზე ჯდომა ჭირდა და თამაში რაღა იქნებოდა...



ხუთი გოლი ორ კაცზე: სანდრო იაშვილი და ჯაბა დვალი

# დილას მზემაც ურჩინა და დინამომაც

**კახა შალამბერიძე**

...არჩილ ოლგესაშვილის ჭკვიანური პასით ნიკა სადალაშვილი საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა, კარის გასწვრივ ჩააწოდა, მაგრამ ბურთს დინამოელი დავით გიგაური ვარდნაში მიწვდა და ... 0:1.

აი, ასეთი სენსაციური დასაწყისი ჰქონდა გუშინდელ მატჩს, მაგრამ, აბა, ვის სჯეროდა, რომ გორელები ბოლომდე მედგრად დაუდგებოდნენ მეტოქეს? მგონი, არც არავის. ჰოდა, ასეც მოხდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს იყო სტუმართა პირველი და ბოლო გააზრებული შეტევა. მეტი მათ ვეღარაფერი შეძლეს. ვერც ის, რომ დიდი სხვაობით წაგება აეცილებინათ თავიდან — ჯაბა დვალმა და სანდრო იაშვილმა პირდაპირ გააწამეს „დილას" დაცვა და ერთად ხუთი გოლი გაიტანეს; ერთიც შეცვლაზე შესულმა მიხეილ ბობოხიძემ მიითვალა...

ისედაც შეჭირვებული „დილა" თბილისში უმთავარმწვრთნელოდ ჩამოვიდა — ოთარ კორღალიძე თბილისის „დინამოსთან" ერთად მოსკოვის ვეტერანთა ტურნირზე გახლდათ და გუნდი მისმა თანაშემწემ, რამაზ სოლოლაშვილმა გადაიბარა.

სიცხეზეც უნდა ვთქვათ, თუმცა რაღაა სათქმელი, ფეხბურთელებს მოედანზე სირბილი კი არა, მცირერიცხოვან მაყურებელს ტრიბუნაზე ჯდომა უჭირდა და აკი თქვა კიდეც ნამატჩევს კახა კაჭარავამ, ასეთ სიცხეში თამაში შეუძლებელიაო.

ასეა თუ ისე, ეს ფეხბურთიც ჩვენია, ეს კლიმატიც ჩვენია და როგორმე ერთმანეთს უნდა შევუხამოთ, თორემ ფეხბურთელებს რომ 40-გრადუსიან პაპანაქებაში სირბილი უჭირთ, ამას რა თქმა უნდა...

24-ე, 34-ე და 44-ე წუთები — აი, ასე, ათწუთიანი შუალედებით გაიტანეს დინამოელებმა სამი ბურთი პირველ ტაიმში — ჯერ დვალმა თავურით, მერე კი იაშვილმა გააზერხა დუბლი.

მეორე ტაიმში ტემპმა შედარებით იკლო, თუმც სამი გოლი კიდევ ვნახეთ. 67-ე წუთზე გიორგი ნერგაძემ ძელს გაარტყა ბურთი, თუმცა დვალმა დამატებაზე იყოჩაღა; 77-ე წუთზე კი იმავ დვალს მეკარემ აუღო და ამჯერად ბობოხიძემ დაასწრო ყველას — 5:1.

წერტილიც დვალისა გახლდათ: სანდრო კობახიძემ მარცხენა ფლანგზე გაინავარდა, საჯარიმოში მყოფ თანაგუნდელს მიაწოდა და 6:1.

თბილისი. 6 აგვისტო. 17 საათი. მიხეილ მესხი. 400 (ტევადობა 25 600)

## დინამო 6:1 დილა

0:1 გიგაური (9ს.კ.), 1:1 დვალი (24), 2:1, 3:1 იაშვილი (34, 44), 4:1 დვალი (67), 5:1 ბობოხიძე (77), 6:1 დვალი (80)

**დინამო:** ლორია, ამბროზიო, შ. კაშია, დ. გიგაური, ნავალოვსკი, გ. მერებაშვილი (მ. ბობოხიძე 68), ნერგაძე (კ. მახარაძე 70), ხუციშვილი (შ. გრიგალაშვილი 58), ს. კობახიძე, ჯ. დვალი, ს. იაშვილი
*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; თომაშვილი, ჩირიკაშვილი, ზ. ჯანაშია
**მწვრთნელი:** კახა კაჭარავა

**დილა:** თ. ილურიძე, გ. ნადირაშვილი, ზ. ლაბაძე, გ. მასურაშვილი (ვარდოსანიძე 80), ოლგესაშვილი (ბალიაშვილი 65), საყვარელიძე, სადალაშვილი (აბრამიშვილი 58), ტლაშაძე, კურტანიძე, ლ. თურმანიძე, გ. წინამძღვრიშვილი
*სათადარიგონი:* კეჩხუაშვილი; ი. ლომიძე რომელაშვილი, ვ. სომხიშვილი
**მწვრთნელი:** რამაზ სოლოლაშვილი

**გაფრთხილება:** წინამძღვრიშვილი (18), მერებაშვილი (63), ილურიძე (82)

**მსაჯები:** ო. ხეცაძე, ო. მოლოდინაშვილი, ვ. გუმბერიძე, ა. ნონიკაშვილი

**დამკვირვებელი:** ო. რუხაძე

### პრესკონფერენცია

*რამაზ სოლოლაშვილი:* „დინამოს" გამარჯვებას ვულოცავ. ჩვენს გუნდზე რა გითხრათ, ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე შევიკრიბეთ და მოუმზადებლები ვართ. ექვსი გოლი რომ გავუშვით, ამაში „დინამოს" ჩვენი მცველების უხეშმა შეცდომებმაც შეუწყო ხელი. იმედია, ნელ-ნელა ხარვეზებს გამოვასწორებთ.

*კახა კაჭარავა:* თამაშითაც და შედეგითაც კმაყოფილი ვარ. ვაგებდით, მაგრამ ბიჭები არ აირივნენ. დავალებები კარგად შეასრულეს და საბოლოოდ დიდი ანგარიშით მოვიგეთ.

სიცხეზე მე რა გითხრათ, თავადაც იგრძნობდით, რა ხვატი იყო. ადრე, როცა კვიპროსზე ვთამაშობდი, ერთი თამაში შეწყდა — ისეთი სიცხე იყო, მსაჯი ცუდად გახდა და საავადმყოფოში წაიყვანეს. ასეთ სიცხეში თამაში მართლა წარმოუდგენლად ძნელია, თუმცა რას ვიზამთ...

# იმერლებმა აიღეს და წაიღეს ენით მოუჩრდილული მზე

თბილისი. 6 აგვისტო. 17 საათი. შევარდენი. 300 (ტევადობა 2 000)

## მერანი 0:3 ზესტაფონი

0:1 ღონღაძე (23), 0:2 0:3 ჭელიძე (58პ, 90)

**მერანი:** გლუნჩაძე, ბესარაშვილი, ლ. გრიგალაშვილი (თ. მჭედლიშვილი 32), დ. ხანიშვილი, სარალიძე, ოსიტაშვილი (ბურჯანაძე 65), კვარაცხელია, ქემაშვილი, ლ. მანწკავა (ცისკარაული 57), გაგუა, ქორიძე
*სათადარიგონი:* სეფიაშვილი, კ. ხანიშვილი, ოდიშვილი
**მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი

**ზესტაფონი:** გ. ჭანტურია, ს. თოდუა, შ. ღონღაძე, ხიდეშელი, კ. ჩხეტიანი, გ. თურმანიძე, ბ. ნოზაძე, ფიფია (ბენაშვილი 65), გ. ჭელიძე, ძამსაშვილი, ბ. გოცირიძე (ნ. კვასხვაძე 86)
*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, დაუშვილი, გ. ვაშელიშვილი, ბანოვი, იონანიძე
**მწვრთნელი:** მერაბ კოჭლაშვილი

**გაფრთხილება:** გოცირიძე (36), დ. ხანიშვილი (57)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე, ბ. ჭიჭინაძე, ა. გუნთაძე, ლ. ფანიაშვილი

**დამკვირვებელი:** ზ. პეტრიაშვილი

**კოტე კეკელია**

**თამაში** 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო, რითაც, სხვების არ ვიცით და, ფეხბურთელები ნაღდად კმაყოფილები უნდა დარჩენილიყვნენ: გვიან დაიწყებ, ნაკლებად დაისიცხები. ეს 20 წუთი გულშემატკივრებსაც არ დაუკარგავთ უქმად და მათმა მოზრდილმა ნაწილმა იმაზე მსჯელობაში გალია, თუ რატომ იჯდა გიორგი განუგრავა ტრიბუნაზე. ერთი ნაწილის მტკიცებით, განუ გადაღლილია, მეორეთა აზრით — ფეხი სტკივა, მესამენი კი დარწმუნებით ჰყვებიან, განუგრავა „ზესტაფონთან" კონტრაქტს არ ახანგრძლივებს და ამიტომ კლუბს მოძულებული ჰყავსო.

ამ და სხვა საჭირბოროტო თემებზე საუბრები ჰიმნმა და დროშის აღმართვამ შეწყვიტა, მერე კი თამაშიც დაიწყო.

„მერანს", მოგეხსენებათ, პირველ ტურში თელავში მოგებული ჰქონდა, მაგრამ ამის და სტუმარ-მასპინძლობის მიუხედავად, პირველი წუთიდან მოგებაზე უფრო მეტად დაგეშილი „ზესტაფონი" გახლდათ.

ოღონდ განვმარტოთ: რომ ვამბობთ, დაგეშილიო, თავბრუდამხვევ ტემპს და ერთიმეორის მიყოლებით შექმნილ საგოლე მომენტებს არ ვგულისხმობთ. უბრალოდ, თამაში მეტწილად მერანელთა ნახევარზე იყო და კლასიც, ბუნებრივია, იმერლებს უფრო მაღალი აქვთ.

თუმც გამოსარჩევი მომენტებიც საკმარისი იყო. ჭელიძე-გოცირიძე-ჭელიძე-გოცირიძის ოთხსვლიანი ეფექტური კომბინაცია გოცირიძის ეფექტურივე თავურით დასრულდა, რაც მეკარე გლუნჩაძემ ასევე ეფექტურად მოიგერია. წამში ფიფიას ძლიერი თავურიც ოდნავ ასცდა მასპინძელთა კარს.

ტაიმის შუაწელში „მერანმა" პირველი უმაღლესლიგური გოლი გაუშვა: მარჯვენა ფლანგზე ჯარიმით გათამაშებული ბურთი ნოზაძემ მიიღო და მარცხენაზე გადაიტანა, იქ, სადაც ხიდაშელი ეგულებოდა, მისი საჯარიმოში ჩაწოდებული კი ღონღაძემ ლამაზი თავურით შეაგდო.

ლოგიკით, ამ გოლს „მერანისთვის" გააქტიურებისკენ უნდა ებიძგა. მაგრამ ასე არ მომხდარა და ამასაც თავისი ლოგიკა აქვს: გოლით გალაღებულმა ზესტაფონელებმა მეტი ენთუზიაზმით შეუტიეს და მერანელებს ყურადღების დაცვიდან შეტევაზე გადატანის საშუალება არ მისცეს.

ფიფიამ ჭელიძის კარგი პასი ვერ შეირგო, სუსტად და არაზუსტად დაარტყა. კიდევ ცოტაც და, მერანელ გრიგალაშვილს ბურთი აეჭრა და კინაღამ ეფექტური ავტოგოლი გაიტანა. გოცირიძემ ფიფია მეკარეს შეატოვა, მაგრამ გოგიმ ბურთი დაკარგა და სიმულაციისთვის ყვითელი ბარათი აიკიდა. მერე თავად გოცირიძე დარჩა კარის წინ და ბურთი ვერ დაამუშავა...

და „მერანი"? უმაღლესი ლიგის დებიუტანტი პირველ ტაიმში ქორიძის ორი სახიფათო დარტყმით გამოირჩა, ტაიმის ბოლო წუთზე კი ქორიძე-მანწკავას უსწრაფესი კონტრიერიში გაგუამ ვერ დაასრულა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან 12 წუთში მატჩს ისედაც მცირე ინტრიგა მოუკვდა. აუტიდან ჩაწოდებული ბურთი ბექა გოცირიძემ საჯარიმოში შეიტანა, სადაც დავით ხანიშვილმა წააქცია, პენალტი კი ჭელიძემ გაიტანა.

რაკილა თამაშმა ინტრიგა საბოლოოდ დაკარგა, სახიფათო მომენტებმაც იკლო. ეგ კი არა, ფაქტობრივად, აღარც ყოფილა. ამიტომ პირდაპირ ბოლო წუთზე გადავიდეთ. ნიკა კვასხვაძის განივ პასს ჭელიძემ ფეხი ააცილა, თორემ გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ სანამ ამ ეპიზოდს ბლოკნოტში ჩავიწერდით, ჭელიძემ თავისი მეორე გოლი მაინც შეაგდო — წამების შემდეგ ღონღაძის პასით ლამაზი თავურით ანგარიში 0:3 გახადა.

# ფარენგეიტი 104

## მარჯვნიდან მარჯვემ იმარჯვა



მატჩის ბედი გრიგოლ დოლიძის (მარჯვნივ) ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა

ბათუმი. 5 აგვისტო. 17 საათი. დინამო. 800 (ტევადობა 5 000)

### ბათუმი 0:1 ამერი

| | |
|---|---|
| 0:1 დოლიძე (10) | |
| *ტიაგომ ვერ გაიტანა პენალტი (79, მეკარე)* | |
| ბათუმი: სომხიშვილი, ექონია, გოგიშვილი, გალოგრე, დუმბაძე, ნაჭყებია (აბაშიძე 50), ცანავა, კუნჭულია (ტულუში 54), ოქრუაშვილი, ჯაბნიძე (ხარაზი 50), ტიაგო *სათადარიგონი: მუქთაშვილი; ქორიძე, ლ. მახარაძე, ფარტენაძე* მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე | ამერი: ქვაჩახია, ჩიკვილაძე, ხვადაგიანი (ბერიანიძე 56), დავითნიძე, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დოლიძე, ბოლქვაძე (გაბისკირია 46), ტატანაშვილი (სევასტოპულო 46), ს. დავითაშვილი *სათადარიგონი: ლ. ნადირაშვილი; დ. მჭედლიშვილი, გ. ჯელაძე, რ. წინამძღვრიშვილი* მწვრთნელი: ნუგზარ ბოჯგუა |
| გაფრთხილება: დობროვოლსკი (33), დეკანოსიძე (35), ექონია (62), ხარაზი (67), დუმბაძე (73) | |
| გაძევება: ელბაქიძე (69) | |
| მსაჯები: კ. ჭაჭუა, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, გ. დოგრაშვილი | |
| დამკვირვებელი: ა. კაჭახიძე | |

გოჩა ჯანაშია ბათუმიდან

**პარგა ხანია**, ბათუმში საფეხბურთო სეზონის პომპეზურად გასახსნელად აღარავის სცხელა. ახლაც უბრალოდ ჩატარდა ყველაფერი — კაპიტნებმა, გიორგი დავითნიძემ და გიორგი სომხიშვილმა ჰიმნის თანხლებით ეროვნული დროშა აღმართეს და სეზონიც გახსნეს.

თავიდანვე უნდა ვთქვათ — ასეთ ხვატში თამაში, დანაშაული თუ არა, სისულელე მაინცაა. 40 გრადუს სიცხეში ორ ტაიმს რომ ირბენს ფეხბურთელი და 4-5 კილოს დაიკლებს, მერე რა აღდგენითი პროცესი უშველის საქმეს?! ლიგაფედერაციას ერთი, ან თუნდაც ნახევარი საათით რომ გადაეწიათ თამაშის დაწყების დრო, ქვეყანა ნაღდად არ დაიქცეოდა.

წესით, ასეთ პირობებში ძალიან დუნე და მოსაწყენი ფეხბურთი უნდა გვენახა, მაგრამ არც მთლად ასე იყო საქმე...

...გაიმარჯვა უფრო ძლიერმა და ეს „ამერი" იყო. სტუმრებმა პირველი ხიფათი მე-2 წუთზევე შექმნეს. გრიგოლ დოლიძის პასს სულიკო დავითაშვილი მეტოქის საჯარიმოს რკალთან დაუხვდა, ცაციათი დაჰკრა და ბურთი ხარიხას გადააშორა.

და მაინც, გოლი სწრაფად გავიდა — საგოლე შეტევა დენის დობროვოლსკიმ ჩინებული პასით დაიწყო, მარჯვნივ დოლიძეს ისე გაუჭრა ბურთი, რომ ცენტრალურ ზონაში ჩარჩენილი მცველები თამაშგარეს შექმნაში ჩაიჭრნენ, დოლიძე ფლანგიდან საჯარიმოში შეიჭრა და კარის გასწვრივ დაბალი ჩააწოდა, ბურთი მცველის ფეხიდან ისევ მას დაუბრუნდა; უხეირო ხელმეორე დარტყმულს კვლავ მცველები და მეკარე გადაელობნენ და თითქოს მომენტიც ამით დამთავრდა, მაგრამ არა — დოლიძემ ბურთი დავითაშვილისკენ გადააგდო, „აბრეზამაც" ყველაფერი ხუთიანზე შეასრულა — შორეულ ძელთან იმავ დოლიძეს ჩააწოდა და 0:1.

გოლამდეც და მერეც „ბათუმმა" სიტუაციის გამწვავება კი სცადა, მაგრამ „ამერის" დაცვას ვერაფერი ავნო. საერთოდაც, პირველი ტაიმი სტუმრების კარნახით წარიმართა, ისინი ბურთს მშვიდად აგორებდნენ, მოკლე განივი პასებით თამაშობდნენ და ძირითადად მარჯვენა ფლანგიდან უტევდნენ.

ტაიმის შუისკენ „ამერს" სწორედ მარჯვნიდან დაწყებული იერიშის შემდეგ მართებდა მეორედ გატანა. ამ ჯერზე დოლიძეს გიორგი დეკანოსიძემ შეუქმნა შორეული გადაცემით უნაკლო მომენტი — გრიგოლმა საჯარიმოში დავითაშვილი მოძებნა, რომელსაც ბურთის გასწორების დროც ჰქონდა და კარში დამიზნებისაც. დაუმიზნა კიდეც, მაგრამ შორეულ ძელს გაარტყა.

„ბათუმის" უკანა ხაზი იმდენად მოშვებული ჩანდა, რომ შესვენებამდე უამრავი პოზიციური შეცდომა დაუშვა. დიმიტრი ტატანაშვილს, თენგიზ ჩიკვილაძეს და იმავ დავითაშვილს პირველივე ტაიმში შეეძლოთ ინტრიგის მოშთობა, მაგრამ ვერ იხეირეს.

პირველ ნახევარში მასპინძლებს ერთი ხიფათისმაგვარი ეპიზოდი გამოუვიდათ — მარცხნიდან გიორგი ოქრუაშვილის ჩაწოდებულს ტიაგომ თავური მიაყოლა, თუმც სიზუსტემ უმტყუნა.

მეორე ტაიმში „ბათუმი" უფრო აგრესიულად ათამაშდა, მარწუხებს მოუჭირა და მეტოქეს თავისუფლად მოქმედების საშუალება ნაკლებად მისცა. იმატა უხეშობამაც და ქუთაისელ არბიტრ კობა ჭაჭუას საქმე მიეძალა. მან რამდენიმე ყვითელი ბარათი ჩამოარიგა, 69-ე წუთზე კი ამერელ გიორგი ელბაქიძეს წითელიც აუნთო. ამ ეპიზოდში ელბაქიძეს ტიაგოს წინააღმდეგ ვარდნა ზედმეტად ხისტი გამოუვიდა და მსაჯმაც უმალ გააძევა მოედნიდან.

მანამდე „ამერს" ერთი იძულებითი შეცვლაც მოუხდა — ვახტანგ ხვადაგიანს პირველ ტაიმში ტიაგოს მიერ მიყენებული ტრავმა გაუმიზეზდა და შესაცვლელი შეიქნა. ჰოდა, ამას კაცნაკლულობა დაემატა და სტუმრები ერთი ხანობა გვარიანად აირივნენ.

მასპინძლებს მატჩის გადასარჩენად ჩინებული შანსი ებოძათ. 78-ე წუთი იყო, საჯარიმოში მარჯვნიდან შესულ ირაკლი ტულუშს დობროვოლსკი რომ შეეჯახა და პენალტი... ნიშნულთან ტიაგო მივიდა და მეკარისგან მარჯვენა კუთხე არჩია, ზურაბ ქვაჩახია ჩანაფიქრს მიუხვდა და „ამერმა" რომ სამი ქულა ირგუნა, მისი დიდი დამსახურებაცაა.

მთავარი მატჩი კი თბილისურ კლუბს 10 აგვისტოს აქვს ბერლინში და როგორი რეპეტიცია გამოდგა ბათუმური მატჩი, ამას ხუთშაბათს შევიტყობთ. ერთი კი ცხადია — „ჰერტა" არც „ბაბანცია" და, მით უმეტეს, არც „ბათუმი", თუმც ღირსეული თამაში ყველასთან შეიძლება.

საჩხერე. 6 აგვისტო. 17 საათი. ცენტრალური. 2 000 მაყურებელი

### ჩიხურა 0:0 ტორპედო

| | |
|---|---|
| ჩიხურა: მამალაძე, მემარნიშვილი, ა. ბურნაძე, თედორაძე, სანიკიძე, მესხი, მარგალიტაძე, ჩომახიძე (დ. გოდერძიშვილი 46), მიქაძე, კაკალაძე (სულთანიშვილი 73), ლ. მერებაშვილი *სათადარიგონი: დოლაძე, ბრეგვაძე, ვაშაკიძე, თავბერიძე, სტეფანიშვილი* მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი | ტორპედო: კოდალაევი, გამეზარდაშვილი, ბერუაშვილი, ხარებავა (ცქვიტაია 46), გურული, ფარულავა, თ. უგრეხელიძე, გ. ჩხეტიანი, ზ. ჩხეტიანი, ქუთათელაძე (ჭედია 38; ლალაძე 66), კრასოვსკი *სათადარიგონი: ქვილითაია, ნ. ნადირაძე, დოლონაძე, რ. კვერნაძე* მწვრთნელი: იური კვერნაძე |
| მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, მ. ნაკაიძე, ზ. ერქვანია, დ. ხარიტონაშვილი | |
| დამკვირვებელი: ა. დურსუნიში | |

# ჩიხ-ურა გადაიდო

ოთარ აბესაძე საჩხერიდან

**საჩხერის** „ჩიხურა" პირველადაა უმაღლეს ლიგაში და ზემოიმერლებიც საგანგებოდ ემზადებოდნენ პირველი სამი ქულის მოსაპოვებლად. პაპანაქება სიცხის მიუხედავად, გულშემატკივარი მრავლად მოვიდა სტადიონზე.

ხვიჩა ქასრაშვილმა იგივე შემადგენლობა გაიყვანა „ტორპედოსთან", რომელიც პირველ ტურში თბილისის „ამერთან" ათამაშა.

„ჩიხურამ" აშკარად კარგად ითამაშა და ცოტა რომ გამართლებოდა, პირველ ისტორიულ გამარჯვებასაც მოიპოვებდა. უკვე მე-4 წუთზე ლევან სანიკიძის დარტყმის შემდეგ ბურთი მიხეილ კაკალაძეს მიუვიდა, მაგრამ მან კარს გადააცილა...

ბურთს „ჩიხურა" ფლობდა, ქუთაისელებმა კი ტაქტიკა კონტრშეტევაზე ააწყვეს.

სანიკიძის კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი სანდრო ბურნაძემ კარგად დაუგდო ედიშერ მარგალიტაძეს, მაგრამ ამას დარტყმა არ გამოუვიდა.

პირველ ნახევარში ქუთაისელთა ერთადერთი შეტევისას გივი ჩხეტიანის მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს გიორგი კრასოვსკი შეეგება, თუმცა ბურთი გარედან მოხვდა ბადეს.

საჩხერელთა პასუხი მალე იყო — გიორგი მემარნიშვილის ფლანგური გადაცემისას უმეთვალყურეო გიორგი მიქაძეს მართებდა გოლის გატანა.

საჩხერელთა მორიგ კუთხურს კიდევ ერთი ხიფათი მოჰყვა — სანდრო ბურნაძის მიერ დარტყმული თავური ბესიკ კოდალაევმა მოიგერია...

„ჩიხურა" დაწოლას აგრძელებდა. საჩხერლებმა კარგად გაითამაშეს კომბინაცია, მიქაძის პასით კაკალაძე აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, მაგრამ მისი დარტყმული ისევ კოდალაევის ნადავლი შეიქნა.

მეორე ნახევარიც იგივე სცენარით წარიმართა, თუმცა გოლი არა და არ ჩანდა. მარგალიტაძემ და კაკალაძემ შორეული დარტყმებითაც სცადეს გატანა, თუმცა ამაოდ...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 9:1 | 6 |
| ზესტაფონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ამერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ოლიმპი | 1 | 1 | 0 | 0 | 7:0 | 3 |
| მერანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ტორპედო | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| ბათუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ჩიხურა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ბორჯომი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| დილა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| სიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| კახეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | 0 |



მიხეილ კაკალაძემ და „ჩიხურამ" პირველი უმაღლესლიგური სამი ქულა ვერა და ვერ გამოადნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოსტაკურტა: ზლატანი ზიდანია

## როგორ ეხება ბურთს იბრაჰიმოვიჩი?


ალესანდრო კოსტაკურტა

ცნობილი ალესანდრო, იგივე ბილი კოსტაკურტა ამბობს, რომ „იუვენტუსი" სერია B-ში არ უნდა გაეგდოთ, თუმცა ზლატან იბრაჰიმოვიჩის „მილანში" გადასვლის თეორიულ შესაძლებლობას მიესალმება


პაველ ნედვედი და ზლატან იბრაჰიმოვიჩი

**„ტურინელები** სერია B-ში არ უნდა გაეგდოთ. კლუბი მეტისმეტად მკაცრად დაისაჯა, მაშინ, როდესაც მართლა დამნაშავენი ამ ყველაფრის ფონზე იოლად გამოძვრნენ. გამოვიდა, რომ კლუბებს, ქომაგებს, სპონსორებს და ფეხბურთელებს აზღვევინეს ის, რაც ორ კაცს უნდა ეზღო" — განაცხადა 40 წლის მცველმა.

შეგახსენებთ: „იუვენტუსს" სერია B-ში გაგდება არ აკმარეს, ახალ სეზონს მინუს ჩვიდმეტი ქულით აწყებინებენ და თან, ბოლო ორი წლის სკუდეტო ანუ ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს. ამ ორი ტიტულიდან ერთი, 2005-06 წლების ჩემპიონატისა, „ინტერს" გადასცეს, მეორეზე კი არაფერს ამბობენ — გამოვიდა, რომ ერთი ჩემპიონატი იტალიაში ტყუილად ჩატარდა. „იუვეს" გარდა დაისაჯნენ „ლაციო", „ფიორენტინა" და „მილანი", ოღონდ ეს გუნდები სერია A-დან არ გაუგდიათ, უბრალოდ, ახალ სეზონს მინუსებით დაიწყებენ — „ლაციო" და „ფიორენტინა" მინუს 15-ით, ხოლო „მილანი" მინუს 8-ით.

„ჩემი აზრით, ტიტულის სხვისთვის, ამ შემთხვევაში კი „ინტერისთვის" გადაცემა სწორი საქციელი იყო, რადგან ტრიბუნალის გამოტანილი ვერდიქტი სხვა საშუალებას აღარ ტოვებდა, თუმცა „მილანი" სკუდეტოს მაინც „ინტერზე" მეტად იმსახურებდა. „ინტერის" მწვრთნელის, რობერტო მანჩინის გამონათქვამებმა, მართალი გითხრათ, გამაღიზიანა. ბოლოს და ბოლოს, ის, რაც მათ მიიღეს პატიოსანი სკუდეტო კი არა, სასამართლოს გადაწყვეტილება იყო და მეტი არაფერი. მთელ ამ ისტორიაში ყველა გუნდის ფეხბურთელები აბსოლუტურად უდანაშაულონი არიან".

მაგრამ ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ „იუვენტუსი" სერია B-ში გააძევეს და ამის გამო მას ბევრი ფეხბურთელი გაექცა. ხოლო მოთამაშე, რომელიც ჯერჯერობით ვერ მიდის, არადა ძალიან უნდა წასვლა, ბოსნიურ-ხორვატული წარმოშობის შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩია. იბრაჰიმოვიჩის მომავალი სულ მალე გაირკვევა. ამბობენ, რომ მას „მილანი" შეიძენს, თუმცა ცუდი ყოფაქცევის გამო „იუვემ" „იბრას" დაჯარიმება მაინც მოასწრო — თავდამსხმელი პარასკევს ამხანაგურ თამაშზე არ მივიდა.

„ერნან კრესპო ან იბრაჰიმოვიჩი? — განაგრძობს კოსტაკურტა — ერნანი ძალიან კარგი ბიჭია, მაგრამ როგორც ფეხბურთელი, იბრაჰიმოვიჩი უბრალოდ მიყვარს. იქნებ ვაჭარბებდე, მაგრამ მგონი, ბურთს ზინედინ ზიდანივით ეხება".

ზიდანივით ეხება იბრაჰიმოვიჩი ბურთს, პელესავით თუ მარადონასავით, „იუვენტუსში", როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მან შეფები გააბრაზა, ფეხბურთელები კი მისთვის რაიმეს მტკიცებაში აზრს ვერ ხედავენ.

პაველ ნედვედი: „თუ წასვლა უნდა, წავიდეს. კაცს სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაში უნდა თამაში. ჰოდა, მის ძალად დატოვებას არანაირი აზრი არ აქვს. ცხადია, სამწუხაროა, კარგი მოთამაშე რომ მიდის. მეტიც, რაღაც-რაღაცებით ის შეუცვლელიც კია, მაგრამ რა გაეწყობა. მე იბრაჰიმოვიჩს ვერ განვსჯი, ისევე, როგორც ვერ განვსჯი ჯანლუკა ძამბროტას, ფაბიო კანავაროს და პატრიკ ვიეირას".

შეგახსენებთ, რომ ძამბროტა „ბარსელონაში" გადავიდა, კანავარო „რეალში", ხოლო ვიეირა „ინტერში". რაც შეეხება ჩეხ ნედვედს, ის ალესანდრო დელ პიეროსთან და შესაძლოა, ჯანლუიჯი ბუფონთან ერთად „იუვენტუსში" რჩება.

მაგრამ ჩვენ დავუბრუნდეთ „მილანსა" და კოსტაკურტას — შავ-წითლები ჩემპიონთა ლიგის მესამე შესარჩევ ეტაპზე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ხვდებიან. მოგეხსენებათ, კალჩოპოლის ტრიბუნალის თავდაპირველი ვერდიქტით „მილანს" ჩემპიონთა ლიგაში აღარ უნდა ეთამაშა, მერე, სააპელაციო კომიტეტმა ვერდიქტი გადათქვა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციამაც უეფას კენჭისყრისთვის „მილანი" წარუდგინა, მაგრამ აქ თავად უეფას გაუჩნდა ეჭვი — გუნდი, რომელსაც 8 საჯარიმო ქულა დააკლეს ანუ თაღლითობაში ამხილეს და დასაჯეს კიდეც, ჩემს შეჯიბრებაში რატომ უნდა თამაშობდესო. მოკლედ, უეფამ დრო ითხოვა და კანონებში ჩაიხედა, მაგრამ მილანელთათვის ლიგაში თამაშის აკრძალვა ვერ მოახერხა, რადგან ვერც ერთი მუხლი და პუნქტი ვერ მიუყენა. საბოლოოდ, როგორც მოგახსენეთ, „მილანი" შეჯიბრებაში დაუშვეს, მაგრამ უეფამ თავის განცხადებაში ფაქტობრივად დაუფარავად თქვა, რომ იძულებულია ასე მოიქცეს, თორემ სიამოვნებით დასჯიდა გუნდს, რომელიც დამნაშავედ მიაჩნია.

კოსტაკურტა: „ამ ამბავში გარეულნი არიან ძლიერნი ამა ქვეყნისანი. წარმოიდგინეთ, ფიფას პრეზიდენტია იოზეფ ბლატერი, რომელზეც რაიმე არაჯენტლმენურს ვერ ვიტყვი. მერედა, საქმეში ჩემზე მეტად ჩარეულმა ხალხმა მითხრა, რომ უეფამ ჩვენთან დაკავშირებით, უბრალოდ, სასაცილო განცხადება გააკეთა. იმედი მაქვს, იმის გამო, რომ ვერ დაგვსაჯეს ახლა მსაჯებს არ მოგვიგზავნიან."

საინტერესოა, რომ 40 წლის კაცს ოთხშაბათს „ცრვენა ზვეზდას" წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში მოუწევს თამაში, რადგან მწყობრში არ არიან ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი, დარიო შიმიჩი და მარკოს კაფუ.

„მეგონა, გასული სეზონის ნახევარფინალური მატჩი „ბარსელონას" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგაში ჩემი უკანასკნელი თამაში იქნებოდა, მაგრამ ახლა ისევ მიწევს მოედანზე გასვლა. ეს, ცხადია, მეამაყება, მაგრამ როგორც „მილანის" გულშემატკივარს, მერჩივნა შეხვედრაში საუკეთესოებს მიეღოთ მონაწილეობა" — დასძენს კოსტაკურტა, რომელსაც „ცრვენა ზვეზდასთან" ცუდი მოგონებები აკავშირებს. საქმე ის გახლავთ, რომ 18 წლის წინ, ბელგრადში „მილანი" ჩემპიონთა თასიდან კინაღამ გავარდა. საშინელმა ავდარმა მატჩი ჩაშალა და ჩხუბიც ატყდა.

„მახსოვს, მსაჯმა გოლი არ ჩაგვითვალა. მატჩის შემდეგ გასახდელებისკენ მიმავალ გვირაბში პოლიციაც კი თავს დაგვესხა".

**პაპუნა ძიდია**

# 15 წლის ოქროს ბუცი


დარკო პანჩევმა კუთვნილი ჯილდო მიშელ პლატინისგან ჩაიბარა

**დარკო პანჩევმა** „ოქროს ბუცი"... თხუთმეტწლიანი დაგვიანების შემდეგ მიიღო. გასულ პარასკევს, „ცრცვენა ზვეზდას" ექსფეხბურთელი ნანატრი ჯილდოთი გაახარეს. მაკედონიელი დარკოსთვის „ოქროს ბუცი" 1991 წელს უნდა მიეცათ, როცა 35 გოლი გაიტანა, მაგრამ...

საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ კვიპროსის ფეხბურთის ფედერაციამ „ეკიპის" (დაჯილდოების მაშინდელი ორგანიზატორის) გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მავან კვიპროსელ ფეხბურთელს პანჩევზე მეტი, ორმოცი გოლი აქვს გატანილიო. დარკოსთვის ჯილდოს გადაცემა შეფერხდა, მერე ყველაფერ ამას იუგოსლავიური შინაომები, ქვეყნის იზოლაციაც დაერთო და სასოწარკვეთილი პანჩევის გარდა, 1991-ის „ოქროს ბუცის" არსებობა აღარავის გახსენებია.

„ცრვენა ზვეზდამ" 1991 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში, „მარსელს" პენალტების სერიაში დარკო პანჩევის გადამწყვეტი გოლით მოუგო. მაკედონიელი შემდეგ მილანის „ინტერშიც" თამაშობდა, თუმცა იქ თავი ვერ გამოიჩინა — სამ სეზონში 19 მატჩში მიიღო მონაწილეობა და ოდენ სამი გოლი შეაგდო. დღეს, ძველჩაუქი ოსტატი ნაგვიანევი გამარჯვებით ტკბება.

„მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს, კუთვნილი ჯილდო გადმომცეს. ამ დღეს ძალიან დიდი ხანი ველოდე" — თქვა ვეტერანმა ჟურნალისტებთან.

**ლადო ხომერიკი**

# სერ ბობის სისხლი ჩაექცა

სერ ბობი რობსონს ტვინში სისხლი ჩაექცა.

ეს სამწუხარო ამბავი „იფსვიჩ" — „კრისტალ პალასის" მატჩის მეათე წუთზე მოხდა და მოხუცი მსწრაფლ გააქანეს იფსვიჩის ჰოსპიტალში.

ერთი თვის წინათ 73 წლის სერ ბობი „იფსვიჩის" პრეზიდენტად აირჩიეს. ეს ის კლუბია, რომელსაც მან ოდესღაც უეფას თასი მოაგებინა და 13 წელიწადი უხელმძღვანელა. „პორტმან როუდზე" მისული სერ ბობი ხალხს ესალმებოდა, ავტოგრაფებსაც არიგებდა და უცებ...

ბედად, მას მეგობარი ექიმი ახლდა.

დიდ კაცს მარცხენა მხრის დამბლა აქვს.

თუმცა, მედიამ ჯერ არ იცის მისი ჯანმრთელობის ნამდვილი მდგომარეობა. თავს კარგად გრძნობსო, გამოაცხადა საავადმყოფოს პრესმდივანმა.


როგორც ნამდვილ ფეხბურთის კაცს, სერ ბობის უბედურება სტადიონზე დაემართა. ვინ იცის, ევებ ასეთი ხალხისთვის მძიმე წუთები სწორედ მინდორზეა შემონახული. მისმა საყვარელმა „იფსვიჩმა" კი 2:1 მოიგო.

**ირაკლი გამყრელიძე**

# რატომ ვგრძნობ თავს იტალიელად

**ერნან კრესპომ** იტალიის მოქალაქეობა მიიღო და იმედოვნებს, რომ ეს მას დაუყოვნებლივ დააბრუნებს მილანში — ქალაქს ვგულისხმობთ და ბრჭყალებიც იმიტომ არ დაგვიწერია. დიახ, იტალიელი ქალის არგენტინელმა ქმარმა, რომელსაც ორი ქალიშვილი ჰყავს — მეორე შარშან შეეძინა — იტალიის რესპუბლიკას ერთგულება გასულ ხუთშაბათს შეფიცა.


ერნან კრესპო

„თავს დიდებულად ვგრძნობ — უთხრა კრესპომ „ლა გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტს — იტალიაში თავი ყოველთვის შინ მეგონა. აქ ათი წელიწადი ვიცხოვრე, დავოჯახდი და ორი შვილი შემეძინა. ჩემი გული არგენტინასა და იტალიას შორისაა გაყოფილი. იტალიაში დაბრუნება და თამაში ჩემთვის უდიდესი სიხარული იქნებოდა, რადგან თავს ამ ქვეყანაში უკეთ ვგრძნობ და აქ უფრო გემრიელად ვთამაშობ ფეხბურთს“.

აღსანიშნავია, რომ კრესპოს „ჩელსის“ მწვრთნელისთვის, ჟოზე მაურინიუსთვის არასდროს დაუმალავს, რომ სერია A-ში დაბრუნებაზე ოცნებობს, თუმცა რამდენად გამოუვა „მილანში“ მოწყობა, სხვა საქმეა. „მილანი“ „იუვენტუსთან“ შვედი ზლატან იბრაჰიმოვიჩის თაობაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს და თუ ეს საქმე გამოუვიდა, კრესპოს, ალბათ, აღარ იყიდის. ამიტომ, სრულიად შესაძლებელია, არგენტინელმა „ინტერში“ ამოჰყოს თავი.

— „ინტერიცა“ და „მილანიც“ ჩემი ყოფილი გუნდია. მათ შორის არჩევანის გაკეთება მიჭირს. თან, ორივეს ჩემი ყოფილი მწვრთნელი უდგას სათავეში, ასე რომ, უბრალოდ დაველოდები და გავიგებ, რომელს უფრო ვჭირდები. ეს ფულის ამბავი არ არის, ეს ცხოვრების სტილის ამბავია, ხოლო ცხოვრების შენეულ სტილს, ვფიქრობ ფასი არ აქვს. თან, გაითვალისწინეთ, არც ერთ გუნდს არ დავაძალებ და მოვთხოვ, რომ მაინც და მაინც ძირითად შემადგენლობაში დამიბევოს ადგილი. ერთადერთი, რაც მათგან მინდა, ჩემი შესაძლებლობების რწმენაა, დანარჩენს კი თავად მივხედავ, გუნდში საკუთარ ადგილს თვითონ ვიპოვნი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ წესითა და რიგით, აწ უკვე იტალიელ-არგენტინელს ოცნების ახდენაში „ჩელსიმ“ ხელი არ უნდა შეუშალოს. კრესპოს აგენტის ფერნანდო იდალგოს განცხადებით, ჟოზე მაურინიუმ თავდამსხმელს გაშვება აღუთქვა.

კრესპო: „ჩემი აგენტისა მჯერა და ამ საკითხების მოგვარებას მას ვანდობ. ჩემს კონტრაქტს ლონდონელებთან ვადა 2008 წელს გაუდის, ასე რომ, ორშაბათს „ჩელსის“ შეკრებაზე პატიოსნად გამოვცხადდი. დანარჩენი გამოჩნდება. წასვლაზე შარშან უფრო გაგიჟებული ვიყავი, წლეულს ისე აღარ ვარ, რადგან რომან აბრამოვიჩთან, პიტერ კინიონთან და მოურინიოსთან კარგი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. მე გოლები გავიტანე, ინგლისის ჩემპიონი გავხდი და დავმშვიდდი კიდეც — ლონდონიდან წასვლა ამიერიდან, დამარცხებული კაცის გაპარვას აღარ ემსგავსება“.

შემდეგ, კრესპოსთან საუბარი კალჩოპოლის სკანდალს შეეხო.

„სკანდალის გამო მეტად ვწუხვარ — მიუგო კორესპონდენტს „ლაციოსა“ და „პარმას“ ყოფილმა ვარსკვლავმა — არ მჯერა, რომ სპორტში ყველაფერი დამპალია. ვწუხვარ, სკანდალის გამო ბევრი ძალიან დიდი ფეხბურთელი ქვეყნიდან რომ წავიდა. სერია A-ს დიდ პატივს ვცემ და თუ საშუალება მომეცემა, მისი პრესტიჟის აღდგენაში სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას. იტალიური ფეხბურთის ნამდვილი სახე მსოფლიომ გერმანიაში ნახა. ბედნიერი ვარ, ჩემი მეგობრები მსოფლიოს ჩემპიონები რომ გახდნენ. 23 კაციდან 10 ჩემი ყოფილი თანაგუნდელი გახლდათ. იცით, მსოფლიოს ჩემპიონატს რომ ვუყურებდი, მივხვდი, რატომაც ვგრძნობ თავს იტალიელად“.

**პაპუნა ძიძია**

# თამაში ფულზე



„სანი“ განაგრძობს ფრენკ ლამპარდის წიგნის — „ტოტალური ფრენკის“ ფრაგმენტების ბეჭდვას, ჩვენ კი ამ ფრაგმენტების ფრაგმენტებს ვთარგმნით და თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს. აი, მაგალითად, საინტერესო მონაკვეთი, რომელიც... უფულობას ეხება. ხომ კარგია, პრემიერლიგის კლუბი და უფულობა. თან, საუბარია „ჩელსიზე“, რომელმაც ბოლო წლებში ისეთი სახელი შეიძინა, რომ მის გვერდზე უფულობის ხსენება მეტად უხერხულია. მაგრამ, ის, რასაც ლამპარდი აღწერს რომან აბრამოვიჩამდე იყო:

„2002-03 წლების სეზონის ბოლო თამაში „ლივერპულთან“ 10 მილიონი დოლარის მომტანი გახლდათ, რადგან გამარჯვებული ჩემპიონთა ლიგაში გადიოდა, მაგრამ მატჩის წინა საღამოს აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს წინაშე ამოცანა სულ სხვანაირად, კერძოდ კი გაცილებით მწვავედ იდგა. ჩვეულებისამებრ, გუნდური სადილი უნდა გვქონოდა, მაგრამ გამოგვიცხადეს, რომ ერთ ოთახში შევკრებილიყავით. ვიღაცას რაღაცა ჰქონდა სათქმელი. ეს მეტად უცნაური იყო და ამიტომაც ვისხედით ყველანი ჩუმად, როდესაც კარი გაიღო და აღმასრულებელი შეფი ტრევორ ბირჩი შემოვიდა. მან თქვა:

„თქვენთან დამალობანას თამაშს არ ვაპირებ, პირდაპირ გეტყვით, რომ კლუბი ძლიერ გასაჭირშია. ფაქტობრივად ფინანსური კრიზისის პირას ვდგავართ და იმისათვის, რომ „ჩელსიმ“ მომავალ სეზონშიც იარსებოს, ხვალ უნდა გაიმარჯვოთ. მოკლედ, თქვენ „ლივერპულს“ რომ ვერ მოუგოთ და ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდეთ, კლუბი გაქრება“.

კლაუდიო რანიერიმ, ბუნებრივია ადრეც იცოდა რა ხდებოდა, მაგრამ ჩვენს მხოლოდ ფეხბურთზე მომართვას ცდილობდა. საბოლოოდ მოტივაციამ იმატა და საბედნიეროდ „ლივერპულს“ 2:1 მოვუგეთ, მაგრამ დღეს, როდესაც იმ დღეს ვიხსენებ, საკუთარ თავს სულ იმას ვეკითხები, რა მოხდებოდა რომ წაგვეგო?

მოგვიანებით შევიტყვე, რომ სეზონის დასაწყისში, როდესაც ბირჩმა თანამდებობა ჩაიბარა, ყველა ფეხბურთელის კონტრაქტს გადახედა. მან გადახედა ჩემს ძვირადღირებულ ხელშეკრულებასაც და იფიქრა, რომ ყველაფერს ჩემი იაფად გაყიდვა, სამაგიეროდ კი ხელფასისთვის გადადებული თანხის დაზოგვა აჯობებდა.

სასაცილოა, როგორ იცვლება ცხოვრებაში ყველაფერი“...

**პაპუნა ძიძია**



# კალჩოპოლით კმაყოფილი

**ვეტერანი** პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ კალჩოპოლის გამოძიებით კმაყოფილია. მისი აზრით, სამართლიანობამ იზეიმა და გასული სეზონის სკუდეტოს „ინტერისთვის“ გადაცემაც გამართლებულად მიაჩნია. იტალიის ნაკრების კაპიტანმა და „იუვენტუსის“ ყოფილმა მცველმა, ფაბიო კანავარომ, ცოტა ხნის წინ თქვა, ის სკუდეტო ხალხს მაინც ყოველითვის „ბებერი ქალბატონის“ მონაგებად ემახსოვრებაო, მაგრამ 34 წლის ლუზიტანი ასე არ თვლის.

ლუიშ ფიგუ: „მარტივი წესია, ფეხბურთში შედეგს მინდორზე პატიოსანი თამაშით უნდა მიაღწიო და არა მაქინაციებით. ამიტომ კალჩოპოლის გამოძიებით ძალიან კმაყოფილი ვარ. რაც შეეხება კანავაროს სიტყვებს, მას თავისი აზრი აქვს და მესმის, რადგან „იუვენტუსში“ თამაშობდა და მინდორზე ბოლომდე იხარჯებოდა. თუმცა ფაბიომ სხვა ფეხბურთელების მდგომარეობაც უნდა გაითვალისწინოს, რომლებიც ასევე მაქსიმუმს გასცემდნენ მიზნის მისაღწევად, მაგრამ ტიტულის მოგების შანსი არ ჰქონდათ, რადგან მათი კლუბები გასვრილები არ იყვნენ“.

მოგეხსენებათ, „იუვენტუსი“ სერია **B**-ში გააგდეს, ხოლო „მილანი“ სერია **A**-ს მინუს რვა ქულით დაიწყებს. ასე რომ, „ინტერი“ სკუდეტოსთვის ბრძოლაში ფავორიტია და ზოგმა „ნეროაძური“ წინასწარვე ჩემპიონადაც გამოაცხადა.

„ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია ან აშკარა ფავორიტები ვართ. სხვა კლუბებს პატივს ვცემთ და ვიცით, რომ სკუდეტოს მოსაპოვებლად მძიმე ბრძოლა მოგვიწევს. თუმცა „მილანისა“ და „იუვენტუსის“ დასჯა საქმეს უთუოდ გვიმსუბუქებს“ — დასძინა ფიგუმ.

„ინტერი“ კი 19 აგვისტოს მალიორკაში „ტროფეო სიუტატის“ ამხანაგურ შეჯიბრზე მიიწვიეს. ეს ტურნირი 1969 წლიდან ტარდება, ხოლო „ნეროაძური“ გახდება პირველ იტალიური კლუბი, რომელიც მასში მონაწილეობას მიიღებს.

**კოკი კანდელაკი**

# ემილიანო დაფასდა



**ესპანურმა** „ვალენსიამ“ იტალიელ მცველ ემილიანო მორეტის კონტრაქტი 2011 წლამდე გაუხანგრძლივა. „ღამურათა“ თავკაცობამ 25 წლის ფეხბურთელს გარჯა დაუფასა — მორეტიმ შარშანდელ სეზონში პრიმერადივიზიონის 33 მატჩში მიიღო მონაწილეობა და „ვალენსიას“ საჩემპიონთალიგო, მესამე ადგილის მოპოვებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის.

ემილიანოს ძველი კონტრაქტი 2009 წლამდე ითვალისწინებდა იტალიელის ყოფნას „მესტალიაზე“. მორეტი „ვალენსიაში“ 2004 წლის ზაფხულში გადავიდა, იქამდე კი იტალიურ გუნდებში: „პარმაში“, „ფიორენტინაში“, „იუვენტუსში“, „მოდენაში“ და „ბოლონიაში“ ბურთაობდა. შეგახსენებთ, რომ წელს, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად, „ვალენსიამ“ ავსტრიული „ზალცბურგი“ უნდა დაჯაბნოს.

**ლადო ხომერიკი**

# სტუმრებმა მასპინძლებს ბუხარი გოლებით ამოუშენეს

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. I ტური**

**ნანტი 1:3 ლიონი**

1:0 ბუხარი (4), 1:1 ბენზემა (5), 1:2 სკილაჩი (63), 1:3 ფრედი (88)

**ნანსი 1:0 მონაკო**

1:0 ზერკა (55)

**ოსერი 1:1 ვალანსიენი**

0:1 სავიდანი (43), 1:1 მინო (50)

**ბორდო 2:0 ტულუზი**

1:0 შამახი (58), 2:0 ფობერი (88)

**ლე მანი 1:0 ნიცა**

1:0 გრაფიტე (18)

**ლანსი 1:0 ტრუა**

1:0 დინდანე (37)

**პსჟ 2:3 ლორიენი**

1:0 ფრო (29), 1:1 ფიორეზე (32), 2:1 პანკრატე (45), 2:2 ფიორეზე (53), 2:3 საიფი (75)

**რენი 1:2 ლილი**

0:1 ბოდმერი (10), 0:2 კეიტა (42), 1:2 მონტერუბიო (56)

**სტ. ეტიენი 1:2 სოშო**

1:0 პიკიონი (17), 1:1, 1:2 ლეროი (22, 74)

**სედანი 0:0 მარსელი**


AFP პარიზიდან

„ლორიენის" მეკარე ოდარმა პარიზელებს მესამე გოლი აღარ გაატანინა

**საფრანგეთის** ჩემპიონატი პარასკევს, „ნანტისა" და „ლიონის" მატჩით დაიწყო. მოქმედი ჩემპიონი ტიტულის დაცვას ღირსეულად შეუდგა, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად, მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ცხრა მოთამაშე აკლდა, რომელთაც შვებულებები გაუგრძელდათ. „ლიონი" ამ შეხვედრის გადატანასაც კი ითხოვდა, მაგრამ უარი მიიღო.

„ნანტი" დებიუტშივე დაწინაურდა. ამ ზაფხულს „აიაქსიდან" ნაყიდმა ნურედინ ბუხარიმ შორიდან ლამაზად და ზუსტად გაისროლა. ნანტელები ჯერ ისევ ზეიმობდნენ, როცა კარიმ ბენზემამ ჯონ კარეუს კროსს ფეხი მარჯვედ დაუხვედრა და 1:1. მომენტები ორივე კართან მრავლად იქმნებოდა, მაგრამ მასპინძლები ბოლო მომენტში სცოდავდნენ, ხანაც ლიონელთა მეკარე რემი ვერკუტრი ყოჩაღობდა. ჟერარ ულიეს შეგირდებმა კი თავიანთი შანსებიდან კიდევ ორი გამოიყენეს და დამსახურებულად იმარჯვეს. ჯერ სებასტიან სკილაჩიმ შეაგდო მაჰამადუ დიარასა და კლაუდიო კასაპას აქტიურობის შემდეგ, მატჩის მიწურულს კი ბრაზილიელმა ფრედმა შვედი კიმ კალსტრიომის პასი შეირგო.

სენსაციები პირველივე ტურში გამოცხვა. პსჟ-ს, როგორც ჩანს, ვერც გი ლაკომბი შველის და ვერც ახალი ფეხბურთელები. დედაქალაქელებმა „პარკ დე პრენსზე", უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „ლორიენთან" წააგეს და სტადიონზე მისული ორმოც ათასამდე ქომაგი დაამწუხრეს. არადა, პარიზელები ორჯერ იგებდნენ, მაგრამ ფაბრის ფიორეზემ, რომელიც „ლორიენში" ამ ზაფხულს სწორედ პსჟ-დან გადავიდა, ორჯერვე გაათანაბრა. სტუმრათა გამარჯვებისა კი რაფიკ საიფიმ შეაგდო.

გაგვაოცა „ოსერმაც", რომელსაც ასევე უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულ „ვალანსიენთან" დაუცდა ფეხი. მატჩი საკმაოდ უხეში გამოდგა — რვა ყვითელი და ერთი წითელი ბარათი. 89-ე წუთზე „ოსერს" იოჰან რადე გაუგდეს. მასპინძლებს საკმაოდ საგრძნობი უპირატესობა კი ჰქონდათ, მაგრამ ერთზე მეტის გატანა ვერაფრით ვერ შეძლეს.

„ვალანსიენი" პირველი ტაიმის მიწურულს სტივ სავიდანმა ჩინებული გარღვევის მე[illegible] ნახევრის დებიუტში კი ჟან-პასკალ მინომ დასწრებაზე ივარგა და საბოლოოდ 1:1. „ოსერის" ახალი მწვრთნელის, ჟან ფერნანდესის დებიუტი მთლად წარმატებული ვერ გამოდგა.

გასული სეზონის მეორეადგილოსანმა „ბორდომ" მოგებით დაიწყო. ჟირონდელებმა იოლად სძლიეს „ტულუზს". მართალია, მასპინძლებმა პირველი გოლი მხოლოდ 58-ე წუთზე შეაგდეს, ხოლო მეორე სულაც 88-ეზე, მაგრამ მთელი მატჩის მანძილზე სრულ უპირატესობას ფლობდნენ და რომ არა სტუმართა მეკარის ნიკოლა დუშერის ბრწყინვალე თამაში, სხვაობა უფრო დიდი იქნებოდა.

ულიმღამოდ დაიწყო „მონაკომ". მთავარი მწვრთნელის პოსტზე ლასლო ბოლონის დებიუტი მონაკოელებმა „ნანსთან" წაგებით „აღნიშნეს". შეხვედრა მეტად უხეში გამოდგა. „მონაკომ" ბოლო 10 წუთი 10 კაცით ითამაშა.

**გიორგი კაკაბაძე**

**II დივიზიონი. II ტური**

გენგამი — აიაჩო 1:1; ამიენი — სტრასბური 1:0; ბასტია — რეიმსი 1:0; ბრესტი — ლიბურნი 2:2; შატორუ — ლე ავრი 2:2; დიჟონი — კაენი 0:2; მეცი — ისტრი 3:0; მონპელიე — გენიონი 0:3; ნიორი — გრენობლი 2:1; ტურსი — კრეტეი 1:1; ლიბურნი — ბასტია დღეს გაიმართება

# კარეუ დიარას მაჭანკალია



დიდი ამბავია ატეხილი მადრიდში ლიონელი მაჰამადუ დიარას შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით. ფაბიო კაპელოს გიგანტი აფრიკელით „რეალის" ნახევარდაცვის გაძლიერება სურს და ამიტომაც აჩქარებს სამეფო თეთრების სპორტულ დირექტორ მიატოვიჩს, „ლიონთან" საქმე, რაც შეიძლება, მალე მოვაგვაროთო. დიარას, საფრანგეთში, ორიოდე დღის უკან მადრიდული „ასის" კორესპონდენტმა ჩააკითხა და მალელმაც „ნანტი" — „ლიონის" ჯახის დასრულების შემდეგ, სწორედ, მასთან გასაუბრება ისურვა და არა ფრანგ ჟურნალისტებთან — „რეალის" სატრანსფერო მიზნებში უფრო ნათლად გარკვევა უნდოდა.

— განაცხადა „ლიონის" პრეზიდენტმა ჟან მიშელ ოლამაც.

ფრედეიკ გერა, მაჰამადუ დიარას აგენტი კი ამბობს, რომ მალელი ფეხბურთელი სამეფო თეთრ მაისურას ორ-სამ დღეში მოირგებს. „მანჩესტერ იუნაიტედს" და „მილანს" უარი ვუთხარით. დიარას მხოლოდ „რეალში" თამაში სურს. მისი მადრიდში გადასვლა რამდენიმე დღის ამბავია — ირწმუნება აფრიკელის წარმომადგენელი.

ვინა რის მაჰამადუ დიარა?

„ლიონის" ამჟამინდელი ნახევარმცველი 1981 წლის 18 მაისს მალიში, ბამაკოში დაიბადა. „ლიონში" 2002 წლიდან თამაშობს და ფრანგულ გრანდთან ერთად, სამჯერ ქვეყნის ჩემპიონობა აქვს მოპოვებული. ბურთაობდა აგრეთვე ბერძნულ „ოფსა" და ჰოლანდიურ „ვიტესში". არის მალის ნაკრების წამყვანი მოთამაშე. 1999 წელს ოცწლამდელთა მუნდიალზე ბრინჯაოს მედალი მოიგო.

„რეალის"გარდა, დიარას შეძენით ყველაზე მეტად „მანჩესტერი" იყო დაინტერესებული. „წითელ ეშმაკებს" ამ ფეხბურთელით სახელგანთქმული როი კინის შეცვლა უნდოდათ. „ლიონმაც" მშვენივრად იცის, აფრიკელის დაკარგვა რომ მძიმე საქმეა — ესიენის „ჩელსიში" გადაბარგების შემდეგ დიარა ულიეს გუნდის ნახევარდაცვის ლიდერი გახლავთ.

მას თამაშის სტილით პატრიკ ვიეირას და კლოდ მაკელელეს ადარებენ. მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდათა აზრით, იგი დიდებული მობურთალი გახდება, თუ თავის ძალუმ ტემპერამენტს მოთოკავს. „ზედმეტად ფიცხია. თუ ამას მოუვლის, იდეალურ ნახევარმცველად ჩამოყალიბდება" — ამბობს მაჰამადუ დიარას შესახებ რონალდ კუმანი.

**ლადო ხომერიკი**

# ლიონის ავტობუსი ასმა დააყაჩაღა

**შეხვედრა** „ლიონის" ავტობუსში შედგა, ძველი ვალენსიელის, ჯონ კარეუს დახმარებით. „ნანტის" სტუმრად განადგურების შემდეგ, ჟერარ ულიეს გუნდი უკვე შინ წასასვლელად ემზადებოდა, როცა ავტობუსთან ოსკარ რიბოტი, „ასის" ჟურნალისტი მიიჭრა

„დიარას გამოვიყვან, ოღონდ „რეალზე" არ ილაპარაკებს" — გააფრთხილა კარეუმ ესპანელი და თანაგუნდელს მოუხმო. თავიდან აფრიკელს, მართლაც, არაფერი უთქვამს, თუმცა ენამახვილი რიბოტის ხუმრობების შემდეგ ენას კლიტე მოხსნა და საკმაოდ მხიარულად აჭიკჭიკდა მადრიდის „რეალზე": „ვიცი, რომ „რეალი" ჩემი შეძენით დაინტერესდა. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი პატივია, როცა ფაბიო კაპელო გუნდში მის მიყვანას ითხოვს."

ამასობაში, არასასურველი სტუმარი „ლიონის" მწვრთელმა ულიემ შენიშნა და მაჰამადუ დიარას უთხრა, დაუყოვნებლივ ავტობუსებში დაბრუნებულიყო. „რას ამბობს ჩემზე კაპელო?" — ჰკითხა „ასის" წარმომადგენელს დიარამ გამომშვიდობებისას. „იმას, რომ „რეალს" ძალიან სჭირდები" — მიუგო კორესპონდენტმა. მერე კი, ულიეს გულის გასახეთქად, ფეხბურთელს ჟურნალისტის დაძახილზე — მადრიდში შევხვდებითო, აუცილებლადო — უპასუხია.

„ლიონმა" ხსენებულ შეხვედრაში „ნანტს" 3:1 მოუგო და იქ დიარას დაუბდღვნია ყველაფერი. ზუსტი პასები, ცენტრში უშეცდომოდ თამაში, ფიზიკური ძალა, საგოლე კომბინაციებში მონაწილეობა — აფრიკელს ყველაფერი აქვს, რაც დონ ფაბიო კაპელოს აზრით, უმაღლესი დონის ნახევარმცველს უნდა ახასიათებდეს.

დიარას „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადმოსვლის ამბავი კი „მარსელის" ვარსკვლავ ფრანკ რიბერიზეა დამოკიდებული. იმ 25 მილიონი ევროთი, რასაც „რეალი" დიარაში იმეტებს, „ლიონს" თავისუფლად შეუძლია ნანატრი რიბერი იყიდოს. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენასაც თურმე ძალიან უნდა „ლიონში" თამაში. „მარსელში ბურთაობას აღარ ვაპირებ. ჩემი მიზანი ჩემპიონთა ლიგაზე გამოსვლაა. „მარსელმა" მცირე ხნის წინ „ლიონთან" მოლაპარაკება დაიწყო და იმედია, ეს ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება" — უთქვამს ფრანკ რიბერის მავან ფრანგულ ტელეარხთან ინტერვიუში. „რიბერი ჩვენი ნომერი პირველი სატრანსფერო ობიექტია"



# ხურადო სკოლიდან გაიქცა

**მადრიდის** „ატლეტიკომ" თანაქალაქელი „რეალისგან" ხოსე მანუელ ხურადო იყიდა. ხურადო „რეალის" სკოლის აღზრდილია და B გუნდში, „კასტილიაში" თამაშობდა.

„სანტიაგო ბერნაბეუს" გრანდს ძალიან ძლიერი „კანტერა" (ახალგაზრდული გუნდი ჰყავს), თუმცა „კასტილიას" მოთამაშეები „რეალის" ძირითადში იშვიათად ხვდებიან. მათ უფრო უცხოურ, ან სხვა ესპანურ კლუბებში გადასვლა ურჩევნიათ თავის გამოსაჩენად. ვიქტორი „დეპორტივოში" გადაბარგდა, პორტილიო „ბრიუგეში", რობერტო სოლდადო „ხეტაფეში", ხურადო კი მომავალი სეზონიდან „ვისენტე კალდერონზე" იბურთავებს.

რეალელის შეძენა „ატლეტიკოს" 3 მილიონი ევრო დაუჯდა. ხელშეკრულების თანახმად, ხურადო ხავიერ აგირეს გუნდში მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში დარჩება. თუმც ასევე, კონტრაქტის მიხედვით „რეალი" უფლებას იტოვებს, ფეხბურთელი უკან გამოისყიდოს. თუ ხოსემ „ატლეტიკოში" კარგად ითამაშა, „რეალი" მას 6-დან 9 მილიონი ევროს ფასად დაიბრუნებს.

**ლადო ხომერიკი**

# ბედზე გამარჯვება




...**როცა** ყოველდღიური საქმიანობისგან თავისუფალი ვიყავი, პლასტმასის ბურთი ჩემთვის და ჩემნაირებისთვის საუკეთესო მეგობრად იქცეოდა. ახლა ვხვდები, ეს დიდებისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯები იყო, მაშინ ბავშვები სიღარიბისგან გასაქცევად, რაც შეგვეძლო, იმას ვაკეთებდით...

სპორტში არ იყო პრობლემები, უხერხულობა, რაც მთავარია, სილატაკე... ამიტომაც დავდევდით ბურთს ასე თავდავიწყებით. 10 წლის ბავშვები დასავლეთ ევროპაში სულ სხვანაირები არიან, ბრაზილიაში კი დედამიწა უფრო ცუდი სიზმარი იყო ჩვენთვის — რეალურად, „ფეხბურთის პლანეტაზე“ ვცხოვრობდით.

ჰო, ექვსი წლის რომ ვიყავი, ოჯახი რესიფედან სამხრეთში, ქალაქ პაულისტაში გადასახლდა. ფინანსურად ჩვენი საქმე არ გაუმჯობესებულა, გარდა იმისა, რომ ფერადი ტელევიზორი ვიყიდეთ. დიდი ფეხბურთის ყურება უკვე ფერებშიც შემეძლო.

გაკვეთილების შემდეგ „სანტა კრუზის“ სტადიონზე მივდიოდი ფეხბურთის სათამაშოდ. ოღონდ იქამდე ძალ-ღონის მოსაკრებად ბუტერბროდები უნდა მეჭამა, რომელთაც ბრაზილიაში „სონბოს“ და „კოიშიმბას“ ეძახიან...

ჩვენთვის ორგანიზებული ტურნირები არ არსებობდა. უბნებს შორის თამაშებში (ბრაზილიურად „ელადას“) ჩემი უფროსი ძმებიც მონაწილეობდნენ. 13 წლის რომ გავხდი, სიტუაცია ოდნავ შეიცვალა — ვარჯიში სერიოზულად დავიწყე. ძმებს კი სპორტული დისციპლინის მინიმალური, მაგრამ აუცილებელი ნორმების დასაცავად ნებისყოფა არ ეყოთ. უცნაურია, მაგრამ ჩვენ სამიდან ყველაზე უნიჭოდ და ფიზიკურად სუსტად მე ვითვლებოდი. ალბათ, ასე იმიტომ ფიქრობდნენ, რომ სულ დიდ ბიჭებთან თამაში მიწევდა. სამაგიეროდ, ფიზიკურად დიდ მეტოქეებთან ბრძოლაში ტექნიკა დავხვეწე. სიცოცხლის ბოლომდე მამაჩემის მადლიერი ვიქნები — რომილდო სულ არჩევანის სისწორეს მიწონებდა და ფეხბურთელობისკენ მომიწოდებდა, მაშინ, როცა მეგობრებს მისი შემართება სიცილად არ ჰყოფნიდათ — მაგ ძვალტყავა ბიჭმა დიდ ფეხბურთში რას უნდა მიაღწიოსო. თექვსმეტ წლამდე ჩემი დღე ერთი და იმავე გრაფიკისგან შედგებოდა — სწავლა, მუშაობა, ვარჯიში და თამაში. ხანდახან ვარღვევდი ამ გრაფიკს — ძმები პორტატულ მაცივრებს მოვიგდებდით მხარზე და პლაჟზე მივდიოდით ცივი სასმელების გასაყიდად. ყველაზე კარგად ფულს, განთქმული ბრაზილიური კარნავალის დროს ვშოულობდით. ხან ქუჩაში ხილის ურიკები დაგვქონდა, ხან ლატარიის ბილეთებს ვასაღებდით, ან კიდევ გროშების ფასად სუპერმარკეტებში მოვაჭრეების საქონლით გაძეძგილ ჩანთებს დავათრევდით. ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ცხოვრებას ხურდას ვუბრუნებდით — ის გვირტყამდა, მაგრამ ჩვენი ოჯახის წაქცევა მაინც ვერ შეძლო.

## ჩიტებზე მონადირეები

ახლა ისეთ რაღაცას მოგიყვებით, რაც აქამდე არავისთვის მითქვამს. ეს ჩიტებს და განსაკუთრებით, მომღერალ ჩიტებს ეხება. ტრაბახის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ორნიტოლოგიაში თითქმის ექსპერტი ვარ. ჩიტების დაჭერითა და მერე მათი გაყიდვით მნიშვნელოვნად ვავსებდი ოჯახის სალაროს.

ფრინველი ადამიანში, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების, სხვა სივრცეში გაჭრის ასოციაციას იწვევს. მე კი ჩიტები ლუკმა-პურის შოვნაში მეხმარებოდნენ. ფულს, რა თქმა უნდა, ფრინველების „ხარისხის“ მიხედვით მიხდიდნენ, გააჩნია, ჩიტი რა ფერის იყო და რანაირი სიმღერა შეეძლო. გამიგია, რომ რიველინოს ოქროს გალიაში საოცარი ფრინველი ჰყავდა, რომელიც საღამოობით ფეხბურთელს და მის მეგობრებს ღვთაებრივი გალობით ატკბობდა... ასეთები ჩვენთან, ჩრდილო-აღმოსავლეთ ბრაზილიის ტყეებში არ ბინადრობენ და, საერთოდაც, მათზე ნადირობა სახიფათო იყო — მეტყევეები „წითელ წიგნში“ შეტანილი ფრთოსანის დაჭერისთვის ტყავს გაგვაძრობდნენ... მე ძმებთან ერთად, უბრალო ჩიტებს ვიჭერდი, რომელთა გაყიდვაც ნებადართული იყო. ნადირობას ადრე დილით ვიწყებდით — გალიაში „მაცდური“ ჩიტუნა გვყავდა, მის გალობაზე სხვები მოდიოდნენ და მახეში ებმებოდნენ... ზოგჯერ ტყუილად გვიწევდა წვალება — დაჭერილი ფრინველი მომღერალი არ გამოდგებოდა ხოლმე...

## პირველი სტადიონი

ცამეტისა ვიყავი, როცა უბნებს შორის ძიძგილაობა („პელადას“) ორგანიზებულმა ტურნირებმა შეცვალა, სადაც დავალებას უკვე ოფიციალური მწვრთნელი გვაძლევდა. პატარა რივალდოც თავს იკლავდა ვარჯიშით, მაგრამ, რად გინდა — მწვრთნელები ვერ მამჩნევდნენ... მათ, ალბათ, ჩემ გარდა, ნებისმიერი სხვა ბიჭის წარმატებისა სჯეროდათ. თუმცა ამას ახალგაზრდა ფეხბურთელის სულიერ განწყობაზე არ უმოქმედია — მოედნის, ოფიციალური სავარჯიშო ფორმისა და ნამდვილი თამაშის შანსის გამო გიჟივით ვიყავი... ოპტიმიზმი არც დღეს მაკლია, თუმცა მაშინდელ ბრძოლისუნარიანობას ხშირად ვნატრობ.

სკოლაში მათემატიკას ვსწავლობდა კარგად. არ დაგიმალავთ და მომავალ მილიონიან ჰონორარებსაც ვანგარიშობდი... ამიტომაცაა, შემდეგ დიდი ფული რომ ხელში ჩამივარდა, კეთილგონივრულად მოვიხმარე. ყოველ შემთხვევაში, როცა გავმდიდრდი, ზოგიერთივით ფსიქოლოგისთვის არ მიმიმართავს — გეთაყვა, ბევრი ფული ვიშოვე და ახლა აღარ ვიცი, რა გავაკეთოო. არც ის ხალხი მყოლია გვერდით, ფეხბურთელთა განუყრელი თანამგზავრები რომ არიან — ზოგს სიძუნწეს უშლიან, ზოგს კი ყაირათიანად ცხოვრებას ასწავლიან. მე ფინანსებში დამრიგებლები არ მჭირდება.

ასევე ვფიქრობ მსოფლიოს საუკეთესო სტადიონებზეც. ვაღიარებ, მედიასთან შეხვედრებში ვაქებდი ამა თუ იმ არენას, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მათთან დაკავშირებული ლეგენდები წყალში არ ჩამეყარა. „მარაკანა“ იქნება, „უემბლი“ თუ სხვა რომელიმე მითიური სტადიონი, ჩემთვის იქ თამაში არანაირ ფსიქოლოგიურ პრობლემას არ წარმოადგენს. მეცინება, როდესაც მავანნი არენის მიმართ მოწიწებაზე საუბრობენ, მაგალითად, ასეთებს: „ფეხები მომეკვეთა, სისუსტე ვიგრძენი...“ ეგ სისულელე და მონაჩმახია. მოწიწებას მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, თავისუფალ დროს რესიფეს „სანტა კრუზის“ მოედანს რომ მივაკითხავ. უნდა მოისმინოთ, გული რანაირად მიცემს მაშინ...

ერთ თამაშს გავიხსენებ „სანტა კრუზზე“. მე ახალგაზრდულ გუნდში, ბრაზილიურად „ჟუნიორსში“ გამოვდიოდი. შეცვლაზე შევედი, როცა ანგარიში 2:2 იყო და მალე გამარჯვების გოლი გავიტანე. როგორც კი თამაში დასრულდა, მოედანზე ჟურნალისტები შემოცვივდნენ და მატჩის გმირს, ანუ 18 წლის რივალდოს შეკითხვები სეტყვასავით დააყარეს. აღარ ვიცოდი, რა მეთქვა და ზედმეტი ემოციებისგან... ავტირდი. აი, ამის შემდეგ, პრესის წარმომადგენლებთან საუბარში სულ დაძაბულად ვარ, ყოველთვის მგონია, რომ რაიმე არასწორი წამომცდება...

გაგრძელება იქნება

# ფრანგის დარდი: დანდი


პოლ ლე გუენი

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. II ტური

**აბერდინი 1:1 ინვერნესი**
1:0 კროუფორდი (29), 1:1 უილსონი (89)

**ფოლკირკი 1:0 დანფერმლაინი**
1:0 ბარი (11)

**კილმარნოკი 2:1 ჰიბერნიანი**
0:1 შაილზი (31), 1:1 ნიში (48), 2:1 ნეისმიტი (72)

**რეინჯერსი 2:2 დანდი იუნ.**
0:1 ჰანტი (15), 0:2 კალვენესი (56), 1:2 ბურკი (57), 2:2 რობი(79ს.კ.)

**სენტ მირენი 2:0 მოზერუელი**
1:0 სატონი (17), 2:0 ქუინი (52ს.კ.)

**ჰართსი 2:1 სელტიკი**
1:0 ბედნარი (49), 1:1 პეტროვი (65), 2:1 ბედნარი (87)

**გლაზგოს** „რეინჯერსის“ ახალი მწვრთნელი პოლ ლე გუენი გასულ შაბათს პირველად წარსდგა „აიბროქსზე“ 50 ათასი ქომაგის წინაშე. ახალგაზრდა ფრანგ სპეციალისტს ეს დღე საუკეთესო მოგონებად არ დარჩება, რადგან „ჩაფრები“ წაგებას ბეწვზე გადაურჩნენ, თუმცა ცუდად არ უთამაშიათ და მომენტებიც ოხრად ჰქონდათ.

„დანდი იუნაიტედმა“ პირველ ტურში „ფოლკირკთან“ წააგო, რამაც კლუბში დიდი აურზაური გამოიწვია. დანდელები პრესამაც გვარიანად გამოლანძღა და, როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა გუნდზე დადებითად იმოქმედა. მოთამაშე-მწვრთნელ კრეიგ ბრიუსტერის შეგირდები „რეინჯერსთან“ მშვენივრად გამოიყურებოდნენ.

სტუმრები ნოელ ჰანტმა კოხტა გოლით დააწინაურა. 56-ე წუთზე კრისტიან კალვენესმა თავური დარტყმით სხვაობა გაზარდა. ამის შემდეგ მასპინძელთა რიგებში ცვლილება მოხდა, კარლ სვენსონის ნაცვლად, მინდორზე კრის ბურკე გამოვიდა და რამდენიმე წამში მისი დარტყმით ანგარიში 1:2 გახდა. 77-ე წუთზე კალვენესის ნაცვლად გამოსულმა სტივენ რობმა კი 79-ე წუთზე თავით ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და 2:2. დარჩენილ დროში „ჩაფრებმა“ ვეღარაფერი შეძლეს.

პოლ ლე გუენი: „დაცვაში ერთიორი ახალი მოთამაშე გვჭირდება, რადგან პრობლემები გვაქვს. თუმცა შეცდომები მხოლოდ მცველებს არ დაუშვიათ და ამაზე უნდა ვიფიქროთ. მიუხედავად იმისა, რომ ორი ბურთით ვაგებდით და ფრეს მივაღწიეთ, მაინც უკმაყოფილო ვარ, რადგან ბევრი შანსი გავანიავეთ. მარტო პირველ ტაიმში ოთხი გოლი უნდა გაგვეტანა. თუმცა საგანგაშო არაფერია, მუშაობას ვაგრძელებთ და თამაშსაც უფრო დავხვეწთ.“

კოკა კანდელაკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტ. მირენი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ჰართსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ფოლკირკი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| რეინჯერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| სელტიკი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| კილმარნოკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| აბერდინი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| დანდი იუნ. | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ინვერნესი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჰიბერნიანი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| დანფერმლაინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| მოზერუელი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### I დივიზიონი. I ტური

ერდრი 0:2 როსი; დანდი 0:1 პარტიკი; გრეტნა 6:0 ჰამილტონი; ლივინგსტონი 2:0 ქუინი; სტ. ჯონსტონი 0:0 კლაიდი

### II დივიზიონი. I ტური

კოუდენბითი 6:1 ალოა; ფორფარი 2:1 სტრანრარი; მორტონი 2:0 რეითი; პიტერჰედი 1:1 ბრეჩინი; სტირლინგი 1:3 ეირი

### III დივიზიონი. I ტური

ბერვიკი 1:1 ალბიონი; ისტ ფაიფი 0:0 სტენჰაუზმური; ისტ სტირლინგი 2:1 ელგინი; მონტროუზი 1:1 დამბარტონი; ქუინზ პარკი 0:3 არბროთი

# ყბა ჩამომივარდა


დუგ ელისი და მარტინ ონილი

**მარტინ ონილი,** „ლესტერისა“ და „სელტიკის“ ყოფილი მწვრთნელი, ფეხბურთს დაუბრუნდა: ამიერიდან ის „ასტონ ვილას“ მენეჯერია.

„ყბა ჩამომივარდა“ — ასე იხუმრა მან, როცა პარასკევ საღამოს, ასეულობით „ვილას“ ფანისგან ხვევნა-კოცნა და მხარზე ხელის ტყაპუნი მიიღო: „ამ ბიჭებთან წამიერი გასაუბრებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ მიხვდე: ისინი უმაღლესი დონის თამაშს ითხოვენ. ყბა ჩამომივარდა!“

დიდი „ვილას“ პატრონი დუგ ელისი კი, კვლავაც განაგრძობს მოლაპარაკებებს ამერიკელ მილიარდერ რენდი ლერნერთან კლუბის 64 მილიონად გაყიდვის თაობაზე.

„ექვსი წელიწადია, პრემიერლიგაში არ მიმუშავია და აქ ბევრი რამ შეიცვალა — თქვა ონილმა — თუ „ვილას“ ალმასვლა უნდა, მეც ამ ალმასვლის მონაწილე შევიქნები. ოღონდაც, ზღაპარი არ იქნება. რა ზღაპარი? ორ კვირაში „არსენალს“ ვეთამაშებით „ეშბარტონ გროუვზე“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ჩიჩკინი დაჩიჩქნეს

## სიომინი ბოლოსწინა რიგიდან გაიქცა



### რუსეთი

**პრემიერლიგა. XV ტური**

**ცსკა 2:1 ლუჩ-ენერგია**

1:0 კრასიჩი (16), 1:1 ოსპეშინსკი (60), 2:1 ოლიჩი (69)

**სპარტაკი 5:2 როსტოვი**

1:0 ბისტროვი (13), 2:0, 3:0 პავლიუჩენკო (23, 29), 4:0 კავენაგი (33), 5:0 როდრიგესი (38), 5:1, 5:2 ოსინოვი (45პ, 82პ)

**ტორპედო 3:0 დინამო**

1:0 პეხნა (32), 2:0 ლუცენკო (61), 3:0 დანიშევსკი (78)

**რუბინი 0:3 სატურნი**

0:1, 0:2 ჩესნაუსკისი (62, 72), 0:3 ერემენკო (84პ)

**რუბინი:** ხარჩიკი, გილმულინი (იარკინი 61), სკოტი (ბაიანო 77), სინევი, გაბრიელი, კალისტო, აიუპოვი, ვასილიევი, ჯ. ბაზაევი, ბაირამოვი, **აშვეთია**

**ზენიტი 1:0 შინიკი**

1:0 თეკე (69)

**შინიკი:** ბლიზნიუკი, ომელიანჩუკი, **ამისულაშვილი** (კონოვალოვი 46), გორაკი, ლეილტონი, კოსტიჩი, რადოსავლოვიჩი, მატიჩი (ხაზოვი 46), მამაევი (რუბინი 79), შირკო, ბაკოში

**მოსკვა 0:0 ტომსკი**

**ლოკომოტივი 0:0 ამკარი**

**ნალჩიკი 1:1 კრილია**

0:1 ბუტი (10), 1:1 გოგუა (43)

**მოსკოვის** „სპარტაკმა“ ბოლო დროინდელი არადამაჯერებელი თამაშის შემდეგ, ქომაგებს ნამდვილი შოუ დაუდგა და მათი გული მოიგო. ვლადიმირ ფედოტოვის შეგირდებმა „როსტოვი“ 25-წუთიან მონაკვეთში გაააცამტვერეს და სატურნირო ცხრილშიც გვარიანად გამოისწორეს მდგომარეობა.

სტუმართა რბევა მე-13 წუთზე ვლადიმირ ბისტროვმა დაიწყო, რომელმაც ერთ-ერთ მეტოქეს ბურთი მოპარა და ზუსტად დაარტყა შორეულ კუთხეში. ამას, ბრაზილიელი მოცარტის ორი ბრწყინვალე პასი და რომან პავლიუჩენკოს ანდრეი ჩიჩკინთან ორჯერ პირისპირ გასვლა მოჰყვა. პავლიუჩენკო პირველადაც ზუსტი იყო და მეორედაც. 33-ე წუთზე თავი ფერნანდო კავენაგიმ გამოიჩინა, ჩვეული შორეული, ძლიერი დ ძალიან ლამაზი დარტყმით — ესეც 4:0. მალევე კავენაგის მორიგი გასროლილი ძელს მოხვდა, მაგრამ მისი თანამემამულე კლემენტე როდრიგესი იქვე გახლდათ და 5:0.

„როსტოვს“ რამდენიმე წამყვანი მცველი აკლდა და შეცდომებიც, ალბათ, ამას უნდა დავაბრალოთ, მაგრამ გარჯას ნურც „სპარტაკს“ დავუკარგავთ, რომელსაც აშკარად უფრო მეტიც შეეძლო. თუმცა მოსკოველებს მალე, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად ჩეხურ „ლიბერეცთან“ მოუწევთ ჭიდილი და თავი შეინახეს. სტუმრებმა კი ორი „ტყუპი“ გოლის გატანა მოახერხეს. შეცვლაზე შესულმა მაქსიმ ბუზიკინმა ორი პენალტი მოინადირა, ხოლო თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან ორივეჯერ ზუსტად დაარტყა მიხაილ ოსინოვმა.

„დინამოს“ მწვრთნელი იური სიომინი კი გადადგა. „დღეს ძალიან ცუდად ვითამაშეთ. იმ პერიოდში, რაც „დინამოში“ გავატარე, გუნდის შეკვრა ვერ შევძელი, ეს არის ჩემი მთავარი შეცდომა. განცხადებას ვწერ და პოსტს ვტოვებ“ — განაცხადა მორიგი წაგებული მატჩის მერე „დინამოს“ აწ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა იური სიომინმა.

დინამოელები ამჯერად თანაქალაქელ „ტორპედოსთან“ განადგურდნენ, პრინციპულ მატჩში. ამ წაგებით გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა და პირველად, 70-წლიანი ისტორიის მანძილზე, რეალურად ემუქრება უმაღლესი ლიგიდან გავარდნა. შესაბამისად, სიომინის წასვლა გასაგებია, ხოლო მისი შემცვლელის ვინაობა — ჯერ უცნობი.

ყაზანის „რუბინს“ კი უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი მოადგა კარს, მაგრამ ყურბან ბერდიევის გუნდი კრიზისიდან გამოსვლას ვერ ახერხებს. „რუბინი“ ამ სეზონში შინ პირველად დამარცხდა, თანაც გამანადგურებელი ანგარიშით. ხოლო მოუგებელი მატჩების სერია ხუთამდე გაზარდა.

წინა ტურში „ტომთან“ 0:4 წაგების მერე, ბერდიევმა ძირითად შემადგენლობაში რადიკალური ცვლილებები მოახდინა. თითქოს ამან იმოქმედა კიდეც, რადგან პირველ ტაიმში ყაზანელები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ შანსები ვერ გამოიყენეს და დაისაჯნენ. მეორე ნახევარში ედგარას ჩესნაუსკასმა ალექსეი ერემენკოს პასებით დუბლი გაიფორმა. მერე კი პენალტი მოინაგრა და ერემენკოს გაატანინა. ჩვენთვის კი დასანანია, რომ „რუბინის“ ძირითად შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა მიხეილ აშვეთიამ, მაგრამ რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა.

**გიორგი ძაძამაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი მ. | 15 | 7 | 7 | 1 | 33:19 | 28 |
| ცსკა | 15 | 8 | 4 | 3 | 23:12 | 28 |
| სპარტაკი ნ. | 15 | 8 | 4 | 3 | 24:16 | 28 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 6 | 3 | 26:18 | 24 |
| კრილია | 15 | 6 | 6 | 3 | 23:16 | 24 |
| ტომი | 15 | 6 | 5 | 4 | 17:13 | 23 |
| რუბინი | 15 | 6 | 5 | 4 | 18:19 | 23 |
| ზენიტი | 15 | 5 | 7 | 3 | 19:18 | 22 |
| მოსკვა | 15 | 5 | 6 | 4 | 16:17 | 21 |
| სატურნი | 15 | 3 | 9 | 3 | 14:12 | 18 |
| ლუჩ-ენერგია | 15 | 5 | 3 | 7 | 20:20 | 18 |
| როსტოვი | 15 | 4 | 4 | 7 | 20:26 | 16 |
| ტორპედო | 15 | 2 | 7 | 6 | 14:20 | 13 |
| ამკარი | 15 | 2 | 6 | 7 | 9:23 | 12 |
| დინამო | 15 | 1 | 7 | 7 | 11:20 | 10 |
| შინიკი | 15 | 1 | 4 | 10 | 7:25 | 7 |

### შვეიცარია

**სუპერლიგა**

**IV ტური**

ბაზელი 2:3 გრასჰოპერი; ლუცერნი 2:1 აარაუ; ციურიხი 3:1 იანგ ბოისი; სიონი 4:0 სტ. გალენი; თუნი 1:0 შაფჰაუზენი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ციურიხი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 12 |
| სიონი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:3 | 10 |
| გრასჰოპერი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| იანგ ბოისი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| თუნი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:5 | 5 |
| სენტ გალენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:7 | 5 |
| ბაზელი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:7 | 4 |
| ლუცერნი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 | 3 |
| აარაუ | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | 1 |
| შაფჰაუზენი | 4 | 0 | 1 | 3 | 1:7 | 1 |

**ჩელენჯლიგა. III ტური**

იუვენტუსი 0:3 ქსამაქსი; დელემონი 2:4 ლოზანა; ვადუცი 2:3 კიასო; ვილი 1:0 სერვეტი; ივერდონი 0:0 ვოლენი; ბელინცონა 2:0 ლოკარნო; შო დე ფონი 1:2 კონკორდია; ლუგანო 1:0 ვინტერთური; ბოლმი 1:2 კრინსი

### პოლონეთი

**პირველი ლიგა**

**II ტური**

ბელხატოვი 1:0 ვიძევი; არკა 0:0 ვისლა; კრაკოვია 1:0 ოდრა; გურნიკი 0:3 პოგონი; ლოძი 0:0 ლეჩნა; ზაგლებე 0:0 ლეხი; გროცლინი 1:1 ლეგია; კორონა 0:0 პლოცკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელხატოვი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ლოძი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| კორონა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| ლეგია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ლეხი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვისლა | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ვიძევი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ოდრა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| პოგონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| კრაკოვია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| პლოცკი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| გროცლინი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ზაგლებე | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ლეჩნა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| არკა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| გურნიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა**

**IV ტური**

ტიროლი 1:1 აუსტრია; შტურმი 1:0 რიდი; პაშინგი 1:2 მატერსბურგი; ზალცბურგი 4:1 გრაცი; რაპიდი 3:2 ალტახი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზალცბურგი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:2 | 10 |
| ტიროლი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| მატერსბურგი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:5 | 9 |
| რაპიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| პაშინგი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:6 | 6 |
| შტურმი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:8 | 6 |
| გრაცერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| აუსტრია | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |
| რიდი | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | 3 |
| ალტახი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:9 | 0 |

### ბელგია

**იუპილერლიგა. II ტური**

**სტანდარდი 1:2 შარლერუა**

0:1 სმოლდერსი (1), 1:1 გერერტსი (9), 1:2 ტერეო (67)

**ლიერსი 0:3 გენკი**

0:1 ვანდენბერგი (5), 0:2 ჩატელე (24), 0:3 ვანდერბერგი (55)

**გენტი 1:3 მუსკრონი**

0:1 კუსტოვიჩი (5), 1:1 ჰერპოელი (28), 1:2 კუსტოვიჩი (74), 1:3 ბა (77)

**ანდერლეხტი 1:0 ბეერსხოტი**

1:0 ჰასანი (49)

**ბევერენი 0:3 ვესტერლო**

0:1 დელენი (2), 0:2 ობუსოტო (19), 0:3 უტაკა (47)

**სერკლი 0:0 ლოკერენი**

**მონსი 2:0 სტ. ტრუიდენი**

1:0 დამანე (80), 2:0 დალმა (85)

**ვალეგემი 0:1 ბრიუსელი**

0:1 ბრუნო (53)

**რუზელარე 3:2 ბრიუგე**

1:0 ვესენი (7), 2:0 მალკი (31), 3:0 ვესენი (51), 3:1, 3:2 მატონდო (83, 86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ვესტერლო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| მუსკრონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ანდერლეხტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ბრიუსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ლოკერენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| შარლერუა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბრიუგე | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 3 |
| მონსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| რუზელარე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ბეერსხოტი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| სერკლი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ლიერსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| სტანდარდი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| ვარეგემი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| სენტ ტრუიდენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| ბევერენი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |
| გენტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

### ჩეხეთი

**გამბრინუსლიგა. II ტური**

ლიბერეცი 2:0 ბანიკი; სლოვაცკო 0:2 ბოლესლავი; ბრნო 1:0 ზლინი; კლადნო 0:1 იაბლონეცი; მოსტი 1:1 პრჟიბრამი; სიგმა 0:0 ბუდეიოვიცე; სლავია 3:2 ტეპლიცე; პლზენი — სპარტა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| სლავია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ბოლესლავი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| იაბლონეცი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბრნო | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სლოვაცკო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| მოსტი | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| პრჟიბრამი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| პლზენი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სპარტა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ტეპლიცე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სიგმა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კლადნო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბუდეიოვიცე | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ზლინი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| ბანიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

# კრუზისგან ბალაკს ვერ გააკეთებ

### გერმანია

**ლიგის თასი. ფინალი**

**ბაიერნი 0:2 ვერდერი**

0:1, 0:2 კლასნიჩი (29, 66)

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, ლუსიო, ლამი (ოტლი 46), ვან ბუიტენი, ჰარგრივსი, ქარიმი, შვაინშტაიგერი (დოს სანტოსი 46), სანტა კრუზი, მაკაი, პოდოლსკი (სალიჰამიჯიჩი 46)

**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი

**ვერდერი:** ვიზე, ფარენჰორსტი, ნალდო, შულცი (ვრანიეში 81), ვომე, ოვომოიელა, იენსენი (ანდრეასენი 77), ფრინგსი, დიეგო, კლოზე (ჰანტი 60), კლასნიჩი

**მწვრთნელი:** თომას შააფი

**გაფრთხილება:** დიეგო

**მსაჯი:** გრეფე

42 000 მაყურებელი



კანმა ბურთი კარიდან ორჯერ გამოიტანა

**გერმანიის** ლიგის თასი ბრემენის „ვერდერმა“ მოიგო და კლუბს ჯილდოდ 2 მილიონი ევრო გადასცეს. ეს ტურნირი მეექვსედ ჩატარდა და წინა ხუთის გამარჯვებული „ბაიერნი“ გახლდათ, მაგრამ ამჯერად მიუნხენელებს წინ ბრემენელი „მუსიკოსები“ აღუდგნენ, რომლებიც გასულ სეზონში მეორე ადგილზე გავიდნენ, ხოლო მომავალ სეზონში ჩემპიონობას უმიზნებენ და ამის შანსი რომ აქვთ, შაბათს, ლაიპციგის „ცენტრალშტადიონზეც“ დაამტკიცეს.

„ვერდერი“, რომელმაც ბუნდესლიგა ბოლოს 2004 წელს მოიგო, მშვენივრად გამოიყურება. „ბაიერნი“ კი ახალ სეზონს არცთუ კარგ ფორმაში ხვდება. მოსამზადებელ პერიოდში ნათამაშებ მატჩებში მიუნხენელებმა ერთი გოლის გატანაც ვერ შეძლეს, რაც მრავლისმეტყველია.

„ბაიერნს“ მიხაელ ბალაკის წასვლა აშკარად ეტყობა. „შალკესთან“ ლიგის თასის ნახევარფინალში, რომელიც უგოლოდ დასრულდა და „ბაიერნმა“ პენალტებში იმარჯვა, ბალაკის პოზიციაზე ოუენ ჰარგრივსი თამაშობდა და არცთუ ურიგოდ. „ვერდერთან“ კი ფელიქს მაგათმა ჰარგრივსი ისევ უკან დაწია, ხოლო „ბალაკობა“ ამპლუით ფორვარდ როკე სანტა კრუზს მიანდო, რომელიც გამოკვეთილი თავდამსხმელების — როი მაკაისა და ლუკაშ პოდოლსკის უკან იყო გამწესებული, მაგრამ ამან არ გაამართლა.

ორივე გოლი ხორვატმა ივან კლასნიჩმა გაიტანა. მან ჯერ მიროსლავ კლოზეს კარგი პასი გამოიყენა, მერე კი საჯარიმო დარტყმით შეაგდო.

„ვიცი, რომ გოლები უნდა გამეტანა, რათა ძირითად შემადგენლობაში მოვხვდე. ვფიქრობ, ამ მატჩში ჩემი მისია შევასრულე“ — განაცხადა კლასნიჩმა.

ფელიქს მაგათი: „შეტევაში კარგად ვერ ვითამაშეთ. „ვერდერი“ ძლიერად გამოიყურებოდა. ბრემენელები ბუნდესლიგის აშკარა ფავორიტები იქნებიან“.

**ქოქი ქანდელაკი**

## დანია

### სუპერლიგა. V ტური

ბრონდბიუ 3:0 ჰორსენსი; ვიბორგი 1:3 კოპენჰაგენი; ესბიერგი 3:5 ნორდსიელანდი; ოდენსე 1:1 რანდერსი; სილკებორგი 0:2 ოლბორგი; ვეილე 2:5 მიდტიულანდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:2 | 12 |
| ბრონდბიუ | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| ნორდსიელანდი | 4 | 3 | 0 | 1 | 12:5 | 9 |
| კოპენჰაგენი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| მიდტიულანდი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:4 | 8 |
| ესბიერგი | 4 | 2 | 0 | 2 | 8:8 | 6 |
| ოდენსე | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| რანდერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:6 | 4 |
| ვიბორგი | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |
| ჰორსენსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |
| სილკებორგი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:9 | 0 |
| ვაილე | 4 | 0 | 0 | 4 | 4:14 | 0 |

### I დივიზიონი. II ტური

ორჰუსი ფრ 2:1 ფრემადი; ჰელერუპი 1:0 კიოგე; ფრემი 3:2 ტისტედი; კოლდინგი 4:3 იოლსტიკე; ორჰუსი 2:3 ნესტვედი; აკადემისკი 2:2 ლიუნგბიუ; ჰერფიოლგე 2:1 ბრაბრანდი; სიონედერსიკე 2:1 ფრედერისია

## ირლანდია

### პრემიერდივიზიონი. XX ტური

ბოჰემიანსი 0:1 ლონგფორდი; ბრეი 2:3 დერი; დროჰედა 1:3 შელბურნი; სლიგო 0:1 დუბლინი; უოტერფორდი 0:0 კორკი

## მექსიკა

### აპერტურა. პირველი ტური

ხაგუარესი 1:0 ნეკაქსა; სან ლუისი 0:1 ამერიკა; ატლანტე 2:0 მორელია; ატლასი 1:0 უნამი; ვერაკრუსი 3:0 გალოსი; სანტოსი 2:2 მონტერეი

## ინგლისი

### ჩემპიონატი
### I ტური

ლუთონი 2:0 ლესტერი; ბარნსლი 1:2 კარდიფი; ბირმინგემი 2:1 კოლჩესტერი; ბარნლი 2:0 ქპრ; იფსვიჩი 1:2 კრ. პალასი; ლიდსი 1:0 ნორვიჩი; პლიმუთი 1:1 ვულვზი; პრესტონი 0:0 უენსდი; შეფილდი 1:0 სტოკი; ვესტ ბრომვიჩი 2:0 ჰალი; ქოვენთრი 2:1 სანდერლენდი; დერბი 2:1 საუთჰემპტონი

### პირველი ლიგა. I ტური

ბორნმუთი 0:3 ჩესტერფილდი; ბრენტფორდი 1:0 ბლექპული; ბრისტოლი 1:0 სკანთორპი; კარლაილი 1:0 დონკასტერი; ქრიუ 2:2 ნორთჰემპტონი; ჯილინგემი 2:1 ჰადერსფილდი; ნოტინგემი 1:0 ბრეტფორდი; პორტვეილი 3:0 ლეიტონი; როტერჰემი 0:1 ბრაიტონი; სუონსი 1:2 ჩელტენემი; ტრანმერი 1:0 ოლდემი; მილუოლი 1:1 იოვილი

### მეორე ლიგა. I ტური

ბარნეტი 0:1 ტორკი; ჩესტერი 2:0 აკრინგტონი; დარლინგტონი 4:0 მაკლსფილდი; გრიმსბი 3:2 ბოსტონი; ჰარტლპული 0:1 სუინდონი; ლინკოლნი 1:1 ნოთსი; მილტონი 2:1 ბერი; პიტერბრო 4:1 ბრისტოლი; როჩდეილი 0:1 უოლსოლი; შრიუსბერი 2:2 მენსფილდი; სტოკპორტი 0:2 ჰერეფორდი; უიკომბი 1:1 რექსენი

## ბრაზილია

### სერია A. XV ტური

ფიგეირენსე 1:1 სან კაეტანო; გრემიო 1:0 ჟუვენტუდე; კორინთიანსი 2:1 ატლეტიკო პარანენსე; ფლამენგო 1:0 გოიასი

## ნორვეგია

### ტიპელიგა. XVI ტური

რუსენბორგი 3:2 ვოლერენგა; ლინი 2:0 მიოლდე; ოდ გრენლანდი 0:1 სტაბეკი; ტრომსიო 2:2 სანდეფიორდი; ვიკინგი 1:2 ლილესტრიომი; ბრანი 0:1 სტარტი; *ფრედრიკსტადი — ჰამ კამი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:15 | 31 |
| ლილესტრიომი | 15 | 8 | 4 | 3 | 26:18 | 28 |
| რუსენბორგი | 16 | 7 | 6 | 3 | 25:18 | 27 |
| სტაბეკი | 16 | 6 | 7 | 3 | 24:17 | 25 |
| ოდ გრენლანდი | 16 | 5 | 7 | 4 | 21:18 | 22 |
| სანდეფიორდი | 16 | 6 | 4 | 6 | 23:26 | 22 |
| ლინი | 15 | 6 | 3 | 6 | 16:17 | 21 |
| სტარტი | 16 | 5 | 6 | 5 | 15:18 | 21 |
| ვოლერენგა | 16 | 5 | 4 | 7 | 21:21 | 19 |
| ჰამ კამი | 15 | 5 | 3 | 7 | 22:20 | 18 |
| ვიკინგი | 16 | 4 | 5 | 7 | 14:19 | 17 |
| მიოლდე | 16 | 5 | 2 | 9 | 17:26 | 17 |
| ფრედრიკსტადი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:27 | 16 |
| ტრომსიო | 16 | 3 | 5 | 8 | 16:23 | 14 |

### I დივიზიონი. XVII ტური

ჰორსგრენლანდი 0:0 მოსი; ბოდიო გლიმტი 1:0 ლოვ ჰამი; ბრინი 0:0 ჰიოდი; ჰაუგესუნდი 0:1 ალესუნდი; კონგსვინგერი 0:1 სპარტა; ოსლო ოსტი 3:3 ფოლო; სტრიომსგოდსეტი 5:1 ჰიონეფოსი; *ტრომსდალენი — სოგნდალი გადაიდო*

## სლოვაკეთი

### I ლიგა. IV ტური

სენეცი 1:0 დუბნიცა; ინტერი 1:2 ჟილინა; ნიტრა 3:2 ტრნავა; კოშიცე 3:2 სლოვანი; ტრენჩინი 0:1 ბ.ბისტრიცა; არტმედია 2:2 რუჟომბეროკი

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
### პირველი ტური

დორტმუნდი (მ) 0:0 ემდენი; ვერდერი (მ) 2:1 ვილჰემსჰავენი; დიუსელდორფი 0:3 ალენი; მაგდებურგი 0:0 ჰამბურგი (მ); ერფურტი 1:0 გრადბახი (მ); ლიუბეკი 1:0 ლევერკუზენი (მ); ვუპერტალი 3:1 ზანკტპაული; დრეზდენი 4:1 კილი; ჰერტა (მ) 0:3 უნიონი

### სამხრეთ რეგიონალლიგა
### პირველი ტური

კარლსრუე (მ) 2:2 პირმასენსი; შტუტგარტი (მ) 2:1 ზიგენი; ელვერსბერგი 0:3 ვეენი; ბაიერნი (მ) 0:2 ჰესენი; დარმშტადი 0:1 ფულენდორფი; ჰოფენჰაიმი 2:2 მიუნხენი 1860 (მ); ინგოლშტადტი 0:3 ზაარბრიუკენი; ლაუტერნი (მ) 1:1 როიტლინგენი; აალენი 2:5 კიკერსი

## ფინეთი

### ვეიკაუსლიგა. XIV ტური

ტამპერე — მიუპა 1:1; ლაჰტი — კუოპიო 2:0; ჰონკა — ტურკუ 0:1; კტპ — იარო 2:1; მარიეჰამნი — ვაასა 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰონკა | 15 | 9 | 2 | 4 | 33:19 | 29 |
| ტამპერე | 14 | 9 | 2 | 3 | 21:12 | 29 |
| ჰიკ | 15 | 8 | 3 | 4 | 26:11 | 27 |
| ჰაკა | 14 | 8 | 3 | 3 | 20:10 | 27 |
| ტურკუ | 14 | 7 | 2 | 5 | 25:19 | 23 |
| მარიეჰამნი | 15 | 6 | 4 | 5 | 19:15 | 22 |
| ლაჰტი | 15 | 5 | 3 | 7 | 12:19 | 18 |
| კტპ | 14 | 5 | 2 | 7 | 14:28 | 17 |
| მიუპა | 13 | 4 | 4 | 5 | 12:12 | 16 |
| ვაასა | 15 | 4 | 4 | 7 | 16:21 | 16 |
| იარო | 14 | 3 | 4 | 7 | 16:19 | 13 |
| ინტერი | 12 | 3 | 2 | 7 | 9:22 | 11 |
| კუოპიო | 14 | 2 | 3 | 9 | 9:25 | 9 |

## შვედეთი

### ალსვენსკა
### XIII ტური

იურგორდენი 2:1 ჰელსინგბორგი; აიკ 1:0 კალმარი; გიოტებორგი 3:1 გეფლე. *იოსტერსი — ჰალმშტადი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰამარბი | 13 | 9 | 2 | 2 | 25:14 | 29 |
| აიკ | 13 | 7 | 4 | 2 | 23:13 | 25 |
| გიოტებორგი | 13 | 7 | 4 | 2 | 22:12 | 25 |
| ელფსბორგი | 12 | 6 | 5 | 1 | 20:10 | 23 |
| იურგორდენი | 13 | 6 | 5 | 2 | 17:11 | 23 |
| მალმიო | 12 | 6 | 3 | 3 | 19:13 | 21 |
| კალმარი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:14 | 17 |
| გაის | 13 | 4 | 4 | 5 | 13:17 | 16 |
| გეფლე | 13 | 4 | 3 | 6 | 13:21 | 15 |
| ჰელსინგბორგი | 13 | 3 | 5 | 5 | 17:19 | 14 |
| ჰალმსტადი | 12 | 2 | 5 | 5 | 7:12 | 11 |
| ჰეკენი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:20 | 10 |
| იოსტერსი | 12 | 1 | 3 | 8 | 6:23 | 6 |
| იორგრიტე | 13 | 0 | 5 | 8 | 11:23 | 5 |

### სუპერეტა
### XVIII ტური

დეგერფორსი 1:1 ფალკენბერგი; სუნდსვალი 3:0 ლიუნგსკილე; ასირისკა 3:2 ქვიდინგი; მიალბი 0:3 იორებრო; უმეა 2:1 ატვიდაბერგი. *ლანდსკრონა — ბრომაპოიკარნა და ტრელებორგი — ვასბი დღეს გაიმართება*

## თურქეთი

### სუპერლიგა. II ტური

ანკარა — გალათასარაი 1:1; ქაისერი — ტრაბზონი 1:0; ფენერბაჩე — ერზიუმი 6:0; ანთალია — რიზე 0:0; ბურსა — ანკარაგიუჯიუ 0:0; გაზიანთეფი — დენიზლი 1:1; ქონია — საქარია 1:1; მანისა — ბეშიქთაში 1:0; სივა — გენჩლერი 1:2


სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 1 | კრისტალ პალასი-საუთენდი | 1.55 | 3.20 | 4.80 | 1.04 | 1.17 | 1.91 |
| 22:45 | 2 | კარდიფი-ვესტ ბრომვიჩი | 2.35 | 3.00 | 2.55 | 1.31 | 1.22 | 1.37 |
| 22:45 | 3 | კოლჩესტერი-პლიმუთი | 2.30 | 3.00 | 2.55 | 1.30 | 1.20 | 1.37 |
| 22:45 | 4 | ჰალი-ბარნსლი | 1.75 | 3.10 | 3.65 | 1.11 | 1.18 | 1.67 |
| 22:45 | 5 | ლესტერი-ბარნლი | 1.90 | 3.00 | 3.40 | 1.16 | 1.21 | 1.59 |
| 22:45 | 6 | ნორვიჩი-პრესტონი | 1.90 | 3.00 | 3.40 | 1.16 | 1.21 | 1.59 |
| 22:45 | 7 | ქპრ-ლიდსი | 2.65 | 3.00 | 2.25 | 1.40 | 1.21 | 1.28 |
| 22:45 | 8 | უენსდი-ლუტონი | 2.10 | 3.15 | 2.80 | 1.25 | 1.20 | 1.48 |
| 22:45 | 9 | სტოკი-დერბი | 2.25 | 3.00 | 2.65 | 1.28 | 1.21 | 1.40 |
| 22:45 | 10 | სანდერლენდი-ბირმინგემი | 2.30 | 3.00 | 2.55 | 1.30 | 1.20 | 1.37 |
| 22:45 | 11 | ვულვერჰემპტონი-იფსვიჩი | 1.77 | 3.10 | 3.65 | 1.12 | 1.19 | 1.67 |
| | | 9 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 12 | საუთჰემპტონი-ქოვენთრი | 1.77 | 3.10 | 3.65 | 1.12 | 1.19 | 1.67 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 8 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 24 | ბლეკპული-ნოტინგემი | 2.55 | 3.00 | 2.30 | 1.37 | 1.20 | 1.30 |
| 22:45 | 25 | ბრედფორდი-ბრისტოლი | 2.55 | 3.00 | 2.35 | 1.37 | 1.22 | 1.31 |
| 22:45 | 26 | ბრაიტონი-ჯილინგემი | 2.05 | 3.10 | 2.90 | 1.23 | 1.20 | 1.49 |
| 22:45 | 27 | ჩელტენემი-ტრანმერი | 2.45 | 3.00 | 2.45 | 1.34 | 1.22 | 1.34 |
| 22:45 | 28 | დონკასტერი-ქრიუ | 1.80 | 3.10 | 3.65 | 1.13 | 1.20 | 1.67 |
| 22:45 | 29 | ჰადერსფილდი-როტერჰემი | 1.55 | 3.20 | 4.90 | 1.04 | 1.17 | 1.93 |
| 22:45 | 30 | ლეიტონი-მილუოლი | 2.55 | 3.00 | 2.30 | 1.37 | 1.20 | 1.30 |
| 22:45 | 31 | ნორთჰემპტონი-ბრენტფორდი | 2.20 | 3.00 | 2.75 | 1.26 | 1.22 | 1.43 |
| 22:45 | 32 | ოლდემი-პორტ ვეილი | 1.95 | 3.00 | 3.20 | 1.18 | 1.21 | 1.54 |
| 22:45 | 33 | სკანთორპი-სუონსი | 2.55 | 3.00 | 2.35 | 1.37 | 1.22 | 1.31 |
| 22:45 | 34 | იოვილი-ბორნმუთი | 1.85 | 3.10 | 3.45 | 1.15 | 1.20 | 1.63 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 8 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 48 | აკრინგტონი-დარლინგტონი | 2.35 | 3.15 | 2.45 | 1.34 | 1.19 | 1.37 |
| 22:45 | 49 | როვერსი-უიკომბი | 2.30 | 3.00 | 2.55 | 1.30 | 1.20 | 1.37 |
| 22:45 | 50 | ბერი-ჩესტერი | 2.35 | 3.05 | 2.55 | 1.32 | 1.22 | 1.38 |
| 22:45 | 51 | ჰერეფორდი-ლინკოლნი | 2.00 | 3.10 | 3.00 | 1.21 | 1.20 | 1.52 |
| 22:45 | 52 | მაკლსფილდი-ჰარტლპული | 2.55 | 3.05 | 2.30 | 1.38 | 1.20 | 1.31 |
| 22:45 | 53 | მენსფილდი-დონსი | 2.55 | 3.00 | 2.35 | 1.37 | 1.22 | 1.31 |
| 22:45 | 54 | ნოტსი-შრიუსბერი | 2.00 | 3.00 | 3.10 | 1.20 | 1.21 | 1.52 |
| 22:45 | 55 | სუინდონი-ბარნეტი | 1.40 | 3.55 | 6.40 | 1.00 | 1.14 | 2.28 |
| 22:45 | 56 | ტორკი-როჩდეილი | 1.90 | 3.20 | 3.25 | 1.19 | 1.19 | 1.61 |
| 22:45 | 57 | უოლსოლი-სტოკპორტი | 1.57 | 3.20 | 4.90 | 1.05 | 1.18 | 1.93 |
| 22:45 | 58 | რექსემი-გრიმსბი | 2.15 | 3.10 | 2.70 | 1.26 | 1.19 | 1.44 |
| 22:45 | 59 | ბოსტონი-დარლინგტონი | 2.35 | 3.20 | 2.45 | 1.35 | 1.19 | 1.38 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 7 აგვისტო | | | | | | |
| 19:15 | 229 | პლზენი-სპარტა | 4.85 | 3.45 | 1.55 | 2.01 | 1.17 | 1.06 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 7 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 264 | ფრედრიკსტადი-ჰამარი | 2.10 | 3.00 | 3.00 | 1.23 | 1.23 | 1.50 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 7 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 280 | იოსტერსი-ჰალმსტადი | 2.50 | 3.25 | 2.40 | 1.41 | 1.22 | 1.38 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 7 აგვისტო | | | | | | |
| 21:00 | 289 | ლანდსკრონა-ბრომაპოიკარნა | 1.90 | 3.20 | 3.10 | 1.19 | 1.17 | 1.57 |
| 21:00 | 290 | ტრელებორგი-ვესბი | 1.50 | 3.50 | 4.90 | 1.04 | 1.14 | 2.04 |

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# დამალობანა დასრულდა

## ჰერბერტი გამოჩნდა, ტრაიანო გაქრა...

გუშინწინ საქართველოს ნაკრებმა ევროსაკვალიფიკაციო მატჩებისთვის დაიწყო მზადება — დიღმის ბაზაზე შეიკრიბა, თუმც მთავარი ამბავი ეს როდია. კალათბურთის ფედერაციამ გულშემატკივრებს ისეთი სიურპრიზი მოუმზადა, ალბათ, არავინ რომ არ იფიქრებდა...

ერთი კვირაც არაა გასული, რაც ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, ნაკრებს კანადელი ჯეი ტრაიანო გაუძღვება, ყოფილი მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი კი ფედერაციისა და ეროვნული გუნდის მთავარი კონსულტანტი იქნებაო. და აი, შაბათს „დინამოს“ ბაზაზე მისულებს გორდონ ჰერბერტი შეგვრჩა ხელთ. მას თან ახლდა პარიზულ „რასინგში“ მისი ერთგული თანაშემწე კენი ატკინსონი და უცნობი ზანგი, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩვენს ნაკრებში შემონდ უილიამსს შეცვლის

**ეს ამბები** საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა ჟურნალისტებისთვის. სანამ პრესკონფერენცია დაიწყებოდა და ფედერაციის წარმომადგენლები ოფიციალურ განცხადებას გააკეთებდნენ, გავარკვიეთ, რომ ჯეი ტრაიანო აღარ ჩამოვა. საქართველოს ნაკრებს კვლავ გორდონ ჰერბერტი უთავკაცებს, რომლის თანაშემწენიც იქნებიან კენი ატკინსონი, დავით უსიტაშვილი და... კიმ შილდსი, ვის შესახებაც ფედერაციამ კარგა ხნის წინ განაცხადა, ჩვენთან აღარ იმუშავებსო.

ცხადია, ჟურნალისტები პრესკონფერენციის დაწყებას მოუთმენლად ელოდნენ, რომ საქმის რეალური არსი და მიზეზები გაეგოთ. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა *ძიძავამ* ვითარება ასე ახსნა:

„ჩვენ ამას წინათ კი გამოვაცხადეთ, ნაკრებს ჯეი ტრაიანო გაუძღვებაო, მაგრამ ეს ასე აღარ მოხდება. ფედერაციას თავიდანვე სურდა, ეროვნული გუნდი გორდონ ჰერბერტს გაეწვრთნა, ჩვენ ამ სპეციალისტთან კონტრაქტიც გავაფორმეთ, მაგრამ შემდეგ ვითარება მისმა ახალმა გუნდმა შეცვალა. „პო ორტეზში“ რომ გადავიდა, ჰერბერტის საქართველოში მწვრთნელობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა და ამიტომაც ჯეი ტრაიანო შევიგულეთ. ახლა კი ჰერბერმა კლუბთან საქმე მოაგვარა, ჩვენც დავარწმუნეთ, რომ პრობლემები არ შეექმნებოდა და... ჯეი ტრაიანოს უარი ვუთხარით.

აი, ასე: მთელი ეს ალიაქოთი, რომელიც ნაკრების მწვრთნელის ირგვლივ შეიქმნა, ისე დასრულდა, რომ რეალურად არაფერი შეიცვალა. ის კი არა, ნაკრებს კიმ შილდსიც დაუბრუნდა, რომელსაც თბილისში აგვისტოს ბოლოს ელიან.

ამ, ასე ვთქვათ, სენსაციურმა ამბავმა საკუთრივ ნაკრების მიმართ ინტერესი გაანელა. შეკრების პირველ დღესა და სამომავლო გეგმებზე ძიძავამ მერელა ისაუბრა:

„დღევანდელ ვარჯიშზე 13 კალათბურთელი იყო. ნაკრებში 16 კანდიდატია გამოძახებული და დანარჩენებიც მალე შემოგვიერთდებიან. დავით უგრეხელიძე 8 აგვისტოს ჩამოვა, ზაზა ფუჭულია კი — 10-ში. ნიკა ცქიტიშვილის ჩამოსვლის თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ის ამერიკაშია და კონტრაქტის გაფორმებას ელის“.

„ეტიკეტის“ თანახმად, მომდევნო სიტყვა *გორდონ ჰერბერტისა* იყო:

„ჩემთვის დიდი პატივია, რომ ისევ საქართველოში ვარ და ამ ქვეყანას საერთაშორისო სარბიელზე წარმოვადგენ. სულ ცოტა ხნის წინ ჩემი საქართველოში მწვრთნელობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. ბოლო დღეებში გაირკვა, რომ „პო ორტეზი“ პრობლემებს არ შემიქმნიდა და მეც სიხარულით დავუბრუნდა ჩემს „ქართულ“ საქმეს. მიხარია, რომ კიმ შილდსი ისევ ჩვენთან იქნება, კენი ატკინსონითან კი „რასინგში“ ორი წელი ვმუშაობდი და მისი დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს ნაკრებისთვის. დავით უსიტაშვილმა ახალგაზრდულ ნაკრებში შესანიშნავად იმუშავა, უდიდეს შედეგს მიაღწია და იმ გუნდის ოთხი მოთამაშე დღეს ნაკრებშია. ჩემი ვარაუდით, საქართველოს ძალიან ძლიერი სამწვრთნელო შტაბი ეყოლება...“



გორდონ ჰერბერტი და ლაშა ძიძავა

...ჩვენი ერთადერთი მიზანი A დივიზიონში გადასვლაა. საამისო ძალა რეალურად შეგვწევს. შარშანდელ შემადგენლობას 4 მოთამაშე შეემატა: მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, ტაირონ ელისი და ვახტანგ ნაცვლიშვილი. ყველა ეს მოთამაშე ძალიან ძლიერია და ნაკრებს დიდად გამოადგება. ელისი მზადაა, საქართველოს ნაკრების ღირსება მოედანზეც დაიცვას და მის გარეთაც. ვატოს სახით კი გუნდს ძალიან გამოცდილი კალათბურთელი შეემატა. ნაცვლიშვილი ლიდერის თვისებებითაა დაჯილდოებული და ნაკრებში არაერთი მოთამაშისთვის სამაგალითო იქნება...

... წლეულს იმ შეცდომებს აღარ გავიმეორებთ, რაც შარშან დავუშვით. ახლა, ძირითადად, საკუთარ თამაშზე გავაკეთებთ ორიენტირებას და არა მეტოქეებზე. ვფიქრობ, მთავარი განმსაზღვრელი ის იქნება, თუ როგორ გამოვიყენებთ ჩვენს პოტენციალს. ყველა მეტოქეს პატივს ვცემთ, მაგრამ შესაძლებლობის მაქსიმუმს თუ გავიღებთ, არა მგონია, ვინმემ დაგვამარცხოს.

... საბოლოო შემადგენლობას უნგრეთში წასვლამდე, 17-18 აგვისტოს გამოვაცხადებთ. მინდა, რომ სპარინგ-მატჩებში მხოლოდ იმ მოთამაშეებმა მიიღონ მონაწილეობა, რომლებსაც სექტემბრის შეხვედრებში დავეყრდნობით...

ჰერბერტის შემდეგ მისმა ასისტენმა კენი ატკინსონმა თქვა ორიოდე სიტყვით დიდი კმაყოფილება გამოთქვა საქართველოს ნაკრებში მუშაობის დაწყებით, მადლობა გადაუხადა კალათბურთის ფედერაციას გამოცხადებული ნდობისთვის და დაგვემშვიდობა.

მაშ ასე, საქართველოს ნაკრები მზადებას შეუდგა. 19 აგვისტომდე „დინამოს“ ბაზაზე ივარჯიშებს, მერე უნგრეთში გაემგზავრება და ორ საკონტროლო მატჩს გამართავს. ჰოდა, მოვა შემოდგომაც და ქართველები ლუქსემბურგთან 3 სექტემბრის მატჩით A დივიზიონის ეკლიან გზას შეუყვებიან.

**ირაკლი პერტაია**

# საქართველოს ელისი ელის

## გენიოსი არ ვარ, ამერიკის ნაკრებში რომ ვითამაშო

*ჯეი ტრაიანოს შემთხვევაზე რა გითხრათ და, ფედერაციამ უცხოელი გამთამაშებელის ამბავში სიტყვა შეასრულა. საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან გუდანაბადაკრული შემონდ უილიამსი ამერიკელმა ტაირონ ელისმა შეცვალა. ფედერაციას 4-5 უცხოელის ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ არჩევანი ელისზე შეაჩერა. ვერ გეტყვით, ქართულმა მხარემ თქვა სხვა ამერიკელებზე უარი, თუ უცხოელებმა იუარეს ჩვენთან ჩამოსვლა, მაგრამ ფაქტი ერთია — ტაირონ ელისს საქართველოს ნაკრებში თამაში ათიოდ დღის წინ შესთავაზეს. მას პირადად გორდონ ჰერბერტი შეეხმიანა, რომელიც გერმანულ „სკაილაინერსში“ მისი მწვრთნელი იყო. სწორედ ამ გერმანულ კლუბში ჰქონდა ელისს კარიერის პიკი. ბუნდესლიგის პარალელურად ელისი ევროლიგაშიც თამაშობდა და საშუალოდ 21 ქულას აგროვებდა. ჩვენი ნაკრების ახალწვეულს შაბათს დილმის ბაზაზე გამოველაპარაკეთ*



**ტაირონ ელისი**
აშშ, გამთამაშებელი
დაიბადა: 6.10.1977
194 სმ, 84 კგ

კარიერა: სამხრეთ ნახარენის უნივერსიტეტი (დალასი, აშშ, 1997-2001), ჰანთსვილი (ნბდლ, აშშ, 2001-02), ჟირონა (ესპანეთი, 2002-03), სკაილაინერზი (ფრანკფურტი, გერმანია, 2003-05), ბეშიქთაში (სტამბოლი, თურქეთი, 2005-06).

მიღწევები: 2003-04 გერმანიის ჩემპიონი; 2004-05 სეზონში ევროლიგის შვიდ თამაშში საშუალოდ მოაგროვა 21,5 ქულა, 4,7 მოხსნა, 1,8 პასი, 1,8 ჩაჭრა; ბოლო პროფესიულ სეზონში ბეშიქთაშის 36 მატჩში საშუალოდ მოაგროვა 10,9 ქულა

**— როგორ მოხვდი საქართველოში და თუ მოგწონს აქაურობა?**

— წუხელ ჩამოვფრინდი და დღეს დილიდან ვვარჯიშობდი. ვერაფერს გეტყვით აქაურ შთაბეჭდილებებზე. საქართველოს ნაკრებში თამაში გორდონ ჰერბერტმა შემომთავაზა.

**— მოლაპარაკება რამდენ ხანს მიმდინარეობდა და რის გამო დათანხმდი ჩვენს ნაკრებში თამაშს?**

— 10-12 დღის წინ დამირეკა გორდონ ჰერბერტმა და ეს ვარიანტი შემომთავაზა. ამერიკაში ვიყავი, ჩემს ქალიშვილთან ერთად ვისვენებდი — მანამდე ლას ვეგასის საზაფხულო ლიგაში ვთამაშობდი და საკმაოდ გადავიღალე. ბევრი არ მიფიქრია, ეროვნულ ნაკრებში თამაშის შანსი ხელიდან არ გავუშვი. ყოველთვის ოცნებად მქონდა, ჩემი ქვეყნის ღირსება დამეცვა, მაგრამ ამერიკაში ეს რომ მოახერხო, გენიოსი უნდა იყო. ჰოდა, მეც საქართველოს გამოვადგები ეროვნულ ნაკრებში თამაში ჩემი მომავალი კარიერისთვისაც კარგი იქნება.

**— ლას ვეგასის საზაფხულო ლიგა ახსენე...**

— ჰო, ლას ვეგასში „მინესოტას“ ღირსებას ვიცავდი. საზაფხულო კემპებზე არაერთხელ გამოვსულვარ. 2002 წელს, როცა ნიკა ცქიტიშვილი დრაფტზე აირჩიეს, მის წინააღმდეგ „როკი მაუნთი“ კემპზე მითამაშია.

**— „მინესოტაში“ გინდა გადასვლა?**

— ლას ვეგასში თავი კარგად წარმოვაჩინე. ვფიქრობ, მინესოტელები კონტრაქტს გამიფორმებენ.

**— ნბა-ში თამაში შენი თვითმიზანია?**

— არაერთხელ შემეძლო, ნბა-ს გუნდში მეთამაშა, მაგრამ ყოველთვის ევროპულ კლუბს ვამჯობინებდი, სადაც გაცილებით მეტ ხელფასს მიხდიდნენ. ახლა რომ „მინესოტაში“ მიმიღონ, მინიმალურ გასამრჯელოს დამინიშნავენ, მაგრამ მაინც თანახმა ვიქნები. ძალიან მაინტერესებს მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში ძალის მოსინჯვა.

**— გორდონ ჰერბერტზე რას იტყვი?**

— მხოლოდ დადებითს, რადგან კარიერაში ერთადერთი ტიტული მისი მწვრთნელობისას მოვიგე. საერთოდაც, „სკაილაინერსში“ ყოფნისას მე საუკეთესო სეზონი მქონდა. ბუნდესლიგაში 15 ქულას ვაგროვებდი საშუალოდ, ევროლიგაში კი 21-ს. ჰერბერტი ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია და მჯერა, რომ ერთიანი ძალებით დასახულ მიზანს მივაღწევთ.

**— გამთამაშებლის კვალობაზე საკმაოდ მაღალი ხარ.**

— 194 სანტიმეტრი არცთუ ბევრია, თუ მოქნილი ხარ. ჩემი ძირითადი ფუნქცია ბურთის გათამაშებაა, მაგრამ პერსონალური მეურვეობაც კარგად მეხერხება. მიყვარს, როცა მეტოქე გუნდის ლიდერს ჩავუსაფრდები და არ გავახარებ. ოღონდ მან არ ჩააგდოს 10 ქულაზე მეტი და მე თუნდ ქულაც ვერ გავაკეთო — ოღონდ იმ პირობით, რომ ჩემმა გუნდმა უნდა მოიგოს. ხანდახან სროლა არ გამომდის და ასეთ დროს მთლიანად დაცვაზე გადავერთვები ხოლმე.

**— ჩვენს ნაკრებში უკვე ივარჯიშე და რას იტყვი შენი ამპლუის მოთამაშეებზე?**

— ძალიან პერსპექტიული ახალგაზრდები არიან. პირველ რიგში, რაც მათში ერთი შეხედვით მომეწონა, სისწრაფეა. დანარჩენს მომავალში ვნახავ. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი გამოცდილება მათ განვითარებასა და საქართველოს ნაკრებს სასიკეთოდ წაადგება.

**ირაკლი პერტაია**

ჭიდაობა



ევროპის ორგზის ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორ *დავით პოლოსიანს* ამ დონის ტურნირებზე ორი წლის წინანდელი ოლიმპიადის შემდეგ აღარ უჭიდავია. ხელს ხშირი ტრავმიანობა უშლიდა. იყო შემთხვევები, ბოლო მოსამზადებელ შეკრებამდე უმთავრეს კანდიდატად მოიაზრებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში ისევ უიღბლობა ტოვებდა ნაკრებს მიღმა. ტრავმის გამო ახლახან ჩატარებული თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირიც გაუცდა, თუმცა უკვე ჯანზეა, ნაკრებთან ერთად ბაკურიანულ შეკრებაზეც გაემგზავრა და სასექტემბრო მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გულმოდგინედ ემზადება

# გამოცდილი და შემართული

## დავით პოლოსიანმა იღბალი კიევში დაიბრუნა

— უიღბლო პერიოდი 2004 წლის ოლიმპიადით დაიწყო. ტრავმა ათენში გამგზავრებამდე ათიოდ დღით ადრე მივიღე და ხალიჩაზე რომ გავედი, ეგეც საოცრება იყო. კი ვიჭიდავე, მაგრამ ტრავმაც საშინლად გავიმიზეზე და ფსიქოლოგიურადაც მოვიშალე. იქიდან მოყოლებული, პრობლემები არა და არ მთავრდებოდა.

— ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტურნირზე მონაწილეთა სიიდან ბოლო მომენტში ამოვარდნის მიზეზი რა იყო?

— საზარდულის ტრავმამ შემახსენა თავი. თან ვარჯიშისას კოჭიც ვიტკინე და ტურნირში ჭიდაობაზე ფიქრიც დავასრულე. რომ გამერისკა, შეიძლებოდა, ხანგრძლივი მკურნალობა დამჭირვებოდა, ასე კი მხოლოდ რამდენიმე დღით დავისვენე.

— უკვე სრულად დავისვენე.

— ბაკურიანული შეკრება ფიზმომზადებას ეთმობა. მხოლოდ დავრბივართ და სიმძიმეებს ვეჭიდებით. მაქსიმალურად ჯერ არ ვატან ძალას, მაგრამ იმედია, მეორე შეკრებამდე ბოლომდე მოვმჯობინდები.

— 1997-98 წლებში ევროპის ჩემპიონი გახდი. მას შემდეგ კი მხოლოდ ერთხელ, 2001 წლის მსოფლიოზე შეძელი მედლის აღება. თვლი, რომ საუკეთესო ფორმაში სწორედ იმ წლებში იყავი?

— 2001 წლის ბრინჯაოსთვის შემდეგ წლებში უკეთესი მედლებიც უნდა მიმემატებინა, მაგრამ საშინლად არ მიმართლებდა. ათენის ოლიმპიადამდე რომ ველარაფერი მოვიგე, ამის უმთავრესი მიზეზი უიღბლობა იყო. ეს რომ არა, შეიძლება, გაცილებით ნაკლებად მომზადებულიც კი ავსულიყავი კვარცხლბეკზე.

— ოლიმპიადის შემდეგ საჭიდაო წესები ბევრჯერ შეიცვალა. ფსიქოლოგიური ჩავარდნის მიზეზი ესეც ხომ არ იყო?

— ახალი წესები ოპტიმალური ვარიანტისგან ჯერაც შორსაა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ცუდია. გამოცდილ მოჭიდავეს შეუძლია, კოზირადაც კი გამოიყენოს, რადგან მეტი ფიქრი და ტაქტიკური გათვლაა საჭირო. უბრალოდ, ფსიქოლოგიური ბარიერი ფიზიკური ტრავმებისგან იყო გამოწვეული და იგი მარტში, კიევის საერთაშორისო ტურნირზე გადავლახე. უკრაინულმა ოქროს მედალმა მომავლის რწმენა დამიბრუნა. მივხვდი, რომ ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი.

— 60 კილოგრამში ჭიდაობდი, მაგრამ წონის პრობლემა საუკეთესო წლებშიც კი გაწუხებდა. ახლა როგორაა საქმე, ისევ ძველ წონაში აპირებ დაბრუნებას?

— ასაკთან და გამოცდილებასთან ერთად ეს პრობლემა თავისით მოგვარდა. ამჟამად 67 კილო ვარ, მაგრამ საგანგაშო არაფერია. საჭირო დროს წონას, ავტომატურად დავიკლებ.

— უკვე 32 წლის ხარ. პეკინის ოლიმპიადამდე კარიერის დასრულებას ხომ არ აპირებ?

— ამაზე არც ვფიქრობ. პირიქით, უფრო შემართული გავხდი. ვთვლი, რომ კიდევ შემიძლია წარმატებების მიღწევა და თავდაუზოგავად ვვარჯიშობ. ამ ეტაპზე კი მხოლოდ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე ვარ გადართული.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ძიუდო

# მეშვიდე წიკლაური

**ძიუდოისტთა** ახალგაზრდული ნაკრების დაკომპლექტება ამ უქმეებზე ჩეხეთში დასრულდა. სექტემბერ-ოქტომბერში ჩასატარებელ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წასაყვანი შვიდეულის მეშვიდე კაცი გიგა წიკლაურია. ნაკრების თავკაცმა ბორის ფირცხელიანმა ჩეხურ A კატეგორიის ტურნირზე ორი კანდიდატი დააყენა და ჯერ კიდევ გამგზავრებამდე გვითხრა — ნაკრებში ის დადგება, რომელიც უკეთ წარმოაჩენს თავსო.

73 კილოგრამში წიკლაურის კონკურენტი ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონი არსენ მაჭარაშვილი იყო. ამ უკანასკნელს უპირატესობა საერთაშორისო გამოცდილებაში კი ჰქონდა, მაგრამ ჩეხეთში მხოლოდ მერვედფინალამდე მივიდა. კანადელი ჯასტინ იმაგავასა და უნგრელი ვიქტორ მაროშის ძლევის შემდეგ ავსტრიელ ჰანს ვარტბიჩლერთან წააგო.

წიკლაურმაც კანადელი მეტოქის დამარცხებით დაიწყო ტურნირი. ჟოაო ალხანატის გზას მერე უნგრელი იმრე ტოტი, ჩეხი მარტინ სტალმაჩერი და დანიელი სეან ქელესმარკიც გაუყენა და ნახევარფინალის საგზური გაინაღდა. იქ კი იაპონელ კაზუში ჰიშიოკას გადაეყარა და ველარას გახდა. [illegible] ფინალიც მოიგო, ხოლო ქართველმა რეპეშაჟის ფინალში ჩეხი ჟარომირ მუსილის წაქცევით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

წინასწარი ინფორმაციით, ფირცხელიანს ჩეხეთში მხოლოდ ეს ორი შეგირდი უნდა წაეყვანა, მაგრამ ტურნირის ოქმში კიდევ ერთი ქართველი ამოვიკითხეთ. 60 კილოგრამში ამირან პაპინაშვილმა იჭიდავა და ნაკრებს მეორე ბრინჯაოც მოუტანა. პაპინაშვილმა ძირითად ბადეში უნგრელ ატილა უნგვარს, ჩეხ ტომაშ ფუნფალეკსა და სლოვენიელ მატიაშ ტრბოვჩს მოუგო. ნახევარფინალში იაპონელ დაიჩი იანოსთან დამარცხდა, ბრინჯაოს ბრძოლაში კი უნგრელ ბენც ძამბორის აჯობა.

ევროპის ჩემპიონატი 7-10 სექტემბერს ტალინში გაიმართება და მასზე წიკლაურის გარდა ბეთქილ შუკვანი (60 კგ), თენგიზ პაპოშვილი (66 კგ), დავით კარბელაშვილი (81 კგ), იოსებ მსხალაძე (90 კგ), ნოდარ მეტრეველი (100 კგ) და ვახტანგ ზოიძე (+100 კგ) იჭიდავებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ველორბოლა

# ანბანური ჭეშმარიტება

## A-მ თქვა, B-მ დაამტკიცა

### ლენდისი დაენარცხა, პერეირო სიოს ულოცავენ

**მოსალოდნელი** იყო და ასეც მოხდა — „ტურ დე ფრანსის" წლევანდელი ჩემპიონის, ფლოიდ ლენდისის შარდის განმეორებითმა, ანუ **B** ანალიზმა დაადასტურა ამერიკელის ორგანიზმში ტესტოსტერონის მომატებული რაოდენობის არსებობა.

დოპინგ-სინჯი ლენდისს „ტურის" მე-17, ურთულესი, ხუთმთიანი მორზინის ეტაპის შემდეგ აუღეს. შვეიცარიული „ფონაკის" მრბოლმა ის ეტაპი ფანტასტიკური იერიშით მოიგო, ეულად იარა ას კილომეტრზე მეტი, უმთავრეს კონკურენტებს თითქმის რვა წუთით აჯობა, მანამდე არსებული ჩამორჩენა გააბათილა და, ფაქტობრივად, გადაწყვიტა რბოლის ბედი.

ლენდისი ამერიკის ახალ გმირად უნდა ქცეულიყო, მაგრამ 30 წლის კალიფორნიელის ბედნიერება ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა და ახლა წუთიერ ტრიუმფატორს უამრავი სასჯელი ელის.

დავიწყოთ იმით, რომ, როგორც კი **B** ანალიზის პასუხი ცნობილი გახდა, „ფონაკის" ბოსებმა ამერიკელი მაშინვე გარიცხეს გუნდიდან. თუმცა, ეს არაფერია — ფლოიდს ჩამოართმევენ „ტურის" ჩემპიონის წოდებას და გამარჯვებულად მეორე ადგილზე გასული ესპანელი ოსკარ პერეირო სიო გამოცხადდება. გარდა ამისა, უიღბლო ჩემპიონს „ტურზე" მოპოვებული პრემიალურები, დაახლოებით 450 ათასი ევროც ჩამოერთმევა და ყველაფერს დამატებული, ალბათ, ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც დასჯიან, რაც, ფაქტობრივად, ლენდისის კარიერის დასასრულს ნიშნავს.




ფლოიდ ლენდისი უსახელოდ მიდის,
მის ადგილს ოსკარ პერეირო სიო დაიკავებს



არადა, კალიფორნიაში, ლენდისის სახლის ჭიშკარზე უზარმაზარი პლაკატი იქნა გაკრული წარწერით — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „ტურ დე ფრანსის" ჩემპიონთან, მაგრამ ახლა ამ პლაკატსაც ჩამოხსნიან და ლენდისის სახელი ისტორიაში დოპინგის გამო მოკვეთილი ჩემპიონის სახელით შევა და ისიც სათქმელია, რომ „ტურ დე ფრანსის" საუკუნოვან ისტორიაში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა.

ლენდისს ახლა ერთადერთი, თუმცაღა მიზერული შანსი აქვს — მისმა ადვოკატმა როგორმე უნდა დაამტკიცოს, რომ პარიზის მახლობლად მდებარე შატენე მალაბრის ლაბორატორიის ანალიზის მეთოდები მცდარი და მოძველებულია, თუმცაღა, კიდევ გავიმეორებთ, ამის ალბათობა, პრაქტიკულად, ნულის ტოლია და გარკვეული დროის შემდეგ ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ითქვა, ანუ კალიფორნიელს დასჯიან, ტიტულს ჩამოართმევენ და ჩემპიონად პერეირო სიო გამოცხადდება. მით უმეტეს, რომ „ტურის" დირექტორმა კრისტიან პრუდომმა, უკვე განაცხადა, რომ ლენდისი მისთვის ჩემპიონა აღარ არის და პერეირო სიოც, უკვე იღებს მილოცვებს.

1999 წლის „ჯირო დიტალიაზე", ფინიშამდე ორიოდე ეტაპით ადრე, როდესაც უზარმაზარი უპირატესობით ლიდერობდა, განუმეორებელ მარკო პანტანის სისხლში ერითროციტების მომატებული რაოდენობა აღმოუჩინეს, რბოლიდან მოკვეთეს და ჩემპიონი ივან გოტი გახდა. უკვე შარშან, „ვუელტა ესპანას" მეოთხედ მოგების შემდეგ რობერტო ერასი ჩავარდა დოპინგზე. ერასს ტიტული ჩამოართვეს და გამარჯვებულად მეორე ადგილზე გასული რუსი დენის მენშოვი გამოცხადდა.

„ჯირო", „ვუელტა" და აჰა, წელს იგივე „ტურზეც" განმეორდა.

# ჯილბერტის მესამე ჯილა




| კაცები |
|---|
| სოპოტი. პოლონეთი |
| თიხნარი |
| საპრიზო 500 000 $ |

**ნახევარფინალი**

ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) — ფილიპო ვოლანდრი (8, იტალია) 6:2 6:4; ფლორიან მაიერი (გერმანია) — აგუსტინ კალერი (8, არგენტინა) 6:2 4:3 *(უარი)*

**ფინალი**

ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 7:6 5:7 6:4

| კაცები |
|---|
| ვაშინგტონი |
| აშშ. ჰარდი |
| საპრიზო 600 000 $ |

**ნახევარფინალი**

არნო კლემანი (11, საფრანგეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:6 7:6; ენდი მიურეი (8, ბრიტანეთი) — დმიტრი ტუსუნოვი (7, რუსეთი) 6:2 7:5

| ქალები |
|---|
| სან დიეგო. აშშ. ჰარდი |
| საპრიზო 1 340 000 $ |

**ნახევარფინალი**

კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — ნიკოლ ვაიდიშოვა (7, ჩეხეთი) 6:2 7:6; მარია შარაპოვა (2, რუსეთი) — პატი შნიდერი (5, შვეიცარია) 7:5 6:4

**ყველაფერი** იქითკენ მიდის, რომ ბრედ ჯილბერტი საჩოგბურთო სამყაროს კიდევ ერთ ვარსკვლავს გამოუძერწავს — აქამდე ამ კაცის ხელმძღვანელობით ჯერ ანდრე აგასიმ, მერე ენდი როდიკმა შეაღეს ელიტის კარი. ახლა კი ენდი მიურეის ჯერია. რაც მთავარია, ამ სამ ჩოგბურთელს უკვე ერთი საერთი ნიშანიც აქვს — გილბერტის მწვრთნელად აყვანისთანავე სამივემ პირველივე ტურნირზე ფინალს უწია.

ეს ყოველივე გუშინ გაცხადდა, როცა 19 წლის შოტლანდიელმა დმიტრი ტურსუნოვს მთლიანობაში საკამოდ იოლად მოუგო და ვაშინგტონური შეჯიბრის გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლებაც მოიპოვა. მიურეიმ მთელი კვირა სტაბილურად მაღალ დონეზე ითამაშა და ფინალში თამაში ნამდვილად დაიმსახურა.

ფინალში ენდი მიურეი არნო კლემანს შეხვდება. ვეტერანმა ფრანგმა გზად ლეიტონ ჰიუიტისა და მარატ საფინის ჩამოცილება შეძლო და წლეულს მეორე ფინალსაც უწია (პირველი სიდნეიში იყო).

საფინმა კი ნახევარფინალში იმაზე წაიტეხა ცხვირი, რამაც წლეულს პირველად შეაძლებინა ამდენად შორს გასვლა — საუბარი ტაი ბრეიკებზე გვაქვს. გიგანტმა რუსმა ხომ სწორედ საჩოგბურთო ლატარიაში სძლია ჯერ ჯეიმს ბლეიკს, შემდეგ კი — ვესლი მუდის, თუმც კლემანთან მარატს აღარ გაუმართლა და ფინალში ფრანგი გავიდა.

ისე, ვაშინგტონური ჩაუქობა მაინც მნიშვნელოვანია რუსისთვის და აწი დიდი შანსია, ძველებურად ათამაშდეს. ყოველ შემთხვევაში, მარატმა დაამტკიცა, რომ მიუხედავად ბევრი ხარვეზისა, კვლავ შეუძლია უმაღლეს დონეზე ჩოგნაობა. ისე, ყველაფერ ამას პასუხი დამდეგ კვირას, ტორონტოს მასტერსზე გაეცემა.

ვაშინგტონისგან განსხვავებით, რუსებმა სოპოტში გაიხარეს. ნიკოლაი დავიდენკოს წყალში არ ჩაეყარა ევროპას ასე გვინობამდე რომ შემორჩა და კარიერაში მეშვიდე ტიტულიც გაახერხა. თუმც ფინალში ფლორიან მაიერმა ბოლომდე იომა და სლავიც ძალიან აწვალა, მაგრამ მოსკოველი უფრო მაღალი კლასის მოთამაშეა და მისი მოგებაც ლოგიკურია.

სან დიეგოს ფინალში კი უძლიერესი ჯახის მომსწრენი ვიქნებით — ერთმანეთს პირველ და მეორე ნომრად განთესილები, კიმ კლაისტერსი და მარია შარაპოვა დაეტაკებიან.

კლაისტერსს ამისთვის ნიკოლ ვაიდიშოვას დამარცხება დასჭირდა. სხვათა შორის, ბელგიელი უკვე ზედიზედ მეორე კვირაა, რაც ახალგაზრდა ჩეხს ნახევარფინალში უგებს. ვაიდიშოვამ ამჯერად მხოლოდ მეორე სეტში იბრძოლა თანაბრად, თუმც ბენილუქსელის გამოცდილებამ და უფრო მაღალმა კლასმა მაინც თავისი გაიტანა.

აი, შარაპოვამ კი უფრო მეტი იწვალა, რადგან პატი შნიდერი არაფრის დათმობას არ აპირებდა. პირველ სეტში თანაბარი ორთაბრძოლა გაჩაღდა, თუმც ბოლო, მეთორმეტე გეიმში რუსმა პრიმამ ბრეიკი გააკეთა და დაწინაურდა კიდეც.

შარაპოვამ მეტოქეს გონზე მოსვლის საშუალება აღარ მისცა და უკვე მეორე სეტის პირველივე გეიმში გატეხა. ამის შემდეგ რუსი მთლიანად აკონტროლებდა თამაშს და მალე 5:1-იც დაწინაურდა, მაგრამ აქ უკლო და შნიდერმაც მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა. საბოლოოდ შარაპოვამ მოახერხა კონცენტრირება და წლეულს მეოთხე ფინალში გავიდა.

**ბაჩა ლომაძეილი**

# ჩახნაშვილმა ფინალს უწია



**საქართველოს** პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი იტალიური მარტინა ფრანკას თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე 50 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირის ფინალში გავიდა.

მეოთხედფინალში მაკამ სამ სეტში — 6:2 4:6 6:2 დაამარცხა ტურნირზე „ვილდ ქარდით" მოხვედრილი 20 წლისა და **WTA**-ს რეიტინგში მე-400 ადგილზე მყოფი ბელორუსი დარია კუსტავა, ხოლო ნახევარფინალში გაცილებით იოლად, ორ სეტში — 6:4 6:3 დაჯაბნა ასევე 20 წლის, ოღონდაც კლასიფიკაციაში 297-ე პოზიციაზე მყოფი ხორვატი ნიკა ოჟეგოვიჩი.

გადამწყვეტ შეხვედრაში ჩახნაშვილს, რომელმაც მანამდე პირველ ნომრად განთესილ მასპინძელ ნატალია ვიერინასაც მოუგო, მეტოქედ ტურნირის მეოთხე ნომერი, ასევე იტალიელი კარინ კნაპი ეყოლება, ვინც 19 წლის გახლავთ და ქალთა რეიტინგში მაკაზე მაღლა, 202-ე საფეხურზე იმყოფება.



სამი ერი 2006

# როჯერსმა მანდელა ავსტრალიაში დატოვა

| 5 აგვისტო. ბრისბენი |
|---|
| **ავსტრალია 20:18 სამხრეთ აფრიკა** |

**ავსტრალია:** ლატამი, ჯერარდი, მორტლოკი, ჟიტუ, ტუკირი, ლარკემი, გრეგამი (კაპ); პალუ, სმიტი, ელსონი, ვიკერმანი, შარპი, ბლეიკი, მაკისააკი, ჰოლმსი
შეცვლაზე შევიდნენ: პოლი, შეპერდსონი, ლუ, როჯერსი
2ლ: ჯერარდი, როჯერსი; 2ð: მორტლოკი; 2ს: მორტლოკი

**სამხრეთ აფრიკა:** მონტგომერი, ნდუნგანე, ფური, ოლივერი, ჰაბანა, ჯეიმსი, პრეეცი; კრონხე, ჟუან სმიტი, ტუბილიკა, მეტფილდი, მიულერი, ფან დერ ლინდე, ჯონ სმიტი (კაპ), დურანდტი
შეცვლაზე შევიდნენ: ენდრიუსი, ფან დერ ბერხი, ფან ნიკერკი, ოსმანი, ვესტჰოიზენი
2ლ: ფური, მონტგომერი; 1ð: ჯეიმსი; 2ს: ჯეიმსი

**საფინალო** სირენამდე ოთხი წუთიღა იყო დარჩენილი, როცა ავსტრალიელთა ფეხჩუბინმა დამრტყმელმა სტირლინგ მორტლოკმა მეტ როჯერსის ანგარიშის გამთანაბრებელი ლელო გარდასახა და თავისიანებს მაგარი ჯახი მოაგებინა. ექვსი წლის წინ დურბანში მორტლოკმა იგივე გააკეთა, ოღონდ მაშინ ბოლო წუთზე ჯარიმა შეაგდო და იმ დროისთვის საკმაოდ მძლავრ სამხრეთ აფრიკას გამარჯვება ცხვირწინ ააცალა.

შაბათის მატჩის მოგებით ავსტრალია წამოეწია აწყვეტილ ახალ ზელანდიას, მაგრამ წლეულს სამი ერი პირველად რომ ტარდება სამ წრედ, ახალ ზელანდიას ავსტრალიასთან უპირატესობა აქვს, რაკი მესამე წრეში „ვოლაბებს" შინ მასპინძლობს და რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, ვერ მოუგოს.

ავსტრალიამ თავის რაგბის კავშირში დატოვა სამხრეთ აფრიკასთან საცილო და გარდამავალი „მანდელას თასი". ავსტრალიელთაგან ძალიან იყოჩაღა შეცვლაზე შესულმა მეტ როჯერსმა, რომელმაც მაგრად ატერორა აფრიკელთა მცველები და გვარიანად ანერვიულებული ავსტრალიელი ფანობა მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე ფრიად დაამშვიდა. როჯერსის გამთანაბრებელი ლელო მატჩის საუკეთესო მომენტად აღიარეს, ხოლო საუკეთესო მოთამაშის ტიტული მაინც სტირლინგ მორტლოკს მისცეს, რაკიღა ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ფეხი არ აუკანკალდა და როჯერსის ნაოფლარი ქულებში გარდასახა.

რაც შეეხება სამხრეთ აფრიკას, ბოლო დროს ეს კრებული გვარიანად კი დაღეღლდა, მაგრამ ავსტრალიას სტუმრად მაგრად დაუდგა და მათი დამაქცევარი მეტ როჯერსი ერთხელაც რომ კაცურად შეებოჭათ, „ქურციკები" სენსაციასაც მოახდენდნენ.

**ბაჩო სვანიძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ახალი ზელანდია | 3 | 0 | 0 | +42 | 13 |
| ავსტრალია | 2 | 0 | 2 | +27 | 10 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 0 | 3 | -65 | 1 |



ლოთე ტუკირის ავსტრალიამ თავისი მაინც გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში
## ბუდაპეშტი. 26 ივლისი — 7 აგვისტო



იტალიელთა ოთხეულმა 4X200 მეტრი ესტაფეტა მოიგო

# ჰოლანდიურმა გემმა დროშა დაუშვა

ესტაფეტებმა ჭეშმარიტად დაამშვენეს ევროპირველობა, რომელიც მასშტაბურობით და შედეგებით თავისთავად ვერ შეედრება მსოფლიოს ჩემპიონატს ან ოლიმპიადას, თუნდაც ამერიკელთა და ავსტრალიელთა არყოფნის გამო. თუმც ბუდაპეშტის ტურნირს არ დაჩივლება, იქ მსოფლიო რეკორდებსაც შეუდგაფუნდნენ ბებერი კონტინენტის ხელფეხმარჯვე გოგო-ბიჭები.

ქალთა 4X200 თავისუფალი სტილის ესტაფეტამ ხომ სულ გადარია ცურვის გურმან-სპეციალისტები. გერმანელ გოგონათა ოთხეულმა ლამის 3 წამი ჩამოაჭრა 2004 წელს ამერიკელ ქალთაგან დამყარებულ მსოფლიო რეკორდს. ეს მოხდა ხუთშაბათს, ორი დღის შემდეგ კი უკვე კაცთა ჯერი დადგა და თუმცა აქ 2001 წელს ავსტრალიელთაგან დამყარებულ მსოფლიო რეკორდი მშრალად გადარჩა, კაცთა 4X200 ესტაფეტა მაინც საკმაოდ საინტერესო გამოვიდა.

ქალებისაგან განსხვავებით, გერმანელ მოესტაფეტე კაცებს საერთოდ არაფერი გამოუვიდათ — მხოლოდ ფინალურ 8 გუნდში მოხვედრა და იქ მე-7 ადგილი ნამდვილად ვერაფერი შედეგია. ევროპის საუკეთესო კვარტეტის სახელი იტალიელ ჭაბუკებს შეხვდათ — აპენინელებმა ევროოქროს კონტინენტის რეკორდიც მოაყოლეს — ჯამური 800 მეტრი მათ 7 წუთსა და 9,60 წამში გაცურეს და 2001 წელს ფუკოუკას მსოფლიოს ჩემპიონატზე დამყარებულ თავიანთივე ევროპის რეკორდს კარგა გვარიანი დრო ჩამოაჭრეს — 1,22 წამი.

ოთხივე იტალიელმა — მასიმილიანო როსოლინომ, დავიდ ბერბოტომ, ნიკოლა კასიომ და ფილიპო მანინიმ თავიანთი წილი 200 მეტრი 1 წუთსა და 48 წამში ჩაატიეს, მაშინ, როდესაც ფინალის მონაწილე დანარჩენი 7 გუნდის 28 მოცურავეთაგან ეს მხოლოდ სამმა შეძლო.

ველარ ივარგა ფრანგმა ქალთევზამ, ლორე მანადუმ: მანამდე ბუდაპეშტის კოხტა აუზიდან 3 ოქროს ამომღებმა ამ 20 წლის უნიჭიერესმა გოგომ 200 თავისუფალ მეტრზე გაცილებით უარესი შედეგი აჩვენა, ვიდრე 4X200 მეტრ ესტაფეტაში. ესტაფეტაზე მისი შედეგი იყო 1:56,23, პირადულ 200 მეტრზე კი 1:58,38 გაახერხა და მხოლოდ ბრინჯაო შეხვდა. რა უნდა ქნას, ამდენ სახეობაში რომ ჩაეწერა, იმაზეც უნდა ეფიქრა, ძალ-ღონე ყველაზე ვერ გასწვდებოდა და ყოველთვის პირველი ვერ იქნებოდა.

დაღლილი ჩანდა გერმანელთა უყოჩაღესი „მოთავისუფლე" და იმ ლეგენდარული ესტაფეტის გმირი ანიკა ლეიბსიც. ესტაფეტაში მისი შედეგი 1:55,6 იყო, ახლა კი 1:57,48 დროით ვერცხლს შესწვდა და ოქრო თითებშუა გაუცურდა, რომელიც ასევე საკმაოდ ცნობილ პოლონელ ოტილია ედრჟეჩაკს ჩაუვარდა ხელში.

ევროპას უპოპულარულეს 100 თავისუფალ მეტრზე სპრინტში ახალი მეფე ჰყავს — იტალიელი ფილიპო მანინი. ამ 23 წლის აპენინელმა სანამ თავისიანებს 4X200 მეტრს მოაგებინებდა (აქ მას 32 მონაწილეს შორის საუკეთესო დრო ჰქონდა — 1:47,01), პირადი ოქრო მოიპოვა და ვეტერან ვარსკლავ პეტერ ვან დენ ჰუგენბანდს უთქმელად უთხრა, შენმა გემმა ჩაიარაო. პარასკევს 100 მეტრ სპრინტზე პირველი 50-მეტრეული ისე უბადრუკად გაცურა, მხოლოდ რუს ანდრეი კაპრალოვს თუ უსწრებდა, მაგრამ უკან რომ მობრუნდა, მეორე 50 მეტრზე ისე აამუშავა მკლავტერფი, ყველა უკან მიატოვა.

და ვან დენ ჰუგენბანდს რაღა? რა და მხოლოდ ბრინჯაო. სუპერჰოლანდიელს მაინც არ უნდა გასჩენოდა დაუკმაყოფილებლობის მწველი გრძნობა. 100 თავისუფალ მეტრზე ამქვეყნად რაც კი რეკორდი არსებობს, მსოფლიოსი, ევროპისა თუ ევროპირველობის, ყველა მისია. მის მსოფლიო რეკორდს 47,84 წამს, სიდნეის ოლიმპიადაზე რომ დააქუხა, აგერ, ექვსი წელია, ვერავინ ეხება.

**ბოტე ყორშია**

## ცურვა

### 4X200 მ. თავისუფალი. კაცები

1. იტალია -------- 7:09,60
2. ბრიტანეთი -------- 7:11,63
3. საბერძნეთი -------- 7:16,67

### 100 მ. ბატერფლაი. ქალები

1. ინგე დეკერი (ჰოლანდია) -------- 58,35
2. მარტინა მორავცოვა (სლოვაკეთი) -------- 58,98
3. ალნენა პოპჩანკა (საფრანგეთი) -------- 59,06

### 100 მ. თავისუფალი. კაცები

1. ფილიპო მანინი (იტალია) -------- 48,79
2. სტეფან ნისტრანდი (შვედეთი) -------- 48,91
3. პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი (ჰოლანდია) -------- 48,94

### 200 მ. ბრასი. ქალები

1. კრისტი ბელფური (ბრიტანეთი) -------- 2:25,66
2. იულია პადლისნა (უკრაინა) -------- 2:28,42
3. აგნეს კოვაჩი (უნგრეთი) -------- 2:28,90

### 1500 მ. თავისუფალი. კაცები

1. იური პრილუკოვი (რუსეთი) -------- 14:51,93
2. სებასტიენ რუალი (საფრანგეთი) -------- 14:55,73
3. ნიკოლას როსტუშე (საფრანგეთი) -------- 15:01,82

### 200 მ. გულაღმა. კაცები

1. არკადი ვიატჩანინი (რუსეთი) -------- 1:55,44
2. ლასლო ჩეჰი (უნგრეთი) -------- 1:56,69
3. რაზვან ფლორეა (რუმინეთი) -------- 1:57,83

### 100 მ. ბატერფლაი. კაცები

1. ანდრეი სერდინოვი (უკრაინა) -------- 51,95
2. ამარი ლევო (საფრანგეთი) -------- 52,76
3. ნიკოლაის სკვორცოვი (რუსეთი) -------- 52,96

### 200 მ. თავისუფალი. ქალები

1. ოტილია ჟედრჟეჩაკი (პოლონეთი) -------- 1:57,25
2. ანიკა ლეიბსი (გერმანია) -------- 1:57,48
3. ლორე მანადუ (საფრანგეთი) -------- 1:58,38

### 50 მ. გულაღმა. ქალები

1. იანინ პიეტში (გერმანია) -------- 28,36
2. ალექსანდრა გერასიმენია (ბელარუსი) -------- 28,72
3. ანტი ბუშშულტე (გერმანია) -------- 28,73

### 50 მ. ბრასი. კაცები

1. ოლეგ ლისოგორი (უკრაინა) -------- 27,48
2. ალესანდრო ტერინი (იტალია) -------- 27,48
3. მატიაჟ მარკიჩი (სლოვენია) -------- 27,87

## წყალში ხტომა

### 3 მ. ტრამპლინი. ქალები

1 ანა ლინდბერგი (შვედეთი) -------- 330,60
2 დიტე კოტციანი (გერმანია) -------- 324,90
3 ნორა ბარტა (უნგრეთი) -------- 319,85

### 3 მ. ტრამპლინი. კაცები

1 დმიტრი საუტინი (რუსეთი) -------- 496,10
2 ალექსანდრ დობროსკოკი (რუსეთი) -------- 479,95
3 იონა პუჰაკა (ფინეთი) -------- 464,60

### 10 მ. კოშკი. სინქრონული. კაცები

1 დმიტრი დობროსკოკი, გლებ გალპერინი (რუსეთი) -------- 469,38
2 საშა კლეინი, ჰეიკო მეიერი (გერმანია) -------- 447,96
3 მიკელე ბენედეტი, ფრანჩესკო დელუომო (იტალია) -------- 435,12

### 10 მ. კოშკი. სინქრონული. ქალები

1 ანეტ გამი, ნორა სუბშინსკი (გერმანია) -------- 325,90
2 ნატალია გონჩანროვა, იულია კოლტუნოვა (რუსეთი) -------- 306,24
3 იულია პროკოფჩუკი, კატერინა ჟუკი (უკრაინა) -------- 297,21

---



## დორტმუნდის სუპერტურნირი

28 ივლისი — 6 აგვისტო

# დორტმუნდი ორთავიანმა რუსმა დაიპყრო

| | | |
|---|---|---|
| **V ტური** | | |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1:0 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 1:0 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |
| არკადი ნაიდიჩი (გერმანია) | 0,5:0,5 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| **VI ტური** | | |
| ბაადურ ჯობავა (საქართველო) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0:1 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 1:0 | არკადი ნაიდიჩი (გერმანია) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| **VII ტური** | | |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 1:0 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| არკადი ნაიდიჩი (გერმანია) | 1:0 | ბაადურ ჯობავა (საქართველო) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |

რუსმა დიდოსტატებმა — ვლადიმერ კრამნიკმა და პიოტრ სვიდლერმა დორტმუნდის სუპერტურნირი მოიგეს. მათ 4,5-4,5 ქულა დააგროვეს და მთავარ კონკურენტებს ნახევარი ქულით აჯობეს.


პიოტრ სვიდლერი


ვლადიმირ კრამნიკი

ბოლო ტურში მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. ცხრილს თანაბარი ქულებით ლეკო და სვიდლერი ლიდერობდნენ. პირველი თამაში სვიდლერმა დაასრულა, მაიკლ ადამსს მე-17 სვლაზე გაუყო ქულა და მეორე, კრამნიკ-ლეკოს პარტიის დამთავრებას დაელოდა. შეხვედრა კრამნიკის უპირატესობით წარიმართა, ლეკოს არაფრის შანსი არ დაუტოვა და 48-ე სვლაზე მარცხი აგემა.

ზედიზედ სამი შეხვედრა დათმო ბაადურ ჯობავამ და ბოლო ადგილზე გავიდა. დასკვნით ტურში იგი სუპერტურნირის შარშანდელ მომგებ, მასპინძელ არკადი ნაიდიჩთან მე-40 სვლაზე დამარცხდა და გათამაშება 1,5 ქულით დაასრულა.

**ლაშა ბებეშკორი**

1. პიოტრ სვიდლერი - 4,5 ქულა
2. ვლადიმირ კრამნიკი -------- 4,5
3. მაიკლ ადამსი -------- 4
4. პეტერ ლეკო -------- 4
5. ბორის გელფანდი -------- 4
6. არკადი ნაიდიჩი -------- 3,5
7. ლევონ არონიანი -------- 2
8. ბაადურ ჯობავა -------- 1,5

ფორმულა 1. 57-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეცამეტე ეტაპი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

# ბატონმა თავისი მიიღო

## უნგრულმა წვიმამ ბევრი ნაკვალევი წაშალა

**გასული** სარბოლო უიქენდი ფორმულა 1-ის ქომაგებს ალბათ დიდხანს ემახსოვრებათ — პარასკევის თავისუფალი პრაქტიკიდან მოყოლებული, შაბათის კვალიფიკაციით გაგრძელებული და გუშინდელი რბოლის უკანასკნელი წუთების ჩათვლით „ჰუნგარორინგზე" იმდენი რამ მოხდა, დაწვრილებით რომ მოვყვეთ, შეიძლება მთელი გაზეთი არ ეყოს.

უნგრეთის „დიდი პრიზის" საიუბილეო, მეოცე გათამაშება მართლაც თვალსასეირო სანახავი გამოდგა. პარასკევის თავისუფალი პარქტიკისას სტიუარდებმა ჩემპიონატის ლიდერი ფერნანდო ალონსო დასაჯეს და მის საკვალიფიკაციო დროს წინასწარ მიამატეს ორი წამი. შაბათის თავისუფალი პრაქტიკისას იგივე ჯარიმას მიხაელ შუმახერმაც გამოკრა ხელი. ამასობაში კრისტიან ალბერცისა და ჯენსონ ბატონის ბოლიდებს ძრავები გაუხდათ შესაცვლელი და შესაბამისად, ამათაც კვალიფიკაციაში ათ-ათი პოზიციით უკან დახევა მოუხდათ.

კვალიფიკაცია კიმი რაიკონენმა მოიგო და ზედიზედ მეორე პოული მოიპოვა. მეორე ფელიპე მასა იყო, მესამე რუბენს ბარიკელო. მიხაელ შუმახერს მე-11 სასტარტო პოზიცია ერგო, ბატონს — მე-14, ხოლო ალონსოს — მე-15.

და, თავად რბოლა, რომლის მსგავსიც კარგა ხანია არ გვინახავს. წვიმდა, კოკისპირულად არა, მაგრამ ტრასა სველი იყო. მერე, რბოლის მეორე ნახევარში წვიმამ გადაიღო და ტრასის სავალმა ტრაექტორიამ გაშრობა დაიწყო. ასეთ პირობებბში საბურავების შერჩევა-ვარგისიანობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ახლავე ვთქვათ, რომ გუშინ „მიშლენმა" „ბრიჯსტოუნი" ბეჭებზე დასცა — „მიშლენის" საბურავებიანი მანქანები სველ გზაზე გაცილებით სწრაფები იყვნენ და, მართალია, მიხაელ შუმახერმა პირველივე წრეზე ერთბაშად შვიდი პოზიცია მოიგო და მეოთხეზე აინაცვლა, ნაკლები სტარტი არც ალონსოს აულია და მე-3 წრეზე ესპანელმა „წითელ ბარონსაც" გაასწრო. მერე შუმი რამდენიმე წრე კი უმკლავდებოდა მეორე რენოელის ჯანკარლო ფიზიკელას იერიშებს, მაგრამ „ფიზიკოს" „მიშლენიანმა" „რენომ" მაინც აჯობა „ბრიჯსტოუნიან" „ფერარის". თანაც „შუმის" ბოლიდს წინა ანტიფრთა დაეშალა და უფროსი შუმახერი ბოქსებში დაუგეგმავად შევიდა. თუმცაღა, აღარც ფიზიკელას შერჩა ეს გასწრება — ცოტა ხანში ტრასიდან გადავიდა, დამცავ ბარიერს შეასკდა და რბოლა დაასრულა.

ამასობაში ალონსო, უკვე მეორე იყო რაიკონენის უკან და მეორე, პედრო დე ლა როსას „მაკლარენის" წინ ამათგან ყველაზე ადრეული პიტ-სტოპი დე ლა როსას ჰქონდა. მერე ბოქსებში რაიკონენიც შევიდა და ალონსომ პირველ ადგილზე გადაინაცვლა. რაიკონენი ესპანელის დაწევას ცდილობდა, მაგრამ ვერ მოზომა, თუ „მაკლარენის" საჭე ველარ დაიმორჩილა და უკნიდან მთელი ძალით შეასკდა ვიტანტონიო ლუცის „ტორო როსოს". ამ ავარიას დე ლა როსა იღბალზე გადაურჩა.

მოვლენები თავბრუდამხვევი სიჩქარით ვითარდებოდა და როგორღაც შეუმჩნევლად, მეორე ადგილზე ბატონმა აინაცვლა. ინგლისელმა ესეც არ იკმარა და მალე ალონსოს კუდზე დააჯდა, თუმც შემდეგ პიტ-სტოპზე შეჩერდა და ესპანელი ისევ სოლიდურად გაიჭრა წინ.

ამასობაში ტრასამ გაშრობა დაიწყო და ალონსოს გარდამავალი საბურავები მშრალით შეუცვალეს, მაგრამ რაღაც ვერ გათვალეს, თუ ტექნიკურად ზუსტად ვერ გააკეთეს და ტრასაზე დაბრუნებული ესპანელი რამდენიმე წამში მოწრიალდა და რბოლას გამოეთიშა.

ბატონი გალიდერდა და მიხაელ შუმახერმა კი ზედიზედ ჩაყლაპა მის წინ მავალნი — ბარიკელო, ნიკ ჰაიდფელდი, დე ლა როსა და მეორე ადგილზე აინაცვლა. ამ დროს „შუმის" ბოლიდს გარდამავალი საბურავები „ეცვა" და „ფერარელებმა" გარისკეს — შუმახერმა დამატებითი პიტ-სტოპის გარეშე გადაწყვიტა რბოლის დასრულება და. მწარედაც შეცდა — ბატონი აღარ ჩანდა და ამასობაში დე და როსა თითო წრეზე თითქმის სამ წამს უგებდა „შუმის". მალე ესპანელმა გაასწრო კიდეც მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს. მერე იგივე ჰაიდფელდმაც გააკეთა და მიხაელის მანქანა, ფაქტობრივად, დადგა — „ფერარიმ" ბოქსებში შეუხვია და აღარც გამოუხვევია.

ჯენსონ ბატონმა კი კარიერაში პირველი „დიდი პრიზი" მოიგო და ამავდროულად, ეს გახლდათ ფორმულა 1-ში „ჰონდას" დაბრუნების შემდეგ ამ იაპონური ავტოგიგანტის მიერ მოპოვებული პირველი გამარჯვება. ისიც სათქმელია, რომ ბატონამდე ბოლო ბრიტანელი, ვინც ჩემპიონატის ეტაპი მოიგო, დევიდ კულჰარდი გახლავთ, რომელმაც თავის ბოლო გამარჯვებას 2003 წელს ავსტრალიაში მიაღწია. ამჯერად კულჰარდი მისი მანქანას შესაძლებლობებიდან გამომდინარე საპატიო მე-5 ადგილზე გავიდა, თუმც უფრო აღსანიშნავი პოლონელი დებიუტანტის რობერტ კუბიცას მე-7 ადგილია — ჟაკ ვილნევის ნაცვლად „BMW-ზაუბერის" კოკპიტში ჩამჯდარმა ამ ბიჭმა თავისი პირველივე საპირველფორმულო რბოლა ორი ქულით დაასრულა.

ლიდერთა შორის კი სხვაობა უცვლელი დარჩა. ფერნანდო ალონსო კვლავაც 11 ქულას უგებს მიხაელ შუმახერს და ჩემპიონატის ფინიშამდე 5 ეტაპიღაა დარჩენილი.

**გია მუჯირი**



AFP

ჯენსონ ბატონმა კარიერაში პირველი დიდი პრიზი შემართა

### რბოლის შედეგები

**უნგრეთის დიდი პრიზი**
**6 აგვისტო. ჰუნგარორინგი**
დისტანცია 70 წრე — 306,663 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (14) | ბატონი (ჰონდა) | 1:52.20,94 (164,3 კმ/სთ) |
| 2. | (4) | დე ლა როსა (მაკლარენი) | ჩამორჩა 30,8 |
| 3. | (10) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 43,8 |
| 4. | (3) | ბარიკელო (ჰონდა) | 45,2 |
| 5. | (12) | კულჰარდი (რედ ბული) | 1 წრით |
| 6. | (6) | რ. შუმახერი (ტოიოტა) | 1 წრით |
| 7. | (9) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 1 წრით |
| 8. | (2) | მასა (ფერარი) | 1 წრით |

რბოლას გამოეთიშნენ

| | | |
|---|---|---|
| (11) | მშუმახერი (ფერარი) | გაიარა 67 წრე |
| (16) | მონტეირო (MF 1) | 67 |
| (22) | ალბერსი (MF 1) | 67 |
| (19) | სპიდი (ტორო როსო) | 66 |
| (8) | ტრული (ტოიოტა) | 65 |
| (20) | სატო (სუპერ აგური) | 65 |
| (15) | ალონსო (რენო) | 51 |
| (17) | ლიუცი (ტორო როსო) | 25 |
| (1) | რაიკონენი (მაკლარენი) | 25 |
| (18) | როსბერგი (უილიამსი) | 19 |
| (7) | ფიზიკელა (რენო) | 18 |
| (13) | კლიენი (რედ ბული) | 6 |
| (5) | ვებერი (უილიამსი) | 1 |
| (21) | იამამოტო (სუპერ აგური) | 0 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
რაიკონენი — 1.19,599 (198,1 კმ/სთ)

**უსწრაფესი წრე**
მასა — 1.23,516 (188,8 კმ/სთ)

| F1 | ბაჰრეინი 12 მარტი | მალაიზია 19 მარტი | ავსტრალია 2 აპრილი | სან მარინო 23 აპრილი | ევროპა 7 მაისი | ესპანეთი 14 მაისი | მონაკო 28 მაისი | დ. ბრიტანეთი 11 ივნისი | კანადა 25 ივნისი | აშშ 2 ივლისი | საფრანგეთი 16 ივლისი | გერმანია 30 ივლისი | უნგრეთი 6 აგვისტო | თურქეთი 27 აგვისტო | იტალია 10 სექტემბერი | ჩინეთი 1 ოქტომბერი | იაპონია 8 ოქტომბერი | ბრაზილია 22 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ალონსო, რენო, ესპანეთი | 10 | 8 | 10 | 8 | ■ 8 | ■ 10 | ■ 10 | ■ 10 | ■ 10 | 4 | 8 | 4 | – | | | | | | 100 |
| 2 მ. შუმახერი, ფერარი, გერმანია | ■ 8 | 3 | – | ■ 10 | 10 | 8 | 4 | 8 | 8 | ■ 10 | ■ 10 | 10 | – | | | | | | 89 |
| 3 მასა, ფერარი, ბრაზილია | – | 4 | – | 5 | 6 | 5 | – | 4 | 4 | 8 | 6 | 8 | 1 | | | | | | 51 |
| 4 ფიზიკელა, რენო, იტალია | – | ■ 10 | 4 | 1 | 3 | 6 | 3 | 5 | 5 | 6 | 3 | 3 | – | | | | | | 49 |
| 5 რაიკონენი, მაკლარენი, ფინეთი | 6 | – | 8 | 4 | 5 | 4 | – | 6 | 6 | – | 4 | ■ 6 | ■ – | | | | | | 49 |
| 6 ბატონი, ჰონდა, დ. ბრიტანეთი | 5 | 6 | ■ – | 2 | – | 3 | – | – | – | – | – | 5 | 10 | | | | | | 31 |
| 7 მონტოია, მაკლარენი, კოლუმბია | 4 | 5 | – | 6 | – | – | 8 | 3 | – | – | – | – | – | | | | | | 26 |
| 8 ბარიკელო, ჰონდა, ბრაზილია | – | – | 2 | – | 4 | 2 | 5 | – | – | 3 | – | – | 5 | | | | | | 21 |
| 9 ჰაიდფელდი, BMW ზაუბერი, გერმანია | – | – | 5 | – | – | 1 | 2 | 2 | 2 | – | 1 | – | 6 | | | | | | 19 |
| 10 რ. შუმახერი, ტოიოტა, გერმანია | – | 1 | 6 | – | – | – | 1 | – | – | – | 5 | – | 3 | | | | | | 16 |

კულჰარდი — 14, ტრული, დე ლა როსა — 10, ვილნევი — 7, ვებერი — 6, როსბერგი — 4, კლიენი, კუბიცა — 2, ლიუცი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი:** რენო 149, ფერარი 140, მაკლარენი 85, ჰონდა 52, BMW ზაუბერი 28, ტოიოტა 26, რედ ბული 16, უილიამსი 10, ტორო როსო 1

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge